



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ISSN 0180—1624

საქართველო

№ 9 1985 წ.

საქართველო



0580360 76056



მე სკოლაში მივდივარ.

ფოტო 'ბიოგრაფი' შარაშანიძისა.



ტუჟასის დიდი საქაჟსი

პირველი სექტემბერი-
ცოდნის დღე

პირველი სექტემბერი ლამაზი დღესასწაულია. ამ ნათელ დღეს ხანგრძლივი დასვენების შემდეგ მოსწავლეები კვლავ უბრუნდებიან სკოლას...

ახალი სასწავლო წელი იმითაც არის გამორჩეული, რომ წელს მეორედ აღინიშნა ცოდნის დღე. რით შევხვდით ამ საყოველთაო სახალხო ზეიმს? სათქმელი ბევრია. რაც მთავარია: სკოლის რეფორმა წარმატებით ხორციელდება. ამაღლდა და გაძლიერდა სკოლის სოციალური ფუნქცია. უფრო დაიხვეწა და მრავალფეროვანი გახდა პედაგოგიური მუშაობა, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ სკოლამ მოზარდ თაობას მისცეს მეცნიერებათა საფუძვლების დრმა ცოდნა, განუვითაროს ამ ცოდნის პრაქტიკულად გამოყენების უნარი, მოამზადოს ახალგაზრდობა სახალხო მეურნეობაში სასარგებლო შრომისათვის.

ახალგაზრდა თაობის იდეოლოგიური სიმწიფის შემდგომი ამაღლების, პოლიტიკური მსოფლმხედველობის გაფართოების, მისი მაღალი ზნეობრივი იდეალების ფორმირების, სოციალური და შემოქმედებითი აქტივობის ზრდის საკითხების დროული და ხარისხიანი გადაჭრა ჩვენზე, პედაგოგებზეა დამოკიდებული. შემოიძლია თამამად ვთქვა, რომ ეს ამოცანები წარმატებით ხორციელდება. ჩვენი მასწავლებლები გულის სითბოს აქსოვენ მომავალი თაობის სრულყოფილად აღზრდას. ისინი არა მარტო ასწავლიან, არამედ სწავლობენ კიდევ, დღენიდავ იმაღლებენ პროფესი-

ულ და იდეურ-პოლიტიკურ დონეს, ბეჭითად მუშაობენ თავიანთ თავზე. ყოველივე ეს იმის საწინდარია, რომ ქვეყანას მომავალშიც ღირსეული ახალგაზრდობა ეყოლება.

მკვეთრად გაიზარდა მშობელთა პასუხისმგებლობაც. პედაგოგებს კარგად ესმით, რომ საოჯახო აღზრდის გაუმჯობესება მათზეც არის დამოკიდებული. ამიტომაც ძალ-ღონეს არ ზოგავენ, რომ მოსწავლეებს ოჯახშიც ჯანსაღი ატმოსფერო შექონდეთ...

წინ კიდევ დიდი საქმეები მოგველის, ახალ-ახალი პრობლემებია გადასაჭრელი. სკკ ცენტრალური კომიტეტი ყველასაგან და მათ შორის, რასაკვირველია, პედაგოგებისაგან საქმისადმი ახლებურ მიდგომას, შემოქმედებითი მუშაობის გააქტიურებას მოითხოვს.

პარტიის სადღეისო დიდი მოთხოვნის ხორცშესახმელად კიდევ უფრო უნდა გავისარჯოთ. სწავლებისა და აღზრდის ხარისხი უფრო და უფრო უნდა სრულყოფილი. ამ მიმართულებით ბევრი რამ გაკეთდება, კერძოდ, აღმოფხვრება „შპარგალკის“ გამოყენების მანიერის პრაქტიკა და ამით მოსწავლეთა აზროვნებისა და წერიითი მეტყველების დონე ამაღლდება. ამავე მიზანს ემსახურება სკოლებში ბანკეტების აკრძალვა, ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ ბრძოლის გამძაფრება.

რაც შეეხება 77-ე საშუალო სკოლას, უნდა გითხრათ, რომ გასული სასწავლო

წელი წარმატებით დავამთავრეთ. ამაღლდა სწავლებისა და აღზრდის ხარისხი. გაიზარდა ფრიადოსანთა და კარგოსანთა რიცხვი, გვყავდა სამი ოქროსმედალოსანი. მიღწეულია მიზანი: არც ერთი ჩამორჩენილი და მეორეწლიანი მოსწავლე! შრომითი სწავლების მაღალ დონეზე კი აშკარად მეტყველებდა რაიონის მოსწავლეთა ხელთნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

ამ სასწავლო წლიდან სკოლებში დაიწყო ახალი საგნების სწავლება. ამისათვის განსაკუთრებით მოვემზადეთ. ბუნებრივია, ახლა დიდი ყურადღება ექცევა ინფორმატიკისა და ელექტრონული გამომთვლელი მანქანების სწავლებას, ამ საგნის მასწავლებელმა სპეციალური მომზადება გაიარა, ამასთან საჭირო ტექნიკური საშუალებები და თვალსაჩინოებანი დროულად მოვიმარაგეთ. თითოეული მოსწავლე უზრუნველყოფილია სახელმძღვანელოებით.

დანარჩენს თავად საქმე იტყვის...

მე მსურს, ახალი სასწავლო წელი მივულოცო ყველას — პედაგოგებს, მოსწავლეებს, მშობლებს.

ჩემო საყვარელო ბავშვებო, გისურვებთ მაღალი მწვერვალების დალაშქვრას, დიდ გამარჯვებებს.

გრიგოლ კობახიძე,

საბოთა კავშირის სახალხო მასშავლობელი, თბილისის 77-ე საშუალო სკოლის დირექტორი.

დროშა

№ 9 (585) სექტემბერი, 1985

ჟურნალი გამოდის 1928 წლიდან

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიბერატორ-სამსახვრო ჟურნალი

ნ ო მ ე რ უ ი ა:

გრიგოლ კობახიძე — გვეახის დიდი საქმეები.
 ზურაბ ნაყოფია — ტყვარჩელი — მე-შახტეთა ქალაქი (ნარკვევი).
 შოთა ბააკაშვილი,
 ნოდარ მალრაძე — ახალგაზრდა ექიმი სოფლად.
 ლია ჭავჭავაძე — ლექსები.
 დავით ჩაჩიბაძე — ოდოის ჰანგები (ნარკვევი).
 იური ანდონინი — ვაუკაცობა და სინაზე-თენგიზ გოგოლაძე — შავი ლიმუზინი (მოთხრობა).
 ვან ბაიბურტი — დაე, კიდეც უფრო აყვავდეს მიწა ქართული!
 ზურაბ ბერიძე — დაგიგვიანეთ, მეგობრებო!
 ვიქტორ ჯეირანოვი — პირველი რეპორტაჟი.
 ჯუმბარ თითთაიანი — მწერლის ნიში.
 გივი მღებრიშვილი — ბოლნისის სიონი.
 აბაკი ბელოვანი — სევანური სიმღერა (ლექსები).
 ვახტანგ გოჭორიშვილი — 1985 წელი (ლექსი).
 ლამარა ბენდელიანი — ლექსი.
 შ. კოლომბი — ხელმოწერა (ნოველა).
 გარუნ აკოვოვი — მოლით, გავიხსენოთ!
 იუმორი.
 პროსპორადი.

საქართველოს კავშირის გამომცემლობა

© „დროშა“, 1985 წ.

მთავარი რედაქტორი

სუბა გარუღაძე

სარედაქციო კოლეგია:

გულნარა ხახუაძე (პ/მგ. შიგინი), ვასილ გვახაძე, ნათელა გიორგოზიანი, თენგიზ გოგოლაძე (მთ. რედაქტორის მოადგილე), ოთარ დემეტრაშვილი, სერგო ღურგიანი, ვახტანგ ეხვანდია, ოთარ თურქია, დინარა ნოდინა (მხატვარ-რედაქტორი), ლადო სულაბერიძე, ილია ტაბაღაძე, ნუგზარ ფოფხაძე, გიორგი ჩარკვიანი, უჩა ჯაფარიძე.



ათასობით ხართ თქვენ, პირველ სექტემბერს უმაღლესი სკოლის მერხებს რომ მიუსხედით... ყველას გილოცავთ ამ დღეს, გილოცავთ და გისურვებთ: არ გაგცრუებოდეთ ის იმედი, რომელმაც მაგ მერხებთან მიგიყვანათ. არ გაგცრუებოდეთ ისევე, როგორც ის დიდი გარჯა არ გაგიცრუვდათ, აბიტურიენტები სტუდენტებად რომ გაქციათ.

ჩვენ, თქვენი მასწავლებლები, ამ ახალგაზრდა თქვენს გვერდით გვიგულეთ. გვიგულეთ მრჩეველებად, უფროს მეგობრებად, ყოველთვის და ყველა სიძნელის პირობებში. მაგრამ მთავარი — თავიდათავი — მაინც თქვენა ხართ. გახსოვთ ქართული ანდაზა: კაცი იღრჩობოდა, ღმერთს

ეროვნული
 კულტურის
 ცენტრი
 სულ გაეარჯუნით,
 გველოთ!

შეხვეწა, მიშველეო. „ხელი გაანძრიე და გიშველიო!“ — უბასუხა ღმერთმა.

ვერა ძალა ვერ გიშველით, ვერ ჩამოგაყალიბებთ კარგ სპეციალისტად, საკუთარ ნების, თავდადებული შრომის, მე ვიტყვით, მძიმე შრომის გარეშე.

ამ თქვენს შრომას მინდა მივესალმო და მის ნაყოფს, მომავლის ნათელს, ქვეყნისა და ხალხისთვის თქვენს გარჯას კეთილი გზა ვუსურვო.

სულ გამარჯვებით გველოთ, ჩემო უმცროსო მეგობრებო!

ვიოლბა ცისკარიკა, პროფესორი.

კვირასო


ახალგაზრდაბო!

გილოცავთ საყოველთაო-სახალხო დღესასწაულს — ცოდნის დღეს და ახალი სასწავლო წლის დაწყებას.

ახალი სასწავლო წლის დაწყება თაობათა შეხვედრების, კეთილი სურვილების, აღმზრდელ-მასწავლებელთა თაყვანისცემის, ამავის დაფასების, დიდი ნატურისა და ლამაზი ოცნებების დღეა.

თქვენ, დღევანდელ ახალგაზრდაბას, წილად გხვდათ ელექტრონულ გამოთვლითი ტექნიკის ანბანის შესწავლის აუცილებლობა. საზოგადოების განვითარების დღევანდელი დაჩქარებული ტემპები განუხრელად ამაღლებს ახალგაზრდაობის როლს საზოგადოებრივ-პოლიტიკურსა და სამეცნიერო-კულტურულ სფეროში.

ამ დიდი მამულიშვილური მისიის წარმატებით შესრულება შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ ბეჭითი შრომის, ცოდნის, რწმენის, მოქმედების, სიტყვისა და საქმის ერთიანობის საფუძველზე.



გაივლის წლები, თქვენც გადახედავთ განვილ გზას. გისურვებთ ვეთქვათ: ვამართლეთ უფროსი თაობის იმედები!

ჯანმრთელობას და ბეჭით სწავლას გისურვებთ — ჩვენო ძვირფასო გოგონებო და ჭაბუკებო!

ნოე გიორგოზიანი,

რეპუბლიკის დამსახურებული ინჟინერი, თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკური დირექტორი.

სტყვარჩელე მუხარჩელი ქალაქი

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ზურაბ ნაყოფია, „დროზის“ სპეციალური კორესპონდენტი.

ყოფილხართ ტყვარჩელში?
ალბათ, არა.
ამას თითქმის დაბეჯითებით
იმიტომ ვამბობ, რომ ვიცი,
ბევრს არ უნახავს ტყვარჩელი.
იგი რკინიგზითაც და გზატკე-
ცილითაც ჩინშია მომწყვდეუ-
ლი და გავლით იქ ვერ მოხე-
დები.
სამკურნალო წყალი კი არის,
მაგრამ ვერც სანატორიუმებისა
და დასასვენებელი სახლების
სიმრავლე გამოიტყუებს აქეთ-
კენ კაცს.
ტყვარჩელში მხოლოდ საქ-
მეზე ჩამოდიან.
ამიტომ უმრავლესობას ისე-
თი წარმოდგენა აქვს, თითქოს
იგი მთებს აკრული, ნახშირით
გამურული ქალაქი იყოს, სა-
დაც ბევრს ვერაფერს ნახავ
ისეთს, თვალს რომ გაუხარდეს.
ეს წარმოდგენით.
სინამდვილეში კი მიმზიდ-
ველია იგი ცას ვაკიდებული
რონოდებითა და ხევებში თო-
კივით დაგრეხილი რკინიგზით,
თვალშეუღვამი ხიდებითა და
მთებში გაჭრილი გვირაბებით,
პრავალსართულიანი სახლები-

თა და ფერად-ფერადი სკვერე-
ბით.
მართლაც რომ ლამაზია
ტყვარჩელი, მაგრამ სულ სხვაა
იგი რუსლან არშბას თვალთ
დანახული.
რუსლანის თვალთ ერთ-
ხელაც რომ შეხედო ამ მთებ-
ში ჩადგმულ ქალაქს, მერე
რას მიატოვებ. რომც მიატო-
ვო, თვალი აქ დაგრჩება და
გული.
და აი, ვზივართ ახლა აივან-
ზე მე და რუსლანი და ვცდი-
ლობ, მისი თვალებით შევხედო
ქალაქს.
ვცდილობ და თანდათან ისე
მომწონს, ბოლოს ჩემთვის
გულწრფელად ვფიქრობ: რა-
ლა სხვისი თვალებით ვუყუ-
რო, ჩემითაც შესანიშნავი-
მეთქი.
მერწმუნეთ, მართლაც ასე-
თია ტყვარჩელი — აფხაზეთის
ინდუსტრიული ცენტრი, მე-
შახტეთა ქალაქი.
რუსლანს თვალები უციმცი-
მებს, როცა თავის ქალაქზე,
თანამოსაქმეებზე მესაუბრე-
ბა. იფიქრებ, თითოეულს ბავ-
შვობიდანვე იცნობსო, ისე
დაწვრილებითა და გულდაჭე-
რებით ჰყვება.
ისე კი, ტყვარჩელელებმა

მართლაც კარგად იციან მშობ-
ლიური ქალაქის ისტორია,
რომელიც ჯერ მხოლოდ 50
წელს ითვლის.
1935 წელს ამოვიდა პირვე-
ლად დღის სინათლეზე ტყვარ-
ჩელური ქვანახშირი. სტალი-
ნის სახელობის შახტი ერთად-
ერთი საწარმო იყო მაშინ,
ქვანახშირს რომ იძლეოდა. ამ
დროიდან იღებს სათავეს აქა-
ურ მეშახტეთა სახელოვანი
ტრადიციები.
ნიკოლოზ ხუნტუა, მაკარ
ტკაჩი, რომან ჩისტიაკოვი, ვა-
სილ მაკრიდი, დიმიტრი ივა-
კინი — აი პირველი ტყვარჩე-
ლელი სტახანოველები, რომე-
ლთა სახელებს დღესაც სიამა-
ყითა და სიყვარულით წარმო-
თქვამენ მათი შრომითი საქ-
მიანობის შემკვიდრეები.
ტყვარჩელის სახელმწიფო
რაიონული ელექტროსადგური
საქართველოს თბოენერგეტიკ-
ის პირშემა, მისი მომავალი ჯერ
კიდევ ოცდაათიანი წლების
დასაწყისში განისაზღვრა სსრ
კავშირის სახალხო კომისართა
საბჭოს სპეციალური დადგენი-
ლებით. ამ ელექტროსადგურს
აშენებდნენ ქართველები და
აფხაზები, რუსები და უკრაი-
ნელები, ბელორუსები და აზე-

რბაიჯანელები, სომხები, ბერ-
ძნები...
მაშინ დაიწყო ცენტრალური
მამდიდრებელი ფაბრიკის მშე-
ნებლობა, ფაბრიკისა, რომე-
ლიც „საგზურს“ აძლევს ტყვა-
რჩელის ქვანახშირს...
...თითქოს გუშინ იყო ყო-
ველივე ეს. თითქოს გუშინ
იყო, ქალაქს საფუძველი რომ
ჩაეყარა. დღეს კი ისე გაუშ-
ლია მხრები, ტაფობში ვერ ჩა-
ტეულა და მთიდან მთაზე გა-
დასულა.
აქ ერთმანეთის მხარდამხარ-
ქვეყნისა და ხალხის საკეთილ-
დღეოდ შრომობენ მეშახტე-
ები, ენერგეტიკოსები, ქვანახ-
შირის მამდიდრებლები, მშე-
ნებლები, პედაგოგები, ექი-
მები...
ტყვარჩელს თავისი ღირსე-
ული წვლილი შეაქვს აფხაზე-
თისა და მთელი საქართველოს
ეკონომიკის განვითარებაში.
იგი ქვანახშირსა და დოლო-
მიტს უგზავნის რუსთავს მა-
ლახარისხოვანი ფოლადის გა-
მოსადნობად. დღეს აქაური
ელექტროსადგური იმდენ ენე-
რგიას იძლევა, რამდენსაც ად-
რე ზაჰესი, რიონჰესი და სო-
ხუმჰესი ერთად. ტყვარჩელე-
რი საკედლე ბლოკებით ვინ

მოსთვის რამდენი სახლი აშენდა და შენდება აფხაზეთში და მის ფარგლებს გარეთაც.


განსაკუთრებით სასიკეთო ძვრებია ქალაქის, მისი მრეწველობის აღმავლობაში ბოლო წლებში, მას შემდეგ, რაც მიღებულ იქნა სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებები აფხაზეთის ასს რესპუბლიკის შემდგომი სოციალურ-ეკონომიკური განვითარების თაობაზე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს ერთობლივი დადგენილება „ქალაქ ტყვარჩელის ეკონომიკური და სოციალური კომპლექსური განვითარების ღონისძიებათა შესახებ“.

შეიძლება ითქვას, რომ დღითიდღე იზრდება ქალაქის ეკონომიკური პოტენციალი. მწყობრში დგება ახალი საწარმოები, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვების, საყოფაცხოვრებო მომსახურების, სხვა სოციალური დანიშნულების ობიექტები.

ბოლო წლებში აშენდა დოლომიტის საბადო გადასამუშავებელი ქარხნით, სოხუმის სამკერვალო ფაბრიკის ფილიალი, პურის ქარხანა. მარტო მეთერთმეტე ხუთწლედის განვლილ პერიოდში საქსპლოატაციოდ გადაეცა 25 ათასამდე კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი.

ცალკე აღნიშვნის ღირსია ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის რეკონსტრუქცია. თუმცა რეკონსტრუქცია კი არა, როგორც აქაურები ამბობენ — ხელახლა დაბადება, რის შედეგადაც სადგურის საპროექტო სიმძლავრე 2-ჯერ გაიზარდა.

ნათელი წარმოდგენა რომ ვიქონიოთ აქ ჩატარებულ სამუშაოთა მასშტაბებზე, მოვიყვან მხოლოდ ორ ფაქტს: პირველი — სულ დღემდე გაიხარ-



ტყვარჩელის თბოელექტროსადგურის სატურბინო დარბაზში.

ჯა 36 მილიონ მანეთზე მეტი: მეორე — ელექტროსადგურისათვის დანადგარებისა და სხვა მასალების მიწოდებაში მონაწილეობდნენ ლენინგრადი, ბარნაული, ნოვოსიბირსკი, ჩეხოკსარი, ბელგოროდი, სიზრანი, კუიბისევი, ტოლიატი, ტაშკენტი, ბაქო, ერევანი, კრასნოდარი, როსტოვი და, რათქმაუნდა, თბილისი...

დამეთანხმებით ალბათ — მრავლისმეტყველი გეოგრაფიაა.

ყოველ კვირას იკრიბებოდა მშენებლობის სპეციალური შტაბი საქართველოს კომპარტიის ტყვარჩელის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის, გამოცდილი პარტიული მუშაკის კონსტანტინე სალიას ხელმძღვანელობით.

და მაინც ქალაქის წვლილს რესპუბლიკის სახალხო მეურ-

ნეობის მაჩვენებლებში, მისი ეკონომიკის ეფექტურობას, მაღალ საბოლოო შედეგებს განაპირობებს შახტების კოლექტივების საქმიანობა, ქვანახშირის მოპოვება. ეს ბუნებრივიცაა, რადგან ტყვარჩელი უპირველეს ყოვლისა, მეშახტეთა ქალაქია.

არც ისე დიდი ხნის წინათ შეიქმნა მცდარი აზრი, თითქოს, სადაცაა ამოიწურებოდა ტყვარჩელის წიაღისეული და რადგან სამთომომპოვებელი მრეწველობის განვითარების პერსპექტივები არ ჩანდა, ქალაქის ეკონომიკური პოტენციალის აღმასვლის თუ არა, შენარჩუნებისათვის მაინც სხვა გზები უნდა გამოიხატულიყო.

მაგრამ არა. ენთუზიასტებს რა გამოლევს. ჩატარდა დამატებითი გეოლოგიურ-საძიებო სამუშაოები და გამოიჩვენა, რომ ტყვარჩელი კიდევ რამდენიმე ათეული წლის მანძილზე კვლავ დარჩება მეშახტეთა ქალაქად: ქვანახშირის დიდძალი მარაგი იქნა აღმოჩენილი. გადაწყდა, რომ მეთორმეტე ხუთწლედის პირველ წელსვე დაიწყოს ლენინის სახელობის შახტის ახალი უბნების მშენებლობა, რაც საერთო ჯამში 24 მილიონი მანეთი დაჯდება. ეს ახალი სიმძლავრეებია, ახალი სამუშაო ფრონტი. ტყვარჩელში კვლავ ჩქედს

სისხლსაცე ცხოვრება. ახალი ძალითაა გაჩაღებული სოციალისტური შეჭიბრება, რომლის აუანგარდში სახელოფანი მეშახტეები არიან.

აქაურ მეშახტეთა წარმომადგენლის დასტურია ის, რომ გასული წლის შედეგების მიხედვით შახტსამმართველო „ტყვარჩელი“ დაჯილდოვდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, რესპუბლიკის პროფსაბჭოსა და საქართველოს ალკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით, ხოლო ქალაქს მიეკუთვნა პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტის, ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს. პროფსაბჭოსა და კომკავშირის საოლქო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა. აქვე უნდა აღენიშნოთ, რომ ყველა მიწისქვეშა საწარმომ გადაჭარბებით შეასრულა ქვანახშირის ამოღებისა და სამთომომსამზადებელ სამუშაოთა წლიური გეგმები. განსაკუთრებით დაწინაურდნენ სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტისა და № 2 შახტის კოლექტივები.

უკეთ მუშაობენ ტყვარჩელი მეშახტეები მიმდინარე წელს და მაღალი შედეგებით ხვდებიან სკკპ XXVII ყრილობას.

აი ვინ სჭედს შრომით გამარჯვებებს — ჩემი მასპინძელი, № 2 შახტის სამთო მუშა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რუსლან არშა, ნ. ლაკობას სახელობის შახტის ელექტროზენიკალი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ელუარდ კვარცია, სსრ კავშირის 50 წლისთავის სახელობის შახტის სამთოელი, აფხაზეთის ასსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზურაბ მორგოშია. ნ. ლაკობას სახელობის შახტის სახელგანთქმული ბრიგადირის რეზო გვასალიას ბრიგადის შრომით კალენდარზე მიმდინარე წლის თებერვლიდან 1986 წელია აღნიშნული. № 2 შახტში იაზბეი კობახიას ბრიგადამ მარტის დასაწყისში გაანაღდა მეთერთმეტე ხუთწლედის დავალება და მას შემდეგ მომავალი ხუთწლედის ანგარიშში მუშაობს. ასევე ისახელეს თავი ვარლამ ხინტუბას გამყვანთა და ნიკოლაი კოვეშნიკოვის მწვრველთა ბრიგადებმა. დღეს მაღაროთსამმართველოს სამთოელთა 80 პროცენტი დროის გასწრებით მუშაობს.



მოწინავე მეშახტეები, კომუნისტები ნიკოლოზ ზაიკინი, უოლინ ხუფენია და ვარლამ ხინთუბა.

ტყვარჩელელებმა საბრძოლო პროგრამად აღიქვეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1985 წლის აპრილის პლენუმის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხებზე პარტიის ცენტრალურ კომიტეტში გამართული სრულიად საკავშირო თათბირის გადაწყვეტილებები, პლენუმსა და თათბირზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხანაგ მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის გამოცხადებულ ხამოყალიბებულ დებულებები და დასკვნები.

პარტიის საქალაქო კომიტეტის ხელმძღვანელობით ახლამთელი ძალები იქითკენა მიმართული, რომ რაც შეიძლება სწრაფად, აქტიურად დაინერგოს პრაქტიკაში მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეები, მინიმუმამდე იქნას დაყვანილი ხელით შრომის ხვედრითი წილი. უნდა ითქვას, რომ გასაკეთებელი ამ მიმართულებით ბევრია, რიგ საწარმოებში ჯეროვნად არ არის გამოყენებული საპროექტო სიმძლავრეები, არც ისე ცოტაა ჯერ კიდევ დაუმონტაჟებული ძვირადღირებული დანადგარები, ზოგან მოძველებული ტექნოლოგიით მუშაობენ...

ამასთან, პირველი შედეგები უკვე არის. ცენტრალურ მამდიდრებელ ფაბრიკაში ახლახან ამოქმედდა ახალი სალექი


მანქანა „ომ-12“. როგორც ფაბრიკის დირექტორმა გიორგი ეფრემოვმა თქვა, აღნიშნული მანქანა ამაღლებს შრომის ნაყოფიერებას, უფრო ეფექტურს ხდის ტექნოლოგიურ პროცესს, ხასიათდება ნაკლები ენერგოტევადობით. დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ამ მანქანის დანერგვის შემდეგ შემცირდა სამუშაო დრო ლამის ცვლაში.

ნ. ლაკობას შახტში ახალი ძალით ამუშავდა ერთ-ერთი უბანი, რომელიც სულ რამდენიმე ხნის წინათ უპერსპექტივოდ მიაჩნდათ. ბრუნვაში ჩართეს არაკონდიციური ფენები, შეიმუშავეს ეკონომიკურად მომგებიანი კონკრეტული ტექნოლოგია, რამაც შესანიშნავი შედეგი გამოიღო.

მთელ რიგ შახტებში შეიქმნა იჯარით მომუშავე ბრიგადები...

ტყვარჩელში გულმოდგინედ ეძებენ ახლებურად მუშაობის მეცნიერულად დასაბუთებულ გზებსა და საშუალებებს, რათა გადაჭარბებით გაანადღონ მიმდინარე წლის საწარმოო გეგმები და გადიდებული სოციალისტური ვალდებულებები.

მეშახტეთა ვალდებულებების შესახებ კი გვესაუბრება შახტსამმართველო „ტყვარჩელის“ დირექტორი კიტა კიზირია, რომელიც აქ, ტყვარჩელ-



▲ ტყვარჩელის № 2 შახტის გამყვანი, სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი რუსლან არშბა.

ში, დავაქცადა როგორც მოქალაქე, როგორც სპეციალისტი და ხელმძღვანელი:

— მეშახტეებმა ივალდებულეს — 24 დეკემბრისათვის შეასრულონ ქვანახშირის ამოღების წლიური გეგმა; გეგმის ზევით ამოიღონ 12 ათასი ტონა „შავი ოქრო“ და გამოიმუშაონ 1.700 ტონა კონცენტრატი; პროდუქციის რეალიზაციის გეგმაც 24 დეკემბრისათვის განახორციელონ; გამოუშვან 162 ათასი მანეთის საერთო ზეგეგმური პროდუქცია; წარმოების პროგრესული მეთოდების დანერგვით შრომის ნაყოფიერება 2,7 პროცენტით აამაღლონ; ეფექტურა და მომჭირნეობითი გამოყენების გზით დაზოგონ 5 ათასი კილოვატსაათი ელექტროენერგია, 10 ათასი მანეთის მასალები, 120 პირობითი ტონა საწვავი; 20-მდე გაზარდონ იჯარით მომუშავე ბრიგადების რიცხვი...

— ვალდებულებების შესრულებაში ეჭვი არ შეგება-


როთ, რადგან ჩვენთან მხოლოდ ნაღდი ხალხი ცხოვრობს, — მითხრა დამწვიდობებისას რუსლან არშბამ.

ცოტა გაოცება რომ შემატყო, მასპინძელმა ღიმილით დაუმატა:

— შახტებში მაღალი გამოიმუშავება არისო და ვინც ფულის საშოვნელად ჩამოვიდა ტყვარჩელში, არც ერთი არ დარჩენილა. ფული ყველას უნდა, მაგრამ მარტო ფულის გულისთვის მეშახტის შრომას ვერ გაუძლებს კაცი. თუ საქმე არ გიყვარს, იქ ფულის სიყვარული ვერ გიშველის. საქმე კი მხოლოდ ნაღდ ხალხს უყვარს.

განა შეიძლება რუსლან არშბას არ დაეთანხმო?

ასე ცხოვრობენ და შრომობენ ტყვარჩელელები, ასე ეგებებიან სკკპ XXVII ყრილობას, მეშახტის ტრადიციულ დღესასწაულს, მშობლიური ქალაქის დაარსების 50-ე წლისთავს.



მოღის ტყვარჩელის ქვანახშირი.



ეროვნული
გიგლიორთიყვა

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურო თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბორბალოს ამბულატორიის გამგის, ექიმ ლია ვაშაყმაძის ანგარიშს ისმენდა. ლელავდა ახალგაზრდა ქალი. ერთ წამს ისიც მოეჩვენა, რომ ცამეტი წლის მანძილზე თითქოს არაფერი გაუკეთებია... ალბათ ასე ხდება ყველაზე საპასუხისმგებლო წუთებში. ხმაში მღელვარება დაეტყო, მაინც ეცადა, ბოლომდე ეთქვა სათქმელი. ბიურომ მოიწონა მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის, კომუნისტ ლია ვაშაყმაძის საქმიანობა და რესპუბლიკის საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ორგანოებს რჩევა მიეცათ, გამოიყენონ ბორბალოს ამბულატორიის სამედიცინო კოლექტივის გამოცდილება სოფლის სამედიცინო დაწესებულებების საქმიანობის გასაუმჯობესებლად. ლია ვაშაყმაძე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტი-

ტუტის წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1971 წელს, განაწილებით გააგზავნეს სამუშაოდ თეთრი წყაროს რაიონის სოფელ ბორბალოს ამბულატორიაში. ყველაფერი იმით დაიწყო, რომ ორსართულიანი კერძო საცხოვრებელი სახლი, რომელშიც ამბულატორია იმყოფებოდა, სათანადოდ უნდა მოეწყო. არც დაუყოვნებია. მოსაცდელი, რევისტრატურა, ავადმყოფების მისაღები სამუშაო ოთახები, ქირურგიული, პირველი დახმარების პიგიენური კაბინეტები, საინექციო და საპრეპარატო, მალე სოფლის სამსახურში ჩადგა. ბორბალოს ამბულატორია სამედიცინო სამსახურს უწევს ოთხ სოფელს — ბორბალოს, ვაშლოვანს, ლოუბანს, ერტისს. სასწრაფო დახმარების მანქანა არ ემსახურება სამედიცინო პერსონალს. როცა ლია ექიმმა მოსახლეობის სრული დისპანსერიზაცია განიზრახა, მას ხშირად შეხვდებოდა, მეურნეობის სატვირთო მანქანით რომ

გადაჰყავდა რაიონის ცენტრში მშრომელები რენტგენის, ბიოქიმიური და სხვა კომპლექსური ანალიზის ჩასატარებლად. ეწინააღმდეგებოდნენ: სად სცალია გამრჯე კაცს გამოკვლევისათვის, მით უმეტეს, თუ არაფერი აწუხებსო. იძალა ლია ექიმმა. 1900 კაცმა დისპანსერიზაცია გაიარა. ახლა ბორბალოელებს უყვართ იმ დღეების გახსენება, ახალბედა ექიმმა მუშაობა რომ დაიწყო. ტანმორჩილ, პატარა გოგონას ეჭვის თვლით შესცქეროდნენ. არ სჯეროდათ მისი. სწორედ იმ დროს მიიყვანეს მასთან ავადმყოფი, რომელსაც ცეცვის დროს ფეხი დაეზიანებინა და შეუჩერებელი სისხლის დენა ჰქონდა. ოპერაციის შემდეგ ერთ კვირაში შეხორცდა ჭრილობა. ნაბიჯ-ნაბიჯ, მოთმინებით, შრომითა და რუდუნებით მოვიდა მასთან სოფლის დიდი პატივისცემა, ნდობა და სიყვარული. იგი მარტო ექიმი არ არის. ბორბალოელების ყველა გასა-

ჭირი თავისად მიაჩნია. ამიტომ, რომ მისი ხელი ურევია ბაგა-ბაღისა თუ ინჟუბატორის განსნაში, შარავზაზე დღის განათების მოწყობაში. რამდენს ზრუნავს, რომ სოფელში უხვად იყოს წყალი, ამბულატორიის, სასოფლო საბჭოს და მეურნეობას ჰქონდეს ცენტრალური გათბობა. ...დღე დღეს მისდევს, კვირა კვირას. ადამიანთა კეთილდღეობაში დალეული არც ერთი დღე არ ჰგავს ერთმანეთს. ცხოვრება და დიდი საქმეები წინა აქვს ახალგაზრდა ექიმს. **შოთა ბააკაშვილი, ნოდარ მაღრაქაძე.**

აღრიკა

ლია ვაშაყმაძე

ჩვენს ამ იდუმალ შეხვედრებში

1 საშუბის ტყეში ნუკრი მოვიდა, იამ თვალები გაახილა, აპრილის ნატერფალზე ბალახი მღერის, მღერის.

ჩავიმალეები მე შენს ფოთლებში, ნეტარი არის დილა აპრილის, ჩავიმალეები შენს კალთაში, ჩემო სამშობლოვ, და გალობას დავიწყებ ჩუმსა.

2 არა გლახაკსა და არა მავანს, მე მას ვუჩვენებ ცისიერ სავალს, ვინაც შობილა ელვარე ფრთებით და ვინც იხილა გრძნეული მთები.

3 გაშავებული ყვირილა, თავჩაქინდრული გვირილა,

ლიბომოთხრილი სოფლები, გადაძახილი ისმის,

აიმ გორიდან, გორიდან. იმ მიძინების გორიდან შუქრუთის შორი-შორიდან ნიავს რომ ჩურჩული მოაქვს, ვისი ხმა არის, ვისი?

— მოიგონებდეთ ხვალესაც, გფარვიდეთ მადლი მისი, ნიავს რომ ჩურჩული მოაქვს, ვისი ხმა არის, ვისი?

4 ისე გულგრილად, ისე გულგრილად ჩაუვლის ამ პატარა სასწაულს იგი, ამ პატარა, უთქმელ სასწაულს — იას, გაღიმებულს შუაფხოსთან... შენ არასოდეს მიენდო ამ კაცს.

5 თავად ზენაარი ურევია ამ სიახლოვეში, ლეგი, ჩვენს ამ იდუმალ შეხვედრებში პლანეტადან პლანეტაზე რომ იმართება. რა არის ეგა? ვერ გამოგია — ერთმანეთს ვხვდებით და მარადის ერთმანეთს ვეძებთ...

6 მარტის შმაგი შრიალია შიშველ, შიშველ რტოებში. როგორა ხარ, მამაჩემო, მაგ შენს სიმარტოვეში.

7 ვიცი, შენ იგრძნობ ამ სულის ქროლვას და ნათლისაკენ ჩემს ღვთიურ ლტოლვას უკვე რამდენი წელია, წელი, გეძახი. გეძებ, გენუკვი, გელი,

სხვისთვის არნახულს გარგუნებ ნათელს. დაჭრილ არწივის პატარა მართვევ,

უნდა მოგძებნო, შენ უნდა განახო. დიდგორის ველის ყვავილო ლალო,

შენ ხარ ნინველა, შენ ხარ ნინველი, შენ ხარ ნანატრი, უცხო ფრინველი.

უშენოდ მტკივა, უშენოდ მცივა, შორით, ბურუსში, მოჩანხარ სხივად.

შენა ხარ, შენა, სულია შენი, ვისაც დაეძებს ანდერძი ჩემი.

8 სულო, გარწევს შენ გრიგალი ცხელი, სულო, ნათლის ნაკადულში ღხინობ. ჭამე, ჭამე, შენ ეგ პური ცრემლის, დააყოლე მერე ცრემლის ღვინო.



ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენის ცენტრი გაზონებსა და სკვერებს დაუშვებინა.

კოლმეურნეობის გამგეობის შენობის გვერდით კულტურის სახლი წამოჭიმულა. ირგვლივ მწვანეში ჩაფლული კოხტა შენობებია ჩარიგებული.

კულტურის სახლში ჩამოყალიბებულია ხალხური სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა მთელ საქართველოში ისახელა თავი. სამოღდე წლის წინათ ანსამბლმა რესპუბლიკურ დათვლიერებაზე საერთო მოწონება და მეორე ხარისხის დიპლომი დაიმსახურა.

რაიონის მშრომელთა შორის პოპულარობით სარგებლობს ნარაზენის კულტურის სახლთან არსებული საცენტრადო ანსამბლი „მეგობრობა“.

უკანასკნელ ხანებში სოფელმა სასიკეთოდ იცავდა იერი. დაშვებულა ქუჩები, ნარაზენის ცენტრში აშენდა ეკლარის ქვით მოპირკეთებული ორსართულიანი უნივერსალური მადაზია, კოლმეურნეებს შიდა სასოფლო გზებზე მომსახურებას უწევს ავტობუსი.

ნარაზენში ახლა ორი საშუალო და სამი დაწყებითი სკოლაა. გახსნილია ორი კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღი, რომლებშიც ნორჩებს ყოველდღიურად სამჭერადი უფასო კვება აქვთ...

როცა სოფელს უნარიანი თავკაცი ჰყავს, როცა მშრომელები თავმჯდომარებს ენდობიან და საიმედოდ უდგანან მხარში, ყველაფერი სწრაფად და ხარისხიანად კეთდება.

შრომისა და მეტი მაღლი ედება. სწორედ მიხეილ ლომიას თავმჯდომარედ არჩევის შემდეგ გაიმავრა მუხლი კოლმეურნეობამ; სწორედ ბოლო ხანებში წარმოიჩინეს შრომაში თავი კოლმეურნეებმა: ლენინის ორდენოსანმა ნათელა მირგატამ, ალექსანდრე გრიგოლიამ, გული ქაავამ, ბადრი ბერიშვილმა, გოგოლა თოდუამ და სხვებმა.

ერთსაც ვიტყვი: გამარჯე ადამიანების შრომით ნარაზენის კოლმეურნეობის წლიურმა შემოსავალმა ოთხ მილიონამდე მანეთს მიაღწია, წმინდა მოგება კი მილიონ-ნახევარი მანეთი შეადგინა.

დავით ჩაჩიბაია,

„დროშის“ საციალური კორესპონდენტი.

ორი მრავალთაბანი

1902 წელს გერმანელმა საქმოსანმა ფრანც პროცერმა დადიანისაგან იყიდა სოფელი ნარაზენი და იქ სპირტსახდელი ქარხანა ააშენა.

გალატბონ თოდუა: „რვა წლის ვიყავი, პროცერის ქარხანაში რომ დავიწყე მუშაობა. მახსოვს, ის გერმანელი მუდამ მათრახით ხელში დავდიოდა. როცა კარგ ხასიათზე იყო, მაშინაც „შვიანს“ გვეძახდა. შემდეგ გავიგეთ, ეს სიტყვა ჩვენებურად თურმე ღორს ნიშნავს. ხარბი კაცი იყო, თვლი მხოლოდ გამოძალვასა და მოგებაზე ეჭირა.

ოთხი წელი ვიმუშავე ქარხანაში. 1917 წელს რევოლუცია რომ მოხდა, ჩვენი ქარხნის ბიჭებმა გაიხარეს. გავიდა დრო და საქართველოს მენშევიკური მთავრობა დაეპატრონა. ნამეტანი გაქირდა ცხოვრება, კვერცხი რაა, ერთი კვერცხის ფასმა 1000 მანეთს მიაღწია.

სოფელ ნარაზენში 1926-1927 წლებში დაარსდა კოლექტივი „ალი“, რომელიც 23 კაცს აერთიანებდა, მათ შორის ვიყავი მეც.

ერთ დღეს ზუგდიდის მაზრიდან რაიგრონომი ამოვიდა, გვარად შელია. ჰოდა, გვიჩიოდა, ჩაის პლანტაცია გავვეშენებინა. ყველამ ვერ გაბედა ამ ახალი საქმისათვის მიეციდა ხელი, მხოლოდ ექვსმა დავეუქირეთ აგრონომს მხარი, ავდექით და ორ ჰექტარზე გავაშენეთ ჩაის პლანტაცია, მერეღა გავიგეთ, ზუგდიდის რაიონში პირველად თურმე ჩვენ გავვეშენებია ჩაის კულტურა. მალე სხვებმაც მოკიდეს ამ საქმეს ხელი. 1935 წელს ჩვენთან უზარმაზარი ჩაის ფაბრიკა რომ აშენდა, ახლო-მახლო სერები ჩაის ბუჩქებით იყო დაფარული. პირველი ტრაქტორი ნარაზენში კოლია თოდუამ ააგუნა 1935 წელს“.

ნიკოლოზ თოდუა: „პირველისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ერთ-ერთი ვარ იმ თექვსმეტი კაციდან, ზუგდიდის მაზრიდან თბილისში რომ გავაგზავნეს ტრაქტორის მართვის შესასწავლ კურსებზე. ჩვენ მანამდე ტრაქტორი თვალთაც არ გვენახა, არც თბილისში ვყოფილვართ ოდესმე.

1931-1933 წლებში ნარაზენელები

მასობრივად შევიდნენ კოლმეურნეობაში. მალე ერთი კი არა, რამდენიმე ტრაქტორი აუგუნდა ქანისწყლის ქალებზე. ამ ტრაქტორებს მაკარ თოდუა, ტიხონ თოდუა, ბაგრატ სხულუხია და სხვები მართავდნენ“.

დაიწყო დიდი სამამულო ომი. სოფელმა 490 ვუკაცი გაგზავნა ფრონტზე, მათ შორის იყვნენ კოლია და გალაქტიონ თოდუებიც.

კოლია თოდუამ ბერლინამდე სდია მტერს. წითელი ვარსკვლავის ორდენი და 21 მედალი დაიმსახურა. 1945 წელს იგი დაჭრილი დაუბრუნდა სოფელს.

გალატბონ თოდუა: „ხუთი ბავშვი დავტოვე შინ ომში წასვლის წინ. პირველად კავკასიის მისადგომებთან ვიბრძოდი. აქ შვიდე მედალი „კავკასიის დაცვისათვის“, შემდეგ კიდევ 10 მედალი დავიმსახურე. კავკასიის მისადგომებთან ჩვენს ქართულ დივიზიაში იბრძოდა კაპიტანი ბუხაიძე. ერთ საღამოს, ბრძოლების მერე, ხმა გავარდა, ბუხაიძე მოკლესო. ახლა ქვეყანამ იცის მისი გმირობა. 33 წლის მოხუცი ვარ და კარგად მახსოვს ირაკლი აბაშიძის ლექსი: „მე, ქართველი ბუხაიძე, ბალყარეთის მთებში ვწვიარ“... კი მახსოვს“.

ნისქვილი მწვანე ველზე

უზარმაზარ მწვანე ველზე, რცხილებთან ჩაყურსული წყლის წისქვილის ანჯამებთან კარზე მიწებებულ რვეულის ფურცელზე წერია: „წისქვილი მუშაობს კვირაში ორ დღეს: ორშაბათს და კვირას. გთხოვთ მობრძანდეთ დანიშნულ დღეებში“.

აქ, წისქვილის მარჯვნივ, 60 ჰექტარზე გადაჭიმულია მრავალწლიანი მწვანე ბალახი, მარცხნივ, 2 ჰექტარი საბოსტნე ფართობს უჭირავს. სწორედ საბოსტნე ფართობიდან მოსულიყო სოციალისტური შრომის გმირი ქსენია ბიგვავა. ძელ-ნაამზე ჩამომჭადარი ოფლით დაცვარულ სახეს კილის ქუდიც ინიავებდა. აქვე იყვნენ ფერმის გამგე მირიან ბიგვავა, ზოტეტიკოსი მიხეილ პაქკორია, ბულალტერი გერონტი ნაღარია, ეკონომისტი მამუკა თოდუა.

შარშან ქსენია ბიგვავას ბრიგადამ დიდი გადაჭარბებით შეასრულა როგორც ბოსტნეულის, ასევე ჩაის ფართის კრეფის გეგმა.

— წელს გვიან დაიწყო ვეგეტაცია, გვიან გავედით ჩაის საკრეფად, — უკმაყოფილებას ვერ მალავს შრომის გმირი.

— მართალია, ამინდმა ხელი შეგვიშალა, — ეთანხმება ფერმის გამგე. — მერე რა? — იღიმება მთავარი ბულალტერი, — შარშან ამ დროს 1150 ტონა ჩაი იყო მოკრეფილი, წელს კი 1180 ტონა, შარშანდელ ამ დროსთან შედარებით 30 ტონაზე მეტი.

— ამინდის ჭირვეულობამ დიდი ზიანი მოგვყენა, ციტრუსების ახალი ნარგავების 80 პროცენტი დაიღუპა, — თქვა მიხეილ პაქკორიამ, — დავბერდი კაცი და ამისთანა ყინვები წელს რომ იყო, არ მახსოვს.

— მეციტრუსეობაში გამოწვეულ ზარალს სხვა ღარების წარმატებით დავფარავთ, — მიუგო ფერმის გამგე მირიან ბიგვავამ და ჩაფიქრებულმა გაანგრძობ, — 1982-1983 წლებში თანამედროვე ტიპის ორი ფერმა ავაშენეთ. მერე ლენინგრადის ოლქიდან ჩამოვიყვანეთ შავ-ჭრელა ჭიშის 200 სული დეკეული. დღეისათვის სულალობამ 550 პირუტყვს მიაღწია. შარშან ერთ ფურზე მივიღეთ 2459 კილოგრამი რძე, წელს 3000 კილოგრამამდე რძეს მივიღებთ.

— საკვები?

— საკვები საქმარისზე მეტი გვაქვს, მეზობელ კოლმეურნეობებსაც კი ვაძლევთ. 60 ჰექტარ მინდორზე ელდად ბერიშვილის უგანრიგო ბრიგადა მუშაობს, — ამბობს მამუკა თოდუა, — კარგი ბიჭები არიან. ელდარი კოლმეურნეობის კომპაგვირის კომიტეტის წევრი და სასოფლო საბჭოს დეპუტატია... გახედეთ, ჩვენი კოლმეურნეები აქეთ მოდიან, შუადღეს აქ ისვენებენ ხოლმე.

ახლად მოსულმა ელდარ ბერიშვილმა თავისი ბრიგადის წევრები გამაცნო: დემურ მესხი, ვალკო თოდუა, ვალერი თოდუა, არველოდი გოლიბიანი.

— ჭემალი და გიგლა ჩემი უმცროსი ძმები არიან, — ამისხნა ელდარმა, — ასე რომ, ბრიგადაში შვიდი კაცი ვართ გაერთიანებული.

— მომიჯნავე სპეციალობებს თუ ფლობთ?

— რაც ტექნიკასთან, ტრაქტორთან არის დაკავშირებული, ყველა სპეცია-

აღობას ვფლობთ. როდესაც მინდორში გასულელებს ტრაქტორი ვაკვირდებით, ყოველ ჩვენთაგანს ადგილზე შეუძლია ტრაქტორის შეკეთება.

— რა დადებითი მხარე აქვს უგანრიგო ბრიგადას?

— დადებითი მხარე ბევრი აქვს. — გაიღმა ვალიყო თოდუამ, — რაც მთავარია, ბრიგადის წევრები პირად საქმეზე უფრო მალა ბრიგადის საერთო ინტერესს ვაყენებთ.

— ეს ასე რომ არ იყო, ბრიგადა დაიშლებოდა, — საუბარში ჩაერია ჭეშმარიტი ბერიშვილი.

— რა თქმა უნდა, — განაგრძო ვალიყო თოდუამ, — თითოეული წევრი მონდომებულია, არ ჩამორჩეს თავის ამხანაგს. ასეთი განწყობილება ხელს გვიწყობს ბრიგადის წარმატებებში. ახლახან დავამთავრეთ სენაუი მეცხოველეობისათვის. ციფრობრივი მონაცემებით თუ ვიტყვით გეგმიური 8000 ცენტნერის ნაცვლად 8000 ცენტნერი დავაშაღდეთ.

— ანაზღაურებაზე რას გვეტყვი?

— ანაზღაურება კარგია. წელიწადში დაახლოებით 3700 მანეთს ვიღებთ...

ბრიგადის წევრებმა ტრაქტორებისაკენ გასწიეს. შესვენება დასთავრდა.

კოლმეურნეობის გამგეობის შენობასთან საშუალო ტანის კაცმა მიიპყრო ჩემი ყურადღება. იგი პედაგოგი ბორის ბიგვაძა აღმოჩნდა. ომისა და შრომის ვეტერანი ბორის ბიგვაძა წითელ მოედანზე 1941 წლის 7 ნოემბრის პარადის მონაწილე, მრავალი ორდენისა და მედლის კავალერია. მან ორი პატარა წიგნიც დაწერა, რომლებშიც სოფლის წარსული და დღევანდელია ასახული.

— ჩვენმა თავმჯდომარემ მიხეილმა ზუგდიდის რაიონში ერთ-ერთი ჩამორჩენილი სოფლიდან გამარჯვების კვარცხლბეკზე აკვირვანა, — მიიხრა ბორის ბიგვაძამ, მერე კოლმეურნეობის გამგეობის შენობის შორიანლო შინამოსვლელთა ობელისკთან მიიყვანა და დადუმდა.

ამ პატარა სოფლიდან 148 კაცი არ დაბრუნებია თავის კერას. მათი უკვდავი მოგონების ნიშნად აუგიათ ეს დიდებული არქიტექტურული ძეგლი...

გავიგე, რომ პარტიის ზუგდიდის რაიონული კომიტეტიდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე სოფელში დაბრუნებულიყო.

მე უკვე ზოგი რამ ვიცო კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე. ნარაზუნის მკვიდრმა მიხეილ ლომიამ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ, მუშაობა დაიწყო სოფლის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში ბრიგადირად. აქედან დაიწყო მისი შრომითა და ძიებით აღსავსე გზა. ჯერ ჩაის ფოთლის ჩამბარებელი აგრონომი იყო, მერე ჩაის ფაბრიკების საწარმოო გაერთიანების აგრონომი; მალე ნარაზუნის ჩაის ფაბრიკის აგრონომი გახდა, ხოლო 1979 წლის დეკემბრიდან ნარაზუნის სტალინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარედ აირჩიეს. იგი

ახლა „საპატიო ნიშნის“ ორდენის კავალერია.

რამდენიმე კითხვა კოლმეურნეობის თავმჯდომარეს

კაბინეტში შესვლისთანავე ფეხზე წამოდგა კალარა, საშუალო ტანის კაცი.

კოლმეურნეობის თავმჯდომარეს მიხეილ ლომიას ვეკითხები:

— თქვენს კოლმეურნეობაში დანერგილია შრომის ანაზღაურების ბრიგადული ფორმა. რა როლი ითამაშა მან შრომის ნაყოფიერებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების საქმეში?

— შრომის ანაზღაურების ბრიგადულმა ფორმამ კარგი შედეგი მოგვცა. ნაკლებია ერთეულ პროდუქციაზე დანახარჯები, უდანაკარგოდ ვიღებთ მოსავალს, გაწეულია საწვავის ეკონომია, რაც მთავარია, ნაკლები გვიჯდება შესრულებული სამუშაოს ღირებულება.

— ბრიგადული ფორმის დანერგვით რომელმა დარგმა როგორი შედეგი მოგვცა?

— ძირითადი წამყვანი დარგი კოლმეურნეობაში მეჩაიეობაა. ჩვენთან შექმნილია მცირე მექანიზაციის ორი ბრიგადა და მექანიზაციის ორი რგოლი, რომელთაც შარშან კარგი შედეგი მოგვცეს. ვფიქრობ, წელს უკეთესი შედეგი იქნება. კოლმეურნეობაში გაშლილი სოფმეზობრების შედეგები ჯამდება ყოველთვიურად და კვარტალურად. გვაქვს სხვადასხვა სახის წამახალისებელი ღონისძიება: კოლმეურნეებს უფასოდ ეძლევათ დასასვენებელი საგზურები; ტარდება ფულადი წახალისების და საჩუქრების საზეიმო გადაცემის ღონისძიებანი.

— ამ ხუთწლეულში რა სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო ღონისძიებები განხორციელდება?

— მიმდინარე ხუთწლეულში გათვალისწინებულია დამთავრდეს სავაქრო ცენტრის, აფთიკის, საბავშვო ბაღის, სახბორის მშენებლობა 150 ხბოსათვის; ორ კილომეტრზე დაიდგმება დღის განათების ლამპიონები, დამთავრდება სასოფლო საბჭოს შენობის რეკონსტრუქცია, უახლოეს დღეებში დაიწყება აბანოს მშენებლობა.

ტელეფონის ზარი აწკრილდა. საუბრის მერე თავმჯდომარე მომიბრუნდა — იცით, საბავშვო ბაღში პატარებს გამოსაშვები საღამო აქვთ. ზეიმზე მეპატივებიან, უნდა მივიღო! ნორჩებს რამდენიმე დღეში სურამში ვისტუმრებთ დასასვენებლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე წამოდგა.

... მოსაღამოვდა. სიმინდის ყანიდან „ოდოის“ ღვინო შემომესმა. კოლმეურნეები მღეროდნენ, თავდადებული შრომით ხუთწლეულის დამთავრებელი წლის უხვ მოსავალს ეყრებოდა საფუძველი. დიდება მათ გარჯას.

პუბლიცისტი



ომმა პოეტის გულში წარუშლელი კვალი დატოვა. „ძალა არ შემწვეს, დავივიწყო მში... ომის თემამ ჩაქსოვილი თვით „ვიწრობშიც“, იგი ჟღერს ქართველ პოეტთა თარგმანში, ადრეული წლების ლირიკაშიც... მასსოვს, ომის დამთავრების შემდეგ, მეტიროვმა თავისი ლექსების პატარა წიგნი მაჩუქა. წიგნზე, რომელსაც ერქვა „კომუნისტებო, წინ!“ საშამ წამიწერა: „ძვირფას იურია ანონისს, იმ მიზნით, რომ როცა დავაყვაცდები, შეინარჩუნო სულის სისპეტაკე, გულისხმიერება, რადგან ვაყვაცობით და სინაზით იბადება ნამდვილი პოეზია“.

ხელთა მაქვს თბილისში, რუსთაველის პროსპექტზე, მაღალიაში ნაყიდი მუქი მწვანე ფერის, საკმაოდ მძიმე წიგნი — ალექსანდრე მეტიროვის „ვიწრობი“. მჭიდროდ ნაბეჭდ ხუთასგვერდიან წიგნში აკინძულია ქართველი პოეტების ნაწარმოებთა თარგმანები, ლექსები საქართველოზე, ადრეული წლების ლირიკა...

საშამ მეტიროვი... ჩვენ ორივე მოსკოვის ცენტრის ერთ-ერთ შესახვევში დავიბადეთ და გავიზარდეთ. ამ უბრალო შესახვევის შესახებ, რომელსაც პოეტური სახელი — გელის შესახვევი ჰქვია, ბევრი პოეტი წერდა. მაგრამ დღემდე, ჩემის აზრით, ყველაზე უბადლო იყო და რჩება მეტიროვის ლაქონური, საოცრად ზუსტი სტრიქონები: „ქვეყნად ბევრია ყველას შესახებ ყველაფრის მცოდნე სახლების უსწორმასწორო მწყობრი, რომელთაც ქუდად ცა ახურავთ. გედისა — მხოლოდ შესახვევია. ის არც ქუჩაა და არც პროსპექტი. თითქმის არც შესახვევია, ისე, უბრალოდ, ასი ნაბიჯი სიგრძის შუკაა — ყოველგვარი გედებისა და სანაპიროების გარეშე, — და მაინც ჭეშმარიტად გედისა“.

გედის შესახვევი კრემლთან, ქვის დიდი ხიდის გვერდითაა. ეს შესახვევი მეტიროვისთვის სამშობლოს სიმბოლოა. ორმოცდაერთი წლის შემოდგომაზე ჩვიდმეტი წლის ჰაბუკი პოეტი სწორედ აქედან წავიდა ფრონტზე, წავიდა, რათა დაეცვა მშობლიური კერა, გედის შესახვევი, მოსკოვი, სამშობლო.

ის ბიჭი, რომელიც ალექსანდრე მეტიროვმა გამოიყვანა ლექსში „მოსკოვის დამცველი“ — თვითონვე იყო: „ტანდაბალი და ძვალწვრილი, რა გმირობას ჩაიდენდა, მაგრამ ერთად მისმა კბილა პირტიტველა ჰაბუკებმა მხრებით ზიდეს ის მძიმე დრო, შურისგებით აღვსილებმა... თვით მოსკოვი მათ გარეშე მაშინ ვერას გახდებოდა“...

საშამ უფროსია ჩემზე, და არა მარტო წლებით. ეს ყოველთვის უხილავად იგრძნობოდა როგორც უფროს-უმცროსს შორის, როგორც ბრძოლაგამოვლილსა და ბრძოლაგამოუვლელს შორის ხდება...

ომის თემამ მეტიროვის ბევრ ლექსში ჟღერს. აი, მისი ლექსი „მედესანტები“, აი, მისი ლენინგრადის დაცვისადმი მიძღვნილი ლექსები. აი, მისი ფრონტული ფიქრები და განცდები...


საქართველოსაც მეტიროვმა მახიარა. მისგან გავეცანი საქართველოს კულტურას და ლიტერატურას, ქართული როზიის წარმომადგენლებს, რომლებიც წარმოდგენილნი არიან აქაც — „ვიწრობში“.

ალექსანდრე მეტიროვის მიერ ბრწყინვალედ შესრულებული ამ შესანიშნავი პოეტების თარგმანები მკითხველს აძლევს ღრმა და ფართო სურათს საქართველოზე, მის ისტორიაზე. ბრძოლებსა და გამარჯვებებზე, ნათლად ნატავს ნიჭიერი ქართველი ხალხის მრავალმხრივი ცხოვრების ვრცელ სურათს.

ვაყვაცობითა და სინაზითაა საესე პოეტის ლექსები, თარგმანები. ქართული პოეზიის დიდი ერთგული მეგობრის ალექსანდრე მეტიროვის წიგნი „ვიწრობი“. შესანიშნავი საჩუქარია არა მარტო პოეზიის მოყვარულთათვის, არამედ ყველასათვის, ვისთვისაც ძვირფასია საქართველო და რუსეთი, ჩვენი დიდი საბჭოთა ქვეყანა, ჩვენი ურდევნი ძმური მეგობრობა!

60 წელთან დაკავშირებით ალექსანდრე მეტიროვი შრომის წითელი დროშის ორდენით დააჯილდოვეს. მისი ტალანტის მადლიერ მკითხველთა მილოცვებს მეც ვუერთდები.

იური ანონისი



საპროლეტარია



პიონირობა

თანაც გომოლაკა

ლიც გამოვნახეთ. ძმებმა აქაც ერთად შეეუტიეთ, საძირკველი ჩაეყარეთ და კედლები ავიყვანეთ.

იმ კვირა დღეს დილიდანვე დიდი ოფლის ღვრა გვქონდა — აგურის რამდენიმე ზოლის დაწყობა გვაკლდა და სახურავის კოჭებსაც გავდებდით.

ჩვენ რომ მუშაობაში ვიყავით, იმ დღეებში მოდიოდა დედაჩემი, შორიასლო ჩამოვლდებოდა, ნიკას ხელის გულზე დაიყრდნობდა და ასე ჩუმად შემოგვეყურებდა. მხოლოდ ერთი აზრის ამოკითხვა შეიძლებოდა მის ნეტარ გამოხედვაში: „თქვენ გენაცვალოთ დედაო!“

იჯდა ასე. ჩვენ კი, ოთხივე ძმანი, ვმუშაობდით. მეზობელთაგან ვინმე ყოველთვის გვეხმარებოდა, თითო-ორიოლა, ზოგჯერ უფრო მეტნი. მე და სანდრო კედელს ვაშენებდით, დათიკო აგურს ვაწვდიდა, ხსნარს ვედროებით ეზიდებოდა, სოსა კი ხსნარს გვიშადავდა. ყველამ ჩვენი საქმე ვიცოდით, ყველაფერი საათივით ზუსტად გვქონდა აწყობილი.

სამოსახლოდან მთელი სოფელი ხელისგულივით ჩანდა, ჩვენი ლამაზი, მწვანეანში ჩაფლული სოფელი, ბალ-ვენახებითა და ხოდაბუნებით გარშემორტყმული.

გზა ჩვენს სახლთან ამოდიოდა და ზემო სოფლებისაკენ მიემართებოდა. ახლა ჩვენს მამაპაპურ სახლს ორი კარგად გამართული სახლი ამოუდგებოდა აქეთ-იქით, სანდროსი და დათიკოსი, მერე სოსაზეც ვიფიქრებდით... ღმერთმა ხელი მოუშართოს, ეს ერთი ქორწილიც გვექნება, ერთ სახლს კიდევ წავუშაბებთ ჩვენი სახლების გვერდით და პატარა უბანში სულ ჩვენ ვიქნებით, ჩვენი საგვარეულოს ნაბარტყით.

ამ სასიამოვნო ფიქრებს საამო ქრუანტელიც მოჰყვებოდა.

კვირა დღე იყო, ვმუშაობდით. ნაშუადღევს სკოლის ზარის გამუდმებული რეკვა შემოგვესმა. სწავლა ერთი თვის

წინ დამთავრდა. თანაც გამოსასვლელ დღეს რა რეკვა აუტყდათ-მეთქი, გავიფიქრე. ალბათ ვილაც ცულლუტობს, სკოლის აივანზე აძვრა და გასართობიც გამოიხანა.

მახლობელ უბანს გადავხედეთ. ორლობებიდან გზაზე ხალხი ჯგუფ-ჯგუფად გამოიშალა.

დედაჩემი ცივად წამოდგა, ნიკაზე მიდებული ხელი ჩამოუვარდა და ასე გახვევებულმა გადახედა სოფელს. არ ვიცი, წინათგრძნობა იყო თუ სხვა რამ ძალა, ავის მოლოდინში სახე გაუფითრდა. უძრავად იდგა და ხმას არ იღებდა. მერე უცებ შემოტრიალდა ჩვენკენ. მე, სანდრო და ჩვენი მეზობელი, შიოლა, ხარაჩოზე ვიდექით. დათიკო და სოსა დაბლა იყვნენ ქვიშისა და კირის ახორავებულ ნარევთან.

ზარის ხმა არ წყდებოდა. ჩვენც ასე ვიდექით და ველოდით, რა მოხდებოდა. სულ კი ორიოდვე წუთი გავიდა. შიოლას ალბათ საუკუნედ ეჩვენა ეს დრო, ველარ მოითმინა და დაიძახა:

— ალარ უშლიანი?!
მამაპაპურ ეზოში ცაცა დავინახე, შინიდან უცებ გამოვარდა, აქეთ-იქით მიმოიხედა. დაბნეულსა ჰგავდა. გასაქცევ გზას თუ ეძებდა. ჭიშკრისკენ კი არ წავიდა, ლობეს მოაწყდა ჩვენს მხარეს. მამინევე ფხაჭანი ჩავიტიანე ეზოში, ლობეს ვეცი. დღას ქალი და ცრემლი ლაალუპით ჩამოსდის.

— რა იყო, რა მოხდა?
— ომი!..

ჯერ მე დამიძახეს, მერე სანდრო და დათიკო წაუყვანიათ. სულ ბოლოს სოსასაც წამოუკიდია ხალთა და ომის სისხლიან გზას დასდგომია.

ჩემი ძმებისა არა ვიცი რა, სად იარეს, როგორ იარეს, სად და როგორ იბრძოდნენ. ნახევარკაცი შინ რომ დავებრუნდი, ორი შვიც ქალაღი დამხვდა; სანდრო და დათიკო დაღუპულიყვნენ. სამშობლოსათვის მამაცთა სიკვდილით დაეცნენო, გვატყო-

დრო ყველაზე დიდი მკურნალიაო... კარგა ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც ძმები დამეკარგნენ; დრო კი ვერ მოერია ჩემს ჭრილობებს. დრო ცოტას აწუშებს, ცოტას ანელებს და ალბათ ეს არის ნუგეში ადამიანისა, ამიტომ იტყუებს თავსა, დრო დიდი მკურნალიაო.

ოთხი ძმანი ვიყავით: მე, სანდრო, დათიკო და სოსა. ამათში უფროსი მე გახლდით. მათ დაზრდა-დავაყვაცებამი დედაჩემს მხარში ვუდექი. ცხონებული მამაჩემი ადრე გარდაიცვალა, სულ ახალგაზრდა. ექიმებმა ვერაფერი გაუგეს, ალბათ წერა იყო განგებისა. ღმერთმა მისი სული გაანათლოს, სულ კარგად გამახსენდება, რადგან ოჯახის კაცი იყო, ცოლ-შვილის მოყვარული.

დედაჩემი ოთხ ვაჟსაც შემოგვეყურებდა და ჩვენი ხარობდა.

ვიზრდებოდით და სოფლის გოგოების მღელვარებაც იზრდებოდა. ასე იყო, ღმერთმანი! აკი ამ მღელვარებამ ნაყოფიც გამოიღო და სიყვარულით ერთმანეთს დაგვაკავშირა მე და ცაცა. ოჯახი შევქმენით, გაიხარა სახლ-კარმა, გვეყოლა შვილები. ჰა და ჰა, მამაპაპურ სახლში ვეტეოდით და თანაც ვერა; ჩვენი კერიის ოთხ ბოკვერს, კიდევ ორი პატარა ბოკვერი შემოემატა. მალე ჩემი ძმებიც დაქორწინდებოდნენ, იმათაც ეყოლებოდათ თავიანთი მოღვაწე... ითვალე, ღმერთო, შენი ნაშვილი, თუკი მადლიანი თვალით გადმოხედავ შენს სამწყსოს და ბოროტებას ალაგმავ დედამიწიდან!

კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო!

რა ყოფით ემზადებოდა საქორწილოდ ჩემი მომდევნო ძმა, სანდრო! გოგო ჰყავდა ამორჩეული, მართლა ლამაზი, შავთვალწარბა და მოქნილი. ლამარას სიყვარულით ლამის დაგვეწვა ბიჭი. ნეტავი გენახათ, პირველ ხანებში როგორ იტანჯებოდა. ალბათ გოგოს თავი განზე ეჭირა. მაგრამ მალე ესენიც დავაქორწინეთ. ჩვენი, მამაპაპური, სახლის მახლობლად პატარა სახლი დაიდგეს.

ოთხივე ძმას აგვყავდა ამ სახლის კედლები. გადავხურეთ, გავლესეთ, გავალამაზეთ და ნეფე-დედოფალი დავაბინავეთ.

მალე მომდევნო ძმას, დათიკოსაც გაუჩნდა გულის სწორი, ყუყუნა. სულ უმცროსს, სოსასაც მოედო სიყვარული. მეზობელ სოფელში ეთერი შეჰყვარებოდა, იმის სურათს სათუთად ატარებდა. ერთმანეთს რაიონის კულტურის სახლში ხვდებოდნენ, კარგი მომღერლები იყვნენ და კონცერტისათვის ემზადებოდნენ.

ასე და ამრიგად, ჩვენკენ სიკეთეს უჩანდა პირი. ასე ჩამოიარა და ჩვენს გულებში გაჩერდა ჩვენი წილი სიყვარული, ადამიანების აშენების, გამრავლებისა და სიკეთის ეს თავანკარა წყარო.

რა ყოფით ვემზადებოდით დათიკოს და ყუყუნას საქორწინოდ! სექტემბერში უნდა გადაგვეხადა ოჯახური ზეიმი. ნაყოფი გვყავდა დეკაული, საბურღებიდან ავაფრინეთ წიწილები, შარშანდელი ღვინო გადავიღეთ... სასახლკარე ადგი-



ბინებდნენ ნაწილიდან. სოსასი არც ავი ისმოდა, არც კარგი. გავიკითხ-გამოვიკითხეთ, არქივების ქალაქები გადაქექეს და კომისარიატში ასეთი პასუხი მივიღეთ, უგზოუკვლოდ დაიკარგაო.

დედაჩემი შვილების დარდს გადაჰყვა. ლამარამ ქმრის კერა არ გააცია. შვილი არ დარჩა, სხვა კაცზე თვალი არა და არ დაიჭირა. ასეთი შავი ქალაქი ბევრს მოსვლია, მაგრამ კაცი გამოჩენილაო, იმედს არ კარგავდა, ნიადგა გზას გაჰყურებდა, ქმრის სიკვდილი არა სჯეროდა, რაღაც სასწაულს ელოდა.

ეს რომ ასეთი იყო და ერთგულების ფიცი არ გატეხა, დათიკოს სწორი სულ სხვა ქარგაზე აღმოჩნდა აჭრილი — კიდევ გათხოვდა და შვილებიც ბლომად დაიხვია. ღმერთმა ხელი მოუშარათოს, იქნებ ასე სჯობდა!

სოსასაც ჰყოლოდა დანატოვარი — მალული ტრფობის ნაყოფი. ეთერიმ შვილიც შეინარჩუნა და ერთგულების ფიციც არ გატეხა, არც ჩვენ დაგვიმალა. პატარა ლელას ხშირად მოიყვანდა ხოლმე მეზობელ სოფლიდან. უგზოუკვლოდ დაკარგული სოსას დაბრუნების იმედი არ უქრებოდა. დრო კი ვადიოდა. ამ ლოდინში მოკვდა ეთერი. ცხარე ცრემლი დავიტირე ჩემი სოსას ერთგული ადამიანი. ლელა უკვე შეღერებული იყო, მამის მშვენიერი თვალწარბით გადახატული. მამის სურათი შინაც ჰქონდა, მაგრამ ჩვენსა რომ მოვიდოდა, კედელს ისე მიაჩერდებოდა, თითქოს ცოცხალს უყურებდა. მშობლიური სიყვარულის გამოუნ-

ლებელი სევდა უღვივოდა გულში.

სურათით გაცნობილი მამა! გავიდა ათი, ოცი, ოცდაათი, ოცდათხუთმეტი წელი...

იმედის ყველა კოკა დაიშრიტა. ცხოვრებამ ახალი გზები გვიჩვენა, ახალი საზრუნავი მოგვიმატა. ჩემი ბიჭები დაიზარდნენ, ორივე დავაქორწინე, შვილიშვილებიც გაჩნდნენ. ლელაც ვავათხოვეთ თავისავე სოფელში, ქალ-ვაჟი შეეძინა. ბავშვები ხშირად გადმოჰყავდა ჩვენსა და იყო მზარდების ჟივილ-ხივილი.

ერთად გადაღებული ვაჟაკების სურათი კი კედელზე თანდათან ყვითლდებოდა. ალბათ ოდესმე ისე გამოშრებოდა, გამოიფიტებოდა, თავისით ჩამოიფერფლებოდა. მაგრამ ჯერ იყვენენ, იყურებოდნენ კუშტად, გოროზად, ამაყად, წუთისოფლის სამღურავით...

მე დავბერდი, ისინი ჯეველებად დარჩნენ.

საღამოობით სახლის კიბეზე ჩამოვჯდებოდი და თუ ჩემიანები სადმე იყვნენ გაკრეფილები, ფიქრს მივეცემოდი. მიყვარდა ჭიშკრისკენ ცქერა, რადგან ჭიშკარი მიმსგელომომსგელისაა და ყოველთვის ვილაღას ელი...

ერთ დღესაც, ასე ვზივარ. ხის კოვზს ვჩორკნი. ცაცამ ხბო გადაბა და უფროსი ბიჭის სახლში გადავიდა, შვილიშვილებს მივხედავო. მყუდროებაში მარტო დავჩინი. ვთლი და ფიქრში დავბორიალობ. ამ ხნის კაცს ბევრი მოსაგონარი დამიგროვდა და მეც ყოველთვის სახეტაროს ამოვიჩრჩევდი. უნებლიედ ნაღვლიანი ფიქრით ვამივლიოდა.

ჩვენს გზაზე მანქანა იშვია-

თად გამოჩნდებოდა, კოლექტივისა ან სატყეოს საბარგული თუ არახრახნდებოდა...

ნაშუადღევ იყო, სიო ქროდა, ბალახი ბიბინებდა, ჩიტი ვალობდა, ფოთლები ერთმანეთს ალერსით ეჩურჩულ-ეშარისურებოდნენ, ხბო დედის მოლოდინში ზმუოდა, სადღაც ბავშვები ჟივივებდნენ. ძალი ყუფდა... და მაინც საოცარი მყუდროება სუფევდა. ვიჯექი და ციციქნა ანაჭრებს ფეხთან ვიყრიდი...

მსუბუქი მანქანის ხმა შემომესმა. ავიხედე. შავი მანქანა ზედ ჩვენი ჭიშკრის წინ გაჩერდა. ფარღალა ჭიშკრის ღრუბლებში თითქმის მთელი მანქანა ჩაიხატა. წამოვდექე, კალთა ჩავიბერტყე, საჭრეთელი და დაუმთავრებელი კოვზი ცალ ხელში დავიჭირე, მეორეთი შუბლი მოვისრისე. „თუ ჩვენთან არი?...“ — გულში გავივლე და სწორედ ამ დროს რბილად დაიდგაფუნა მანქანის კარმა. ტანადმა, თმაშვერცხლილმა მამაკაცმა ჭიშკარი ფრთხილად შემოაღო, ეზოში შემოვიდა. ნაცრისფერი კოსტუმი ეცვა, უცხო იერი დაჰკრავდა. არ ვიცი, დამინახა თუ არა, რაღაც უცნაურად მოიქცა, იქვე, ჭიშკართან დაიჩოქა და მიწას ემთხვია. მერე უმაღლწამოღდა. მისი ამ უცნაური საქციელის გამო ისე დავიბენი, ისე ავლეული, თვალთ დამიბნელდა და მხოლოდ მაშინ მომეცა სინათლე, როცა იგი სწრაფი ნაბიჯით მომიახლოვდა და ორ ნაბიჯზე გაჩერდა მთლად გაფითრებული.

ვდგევართ, ერთმანეთს ჩუმად ვუყურებთ... ვუყურებ და ვატყობ, რომ სოსას ქოჩორია შეთეთრებული, რომ სოსას

თვალეში ჟამთა სიავს გადაუვლია, რომ სოსას კონტა უღვაშშიც ჭალარა დაბუღებულა...

— სოსა!

არ ვიცი, რამდენ ხანს გავჩქელდა ჩვენი ბლავილი. მამაკაცურად, გულმდღურად ვიტირეთ და ვუალერსეთ ერთმანეთს. ჰერე გამოვიდარეთ, მაგრამ სოსას ხელს არ ვუშვებდი, ცრემლით დანამულ მის სახეს შევყურებდი და თავი სიხმარში მეგონა.

ეზოში უცხო ქალი შემოსულიყო. გვიან შევნიშნე. ჩვენი შემყურე თვალეზე ცხვირსახოცს იფარებდა და გულაჩუყებული იცრემლებოდა.

— საიდან მოხვედი, ბიჭო?... შენ შემოგველე, ძმაო!.. განა არა, გული სულ რაღაცას მიგრანობდა, მუდამ გზას გავყურებდი... ღმერთო, შენი სამართლის ჭირიმე!

დედა მოიკითხა, მერე ძმები... მათი ამბავი რომ ვუთხარო, ხელები ნერვიულად გადაიდგმინებდა, ქალს მიუბრუნდა და მიმართა:

— ბიანკა...

ქალმა ცხვირსახოცი მოიცილა.

სანამ მას რამეს ეტყოდა, სოსამ მე მითხრა, ჩემი მეუღლეაო, ქალს კი უცხო ენაზე დაელაპარაკა. რის შემდეგაც ბიანკა მომიახლოვდა და ხელი გამომიწოდა, ძალუძმად შემომცინა, რაღაც წაილაპარაკა და ქმარს შეხედა.

— დიდად მოხარული ვარ თქვენი გაცნობითო, — მითარგმნა სოსამ.

— ეს რა დღეს მოვესწარ, ეს რა დღე გათენდა! ახლა მთელ ქვეყანას შეეძრავ. დღეს ჩვენსა დიდი ზეიმი იქნება! —

გავშალე ხელები, მაგრამ შევატყვე, მღელვარებამ ისე იმოქმედა, მუხლი აღარ დამემორჩილა.

— ვალიკო, ძმაო, — მითხრა სოსამ, — ახლა რაღა მომკლავს, რომ ვნახე, ჩემს მიწა-წყალს რომ მოვესიყვარულე!.. ვადაუღებელი საქმე მაქვს.. ახლა წავალ. ხვალ საღამოს, შებინდებისას ისევ მოვალთ მე და ბიანკა. აი, მაშინ დავსხდეთ და... ვერ წარმოიდგენ, როგორ მომენატრეთ!

— მერედა, სად იყავ აქამდე, ბიჭო?

— გიტყვი, ყველაფერს გეტყვი... ახლა კი წავალთ.

— რას მეუბნები, სოსა?! სად უნდა წახვიდე... ოცდათხუთმეტი წელი ამისათვის გელოდე, რომ ოცდათხუთმეტი წუთი აღარ გაჩერდებოდი სხალში და მოჩვენებასავით უცებ გამიქრე?! რა ისეთი საქმე გაქვს, რას ამბობ! უწინ მომკალი!..

ლონე მოვიკრიბე, წინ გადავუდექი. ერთხელ კიდევ გულმხურვალედ მომეხვია, დამკოცნა, ეზოში მიიხედ-მოიხედა... და ნეტავი იმ დროს მისი თვალების ნალველი არ დამეხანა!

დაძრულ მანქანას ფეხშიშველი გამოვეკიდე.

— სოსა, სოსა!

მანქანა მტკრიან შარაზე გადაირწია და დაბლა ჩავიდა, მოსახვევში თვალს მიეფარა. ჩემს ყვირილზე მეზობლები გამოცვივდნენ.

— რა იყო, ვალიკო, რა მოხდა?

გაოგნებულმა მივიხედ-მოვიხედე, ვინება გადავიწმინდე და მეზობლებს შევხედე.

— სოსა იყო აქა...

— სოსაო!

— ჰო, სოსა... ჩემი დაკარგული ძმა...

— ე მაგ შავი მანქანითა, ესლა რო ჩაიარა?

— შავი მანქანითა...

— შეხედე, ერთი!..

— ხვალ მობრუნდება...

მობრუნდება! — უცებ სიხარულის ჟრუანტელმა დამიარა. მთელი ქვეყანა შევყარე.

ბარნაბაანთ სოსა გამოჩენილათ, საიდან აღარ დაიძრნენ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა პატრონები. უნდა გენახათ მათი სიხარული. ისეთი იმედი მიეცათ, ისე აენთნენ და გახალისდნენ, გეგონებოდა, ჩვენი სოფლის ყველა დაკარგული კაცი ახლა აგერ, აბიზინებულ ეზოში ზის და თავისიანებს დამნაშავე ბავშვივით მორცხვად უყურებს და ბოდიშს უხდის, ლოდინით გაგაწამეთო.

მეორე დღისათვის სამზადისს შევუდექით. მეზობლები არ გვშორდებოდნენ. ყველას ჩვენთან უნდოდა ყოფნა. და

საკლავი დავკალით, მოსახარში მოვხარშეთ, ორი თონე პური ამოვყარეთ. ასეთი სამზადისი ალბათ არც ერთი ბიჭის ქორწილში არა გვქონია. ხვალ კიდევ მოიყრის თავს მიღეთის ხალხი, ისევ მოვლენ უგზო-უკვლოდ დაკარგულთა პატრონები...

ერთი ხანობა ცაცას ეჭვი შეეპარა, ასე სწრაფად რომ წავიდა, ხომ არ მოგვლანდაო. შევიცხადე, რას ამბობ, ცოცხალ კაცზე ამას როგორ მეუბნები-მეთქი. მეზობლებმაც დამიდასტურეს, ნამდვილად დავინახეთ უცხო, შავი მანქანაო...

ლელასთან ბიჭი ვაფრინეთ. საწყალი ქალი შეღამებულზე თავისი უჭულ-ბუჭულებით მოქანდა. უნახავი მამა გამოუჩნდა, ლელავდა, რა ეთქვა, რა გაეკეთებინა, აღარ იცოდა. სულ იმას მეკითხებოდა, როგორ გამოიყურებოდა, რა გითხრა და ხვალ რომელ საათზე უნდა მოვიდესო.

— ღმერთო, შენი სახელის ჭირიმი! — მორწმუნესავით იტყოდა და ხელახლა მეკითხებოდა...

მთელი ღამე მღელვარებაში ვავატარეთ. ძილი არ გვეკარებოდა. ქალები კერძებს ამზადებდნენ, მეზობლებიც გვეხმარებოდნენ.

ერთ ადგილზე ვერ ვჩერდებოდი, ლობე-ყორეს ვაწყდებოდი. მაგრამ ჩემზე მეტად ლელა ლელავდა, ვერა საქმე ვერ გამოსდიოდა, ყველაფერი ხელიდან უვარდებოდა, თვალები მალიმალ ცრემლით ევსებოდა. რამდენჯერმე სიხარულით აცახცახებული მომეხვია და ატირდა კიდევ, რა უბედური სიყვარული ჰქონიათ დედაჩემსა და მამაჩემსაო.

მეორე დღეს, დილიდანვე, ჩვენი ეზო მამაკაცებით გაივსო. აღრიანად მოვიდნენ მკვდრებით აღმდგარი კაცის შესაგებებლად. კოლმეურნეობის თავმჯდომარე, სიმონ ჯანდიერიც გვეახლა, მამაკაცებში ჩადგა და აქ ვაცხარებული ბჭობა გაიმართა. დაკარგულთა გამოჩენის აუარება შემთხვევას იგონებდნენ... და მათ სიტყვებში, მათი ხმის კილოში ერთი რამ იგრძნობოდა — საზეიმო განწყობილებით მოსულიყვნენ და ჩვენი ოჯახის სიხარულს იზიარებდნენ.

თავმჯდომარე ამბობდა: — სადაურსა სად წაიყვანო, დალოცვილის ნათქვამისა არ იყოს... ჰა! მაგრამ ნოსტალგია, მოგეხსენებათ... ვინ იცის, ვინ იცის... რა არ ხდება ამ ქვეყანაზე!..

მე ერთ ადგილზე ვაჩერება არ შემეძლო, ათას რამეს ვფიქრობდი. ცოცხალმა კაცმა

აქამდე როგორ ვერ მოგვაწვდინა ხმა? სიბერეს ელოდა, რომ ასე მონატრებოდა მამული? ვაითუ გამოსაჩენი პირი არა ჰქონდა?! ვაითუ...

ამის ვაფიქრებამ თავზარი დამცა, სიხარული დამეზარა და ყველას რომ გავერიდე, სახლის უკან, ვენახის ბოლოში გავედი და იქ ვებრძოდი საშინელ ფიქრებს. გულში გახსნილი ჭრილობის ტკივილს ვგრძნობდი და უკვე ტანჯვად გადამექცა ის დრო მოლოდინისა.

დრო კი ნელა გადიოდა. საღამო ახლოვდებოდა. სახლიდან მხიარული ხმები მესმოდა. იქნებ მეძებენ კიდევ... მე კი მინდა ისეთი აზრი გამოვწურო შავი ფიქრის ღრუბლიდან, გული ოდნავ მაინც დამიამდეს, კაცური კაცობის ნათელი მოჭფინოს უცხოეთში მოჩვეულები კაცის გზას...

ამ ტანჯვაში მოატანა დათქმულმა დრომ, როცა სოსა უნდა გამოჩენილიყო. ჩემმა მოუსვენრობამ და მღელვარებამ იმატა. ჰიშკართან გავედი. მეზობელი კაცებიც იქვე ჩაჩოდგნენ, ამჯერად ჩუმად, ისინიც მღელვარე მოლოდინში. ჩემი ბიჭები და ლელა თავისი შვილებით სოფლის თავში წავიდნენ, იქ დავხვდებითო.

მალე ჰიშკართან ქალებიც შემოგვიერთდნენ. გასუსტლები ვღგვევართ და გზას გავყურებთ თავვე. მუხლები მიცახცახებს, მაურჯოლებს, ყვრი-მალეები მითრთის და ლამის ბავშვივით ავტირდე. გრძნობა მომეძალა, ჯიგარი ამეწვა ძმური სიყვარული გახელდა...

სოფელში სიწყნარე იყო. ზოგჯერ საქონელი დაიზმუვლებდა, ან ძაღლი დაიყეფებდა.

ცაცა გვერდში ამომდგომოდა.

— წყალი ხომ არ მოგიტანო, ვალიკო?

— ჰა? — უცებ მივუბრუნდი, — წყალი რად მიხდა?! — ფერი არ გადევს სახეზე, — ჩუმად მეუბნება.

წყალი მერე დამჭირდა, როცა ამ მღელვარე მოლოდინში გავიდა ერთი, ორი, სამი საათი და დაღამდა კიდევ. ის კი არ ჩანდა.

მეზობელთაგან ზოგმა რა თქვა, ზოგმა რა და თავიანთ სახლებს მიაშურეს. ლოდინით გაბეზრებული და ცრემლმორეული ლელაც ამობრუნდა ბიჭებთან და თავის შვილებთან ერთად.

მგლოვიარედ დავსხდით ეზოში.

მთელი ღამე უძილოდ გავატარე. შავ ფიქრებში გახვეული ეზოში ვიჯექი. კარგა ხანს არ მშორდებოდა ცაცა. იჯდა

ჩემს გვერდით, ჩემი ცხოვრების ღონისა და ჭირის მოხიარვე, არაფერს მეუბნებოდა და ასე თავისი იქ ყოფნით, უსიტყვოდ მანუგებდა.

არც მეორე დღეს გამოჩენილა სოსა თავისი შავი ლიმუზინით, არც მომდევნო დღეებში გავიცი რამე. სიზმარივით მომევილინა და ასევე სიზმარივით გაქრა. რა მექნა, აღარ ვიცოდი. ავდექი და რაიონის თავკაცებს მივმართე, ასეთი და ასეთი საქმე დაგვემართა, ეგებ გავგიგოთ რამე, ჩვენი სოფლიდან სად წავიდა, რა გზას დაადგა უცხოური მარკის შავი ლიმუზინი...

რაიკომის მდივანმა გულდასმით მომისმინა და დახმარება აღმითქვა, ორ დღეში გამომიარე და ყველაფერს მოგახსენებო.

ორი დღის მერე ასეთი ამბავი დამახვედრა:

— თქვენი გვარის კაცი საზღვარგარეთიდან არ შემოსულა. შავი „მერსედესით“ შემოვიდა ფრანგი მოქალაქე (გვარი და სახელი მითხრა), მეუღლითურთ. ისინი ერთი კვირის წინ გემით დაბრუნდნენ სამშობლოში...

არ ვიცი, კიდევ რა მითხრა, ეს კი მასნოვს, ჰქვით წყალი მომაწოდა.

კაბინეტიდან განადგურებული გამოვიდი. ქუჩაში ხალხი ირეოდა. ქვეყანა ისეთი ჭრელი მომეჩვენა, თვალები მოვხუჭე. ერთხანს ასე ვიდექი. ვცდილობდი, გული საგულეს ჩამეგდო. ვილაცამ ხელი მომიკლა. თვალთ ავახილე. ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო. სიმონი გავაცებული მომჩერებოდა.

— რა იყო, კაცო, რა დაგემართა? ფერი არ გადევს სახეზე... გაიგე რამე?

— ჰო, რა ვიცი... მითხრეს, თქვენი გვარის კაცი არავინ შემოსულაო... ფრანგი იყოო...

— როგორ თუ ფრანგი?! აკი სოსა იყო?

— სოსა იყო, ღმერთმანი! — ყრუდ დავიღმუვლე და ცრემლი მომერია.

— იყო და იყო!.. — უაზროდ აღმოხდა სიმონს და განზე გაიხედა, — აბა რა გითხრა... ცოცხალი ხო არი და!

ბოლბა ველარ დავიტიე გულში, ორივე ხელით გამწარებული ვწვდი სიმონს:

— მერედა, მარტო სიცოცხლე კმარა?!

ვაი რა ცუდად დაგრიხა ჩვენი ყისმათი ომმა!

დრო კი ყველაზე დიდი მკურნალიაო... რა ვიცი, ალბათ იმათთვის, ვინც ჩვენს შემდეგ წამოვა, ვისთვისაც ომი ზღაპარი იქნება, ძალზე შორეული და წარმოუდგენელი ამბავი.

მელიორაცია სსრ კავშირის სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის კომპლექსური პროგრამის ძირითადი რგოლია. ამოშრობისა და მორწყვის სამუშაოები განსაკუთრებით ინტენსიურად მიმდინარეობს და შემდგომში ეს სამუშაოები კიდევ უფრო გაფართოვდება საბჭოთა კავშირის სამხრეთში, სადაც არა მარტო კარგი მიწებია და თბილა, არამედ შრომითი რესურსების საკმარისი რეზერვებიცაა: ეს ეხება სსრ კავშირის სამხრეთის ყველა სასოფლო-სამეურნეო რაიონს და განსაკუთრებით კი საქართველოს სსრ რესპუბლიკას.

დამკვიდრებულია აზრი, რომ საქართველოში რბილი, სუბტროპიკული კლიმატის წყალობით, ნიადაგი მოსავლიანია. მაგრამ ეს აზრი მცდარია. მართალია, ყოველი ჰექტარი ქართული მიწა ორჯერ მეტ პროდუქციას იძლევა, ვიდრე საშუალოდ იდენტურ მთელ ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ დასამუშა-

ლი მიწების ნაკლებობა. მაგრამ ეს ჩამორჩენა სწრაფი ტემპით მცირდება.

ინტენსიური მელიორაცია რესპუბლიკას უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოაქციოს გაუდაბურებული, უწყლო ან დაჭაობებული ფართობები. ბოლო 35 წლის განმავლობაში გაწყლოვანდა და ამოშრეს 550 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი. მელიორატორთა სამუშაო ფრონტი თავისი მასშტაბურობით გაოცებას იწვევს.

60 წლის განმავლობაში ჩვენი რესპუბლიკა გადაიქცა სარწყავი მიწათმოქმედების უნიკალურ მხარედ, სადაც რამდენიმე ათეული სარწყავი სისტემა მოქმედებს. რესპუბლიკის მძლავრი მელიორაციული ხაზის არსებობაზე მეტყველებს 700 მილიარდ კუბურ მეტრზე მეტი მოცულობის 25 წყალსაცავი, ათასი კილომეტრი სიგრძის არხები და საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი.

როგორია საქართველოს სო-

უმუშავებული კომპლექსური გეგმის შესაბამისად.

მეორე მაგალითი — ალაზნის ველი, საქართველოს ბელევი. იგი 200 ათას კვადრატულ ჰექტარზეა გადაჭიმული. აქ მოჰყავთ ცნობილი ქართული სამრეწველო ჯიშის ყურძენი, იღებენ მარცვლეულის, ეთერზეთოვანი, თამბაქოსა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების უხვ მოსავალს, მაგრამ მისი პოტენციური შესაძლებლობანი მთლიანად როდია ამოწურული. ალაზნის ველის მნიშვნელოვანი ფართობი, რომელიც დაბა წნორის მიდამოებს ესაზღვრება, ნიადაგის სიმლაშის გამო ჩამოწერილი იყო ბალანსიდან, ნიადაგურ-კლიმატური პირობები საშუალებას იძლევა, შეიქმნას აქ მაღალრენტაბელური მეცხოველეობის მეურნეობა. და აი, ახლა უზარმაზარ სივრცეზე გადაჭიმულა წყალსადენ ნაგებობათა ხშირი ქსელი, მშენებლებმა შვიდი მილიონი კუბური მეტრი მოცულობის მიწის სამუ-

შის თავისთავადობა. მიწის ფართობების ნაწილს „ქარგვენ“ საბჭოთა მეურნეობები და კოლმეურნეობებიც, სადაც გლეხებისათვის აქტიურად მუშაობს ახალი კეთილმოწყობილი სახლები, იქმნება დასვენების ზონები... ამ მიწების დანაკარგების კომპენსაციას პრაქტიკულად ეწევა მხოლოდ მელიორაცია, რომელიც საშუალებას იძლევა, სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში მოექცეს გამოუყენებელი მიწები.

მელიორაცია დიდ სახსრებს მოითხოვს: ერთი დაჭაობებული ჰექტარის კულტურულ პლანტაციად გადაქცევა კოლხეთში, სულ ცოტა, 3,5 ათასი მანეთი ჯდება, მაშინ როცა, ვთქვათ, ბელორუსიაში ერთი ჰექტარი მელიორირებული მიწა სახელმწიფოს მხოლოდ ათას მანეთზე ცოტა მეტი უჯდება. მაგრამ ხარჯები ოთხ-ხუთ წელიწადში ნაზღაურდება. ათვისებული მიწები — ეს არის მაღალრენტაბელური ჩაის, ლიმონის, მანდარინის, ფორთოხლის პლან-

ჩუ, კიდეც ყველი ყველს მიწა ქართული!

316 გაიზარტი

ვებლად გამოსადეგი მიწების მნიშვნელოვანი ნაწილი მოდის მთის ფერდობებზე, სადაც ტენი ნაკლებად ჩერდება. ამასთან, მთელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 40 პროცენტი გვალვიან ზონებშია მოქცეული, ხოლო 50 პროცენტზე მეტი ისეთ ზონებში, სადაც გვალვა პერიოდულად მეორდება.

აი, რატომ არის, რომ რესპუბლიკაში კარგა ხანია, რაც მიწების მელიორაციის მნიშვნელოვანი სამუშაოები მიმდინარეობს. ამ მიწებს რომ ვაშრობთ, საბოლოოდ ვტაცებთ მას ისეთ სტიქიურ უბედურებას, როგორიცაა გვალვა. მელიორაცია რესპუბლიკაში მხოლოდ რწყვა როდია, არამედ ეს არის გადამეტენიანი მიწების დაშრობაც, რომლებიც ჯერ კიდევ ბლომადაა.

საქართველოში თითოეულ მეცხოვერებზე 3,8-ჯერ ნაკლები სასოფლო-სამეურნეო სავარგული და 5,7-ჯერ ნაკლები სახნავი მოდის, ვიდრე მთლიანად საბჭოთა კავშირში. ყოველივე ამის მიზეზი რთული რელიეფია (საქართველოს ტერიტორიის 80 პროცენტამდე ზღვის დონიდან 1000 და უფრო მეტი სიმაღლის მთებია). ჩვენში მეტად იგრძნობა კულტივირებუ-

ფლის მეურნეობაზე მელიორაციის გავლენის კონკრეტული მაგალითები?

სანიმუშოდ შეიძლება მოვიყვანოთ ორი მაგალითი. პირველი — კოლხეთის დაბლობი. კოლხეთი ახლო წარსულში გაუვალი ჭაობიანი მხარე იყო. მისი მიწების დაშრობა საბჭოთა ხელისუფლების წლებში დაიწყო. შეუპოვარი შრომით ჰექტარს ჰექტარზე სტაცებდნენ მელიორატორები ჭაობს. დღეისათვის აქ 90 ათას ჰექტარზე მეტია ამოშრობილი. მოხუცებს დღემდე შემორჩათ ხსოვნაში 1940 წელი, როცა დაბლობის დასაგლეთ ნაწილში პირველად დააშრეს 18 ათასი ჰექტარი ჭაობი. მაშინ გაჩნდა აქ სოფლები, რომლებსაც სიმბოლური სახელები შეარქვეს — „ახალი სოფელი“, „შრომა“, „სიხარული“. ჩაის პლანტაციების მწვანე ზღვა, ციტრუსის ბაღები, თანამედროვე სტილით გაშენებული სოფლები — ასეთია დღევანდელი საქართველო. რომელიც ქვეყანას 97 პროცენტ ჩაის მოსავალს და 100 პროცენტ ციტრუსის ნაყოფს აძლევს.

კოლხეთის დაჭაობებული მიწების დაშრობა გრძელდება. იგი ხორციელდება მეცნიერებისა და სპეციალისტების მიერ

შაოები შეასრულეს. ნიადაგის სიმლაშის ნეიტრალიზაციის მიზნით, განახორციელეს მისი ჩარეცხვა, გაანგარიშებული დოზით შეიტანეს თაბაშირი. ჩარეცხვა მიმდინარეობდა დახურული დრენაჟის მეშვეობით. ამ მიზნით ჩალაგებულია 500 კილომეტრზე მეტი საკოლექტორო-სადრენაჟო ქსელი. ჩაყრილია სარწყავი მიწები.

ამჟამად ამ ზონაში ათვისებულია 15 ათას ჰექტარზე მეტი მიწა. შექმნილია მძლავრი საკვები ბაზა, რომელიც მეცხოველეობის კომპლექსს უზრუნველყოფს უხეში, წვნიანი, მწვანე და კომბინირებული საკვებით. ერთი სიტყვით, ძნელად საცნობი გახდა ალაზნის ველი.

მიუხედავად ასეთი წარმატებებისა, მელიორაცია მაინც ერთ-ერთ ძირითად პრობლემად რჩება. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების შემცირების ტენდენცია საქართველოსათვისაც აქტუალურია. ისევე როგორც ყველგან, აქაც მრეწველობა და ქალაქები თავიანთ საზღვრებს იფართოებენ. ბოლო წლებში ჩვენს რესპუბლიკაში გრძელდება მიწების გამოყვანის და ბიოსფერულ ნაკრძალებს, რათა მომავალ თაობებს ხელშეუხებელი სახით შემოვუნახოთ ქართული ბუნე-

ტაციები, აგრეთვე საკვების სავარგულები, რომლებიც ესოდენ საჭიროა მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გაფართოებისათვის.

1980 წელს საქართველოში მელიორირებულ მიწებზე მიწათმოქმედების მთელი პროდუქციის თითქმის მესამედს მიიღო, 1990 წლისათვის კი, წინასწარი პროგნოზით, თითქმის ნახევარზე მეტი უნდა მივიღოთ. გარდა ამისა, ჩვენს რესპუბლიკის პირობებში მელიორირებული სავარგულების შექმნა გარანტირებული მოსავლის შექმნის ტოლმნიშვნელოვანია, ვინაიდან იგი აღარ იქნება დამოკიდებული ბუნების ჭირვეულობაზე. და კიდევ ერთი პლიუსი — ახალი მიწები იძლევა საკვები კულტურების მაღალ მოსავალს, ხელს უწყობს მეცხოველეობის სწრაფ განვითარებას.

მელიორაცია საქართველოში წყვეტს აგრეთვე სოციალურ პრობლემასაც: გარდაქმნილი მიწა სახეს უცვლის გლეხურ შრომას, მის ნაირსახოვან გარჯას აქცევს მაღალმექანიზებულად.



სინაზე.

ანანური.



ავტოპორტრეტი.

უმთა ნიორაძე


საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი




პროფესორი იოსებ შარღეშანი.

პეიზაჟი.






სარწყავი სისტემის ფოლადის მაგისტრალები.



ინჟინერ-მელიორატორი გივი გურგენიშვილი.



აი, ახლ მცურავ ტუმბოებს ამოაქვთ შთაზე იორის წყალი!




ზემო ალაზნის სარწყავი სისტემა. ფილების დაგება.

ულანოს მშენებელ მელიორატორთა პატესაკემად აგებული სვეტი.



მელიორაციის ლაზარტორიაში.



და, კიდე უფრო ამაკვდეს მინა ქართული!

ურობეაი ვალერი სოკოლოვისა.



ჭვარი.

რომან მახარაძე



ჭვრის მამა.

მეფოვე.



ბუშტები.

წითელი სახლი.



დაბობვიანეთ, ვებოზრაბო!



ზურაბ ბერიძე

მატარებელში ტევა არ იყო, ჯარისკაცებით გაჭედილ ვაგონებში ნემსის უნწიცი კი არ ჩავარდებოდა. ოფლისა და წიკოს სულის შემხუთველი სუნი იდგა. ისმოდა ხმაშაღალი ლაპარაკი, ოხუნჯობა, სიცილი, სიმღერა. ფრონტი აქედან შორს იყო და აღამიანებს თითქოს წუთით დავიწყებოდათ, რომ იქ, ფრონტის ხაზზე, ომის ცეცხლი ათასობით სიცოცხლეს იწირავდა, ასობით სოფელსა და ქალაქს ანადგურებდა.

სალამოს ბინდი ეშვებოდა და წიკოს ბოლით დანისლულ ვაგონებში სიბნელე სწრაფად ღებოდა.

ვაგონის ზემო საწოლზე მოკალათებულ ოთარს ზურგჩანთა ბალიშად დაედო და თვლებდა.

მატარებელმა სვლას უკლო. რამდენიმე ბიჭის შემდეგ მუხრუჭების ჭრიალით პატარა სადგურზე გაჩერდა.

ბაქანზე ხმაური იდგა. ვიღაც ხმაშაღალი იძახოდა:

— ვალია! ვალია! აქეთ, ჩქარა, აქ არის ადგილი...

ვიღაც გულიანად იღანძლებოდა, ისმოდა გადაძახილები, ბაიანის დახშული ხმები.

ვაგონის კარმა მკვეთრად დაიჭრია და ხმაურით გაიღო, ცივ ნიავთან ერთად ჩექმების ბრაგუნის და ხმაშაღალი ლაპარაკი შემოიჭრა. ოთარმა თავი წამოსწია და კარისაკენ გაიხედა. ვიწრო დერეფანში შავ ბუშლატებში გამოწყობილი ოთხი მატროსი რწვით და რობროხით მოემართებოდა. მხარზე ავტომატები, ქამარზე ხელყუმბარები და ავტომატების დისკები ეკიდათ, რევოლვერები ქამარში გაერჭოთ.

— ბიჭოს! ეს რა ცოცხალი ჯავშნოსნები მოდიან! — წამოიძახა ვიღაცამ.

— გზა! გზა! — ბოხი ხმით იძახოდა მაღალი, მხარბეჭიანი გოლიათი და ჭიქურ მიიკვლევდა გზას ჯარისკაცებს შორის. მეზღვაურებს ტანშაღალი ქერათმიანი ქალიშვილი მოსდევდათ. მასაც შავი ბუშლატი ეცვა, მხარზე ზურგჩანთა მოედგო. მკერდზე წითელი ვარსკვლავის ორდენი უბრწყინავდა.

ჯარისკაცები ცნობისმოყვარეობით უყურებდნენ მეზღვაურ ქალიშვილს. ზოგი მათგანი ფეხზეც კი დგებოდა შესაგებებლად, მაგრამ მეზღვაურთა მკაცრ გამოხედვას რომ აწყდებოდა, სწრაფად უკუიქცეოდა ხოლმე.

მეზღვაურები ყურადღებით აკვირდებოდნენ ყოველ კუთხეს. წინ მიმავალი გოლიათი წუთით შეჩერდა, ფართოდ გაიღიმა, თეთრი მსხვი-

ლი კბილები გამოაჩინა, მარჯვენა ხელი მაღლა ასწია და დაიძახა:

— სდექ! ჩაუშვით ღუზა! — თან მეზღვაურებს ოთარზე მიუთითა.

ოთარი ზედა საწოლზე წამოშდარა. მეზღვაურის ზოლიანი მაისური ტანზე შემოტანსოდა და მის მძლავრ მხრებსა და გულმკერდის კუნთებს მკვეთრად აჩენდა. სპილენძისფერად გარუჯული სახე, ფართო, თაფლისფერი თვალები, წაბლისფერი თმა, ოდნავ კეხიანი ცხვირი და ენერგიული ნიკაპი მას ვაჟკაცურ იერს აძლევდა.

— ბიჭებო! ხედავთ? — დაიბუხუნა გოლიათმა, — ჩვენებური წამოშდარა გემბანზე და გველიჩება.

ოთარი მართლაც იღიმებოდა.

— ოჰ, ოჰ! — აროხრობდნენ მეზღვაურები.

— პირდაპირ შევარდნის თვალი გაქვს, ანდრეი, — წამოიძახა საშუალო ტანის ჭორფლიანმა მეზღვაურმა, — სად მიაგენი ამ ორომტრიალში?

ოთარი საწოლიდან ჩამოხტა და მეზღვაურებს ისე მიეგება, თითქოს ძველი ნაცნობები ყოფილიყვნენ. მეზღვაურებმა მთურადებლად დაიკავეს კუპე, ქვედა საწოლებზე ჩამოსხდნენ, ვიღაცის ზურგჩანთა გვერდზე მიაგდეს და ქალიშვილს ადგილი დაუთმეს. მანაც ღიმილით მოავლო თვალი ირგვლივ მყოფ ჯარისკაცებს. ყველამ, რატომღაც, ტანსაცმლის გასწორება დაიწყო. ზოგმა გვერდზე მიიწია, ზოგი კი ანგარიშმიუცემლად თავზე ხელს ისვამდა. მეზღვაურები სწრაფად გამოელაპარაკნენ ჯარისკაცებს, ოხუნჯობდნენ და იცინოდნენ. ანდრეი ოთარს ძველი ძმაცაცვით ესაუბრებოდა:

— შენთან, ძმობილო, სათხოვარი გაქვს. ხომ ხედავ ამ მტრებს? — და ანდრეიმ ქალიშვილს გადახედა — ხერსონამდე მიდის, იქ ჩვენი ბიჭები დახვდებიან, ვაჟკაცური გოგოა, მაგრამ მაინც სუსტი არსება... — რაღაც განსაკუთრებული სიტბოთი დაუმატა მან.

ოთარმა ქალიშვილს შეხედა, ისიც ღიმილით უცქეროდა მას. „რა ლამაზია!“ — გაიფიქრა ჭაბუკმა. გალინა მართლაც მეტად მომხიბლავი იყო. მეზღვაურის ტანსაცმელი კოხტად ჰქონდა მორგებული ალვასავით ატყორცნილ ტანზე. მისი მაღალი თეთრი შუბლი, მშვიდილივით მოზიდული წვრილი წარბები, ლურჯი, განზე გაზიდული თვალები, გრძელი, შავი წამწამები, სწორი, ოდნავ აპრეხილი ცხვირი, მსუქანი, წი-



ლოკუმენტური მოთხრობა

თელი ტუჩები და ბროლივით თეთრი კბილები თვალს იტაცებდა. მარჯვენა საფეთქელთან შეხორცებულ კრილობის ვარდისფერი ზოლი ჩასდევდა.

— დარდი ნუ გექნებათ, ისე ჩავიყვან ხერსონში, როგორც საკუთარ დას.

მეზღვაურები ოთარს ძმაცაცვრად გამოემშვიდობნენ, გალინას ალერსიანად გამოეთხოვნენ, ხმაურითა და ოხუნჯობით ვაგონიდან ჩავიდნენ. წუთის შემდეგ მატარებელი დაიძრა, გალინა ფანჯარასთან მივიდა და ბაქანზე გამწკრივებულ მეზღვაურებს ხელი დაუქნია.

ბაქანი ნელა მიცურავდა უკან. მატარებელმა სვლას უმატა და მალე სადგურის შენობაც თვალს მიეფარა.

— აბა, გალინა! — მიმართა ოთარმა გალინას, — აღით ჩემს საწოლზე და მოეწყვეთ, ჩვენ კიდევ ორი დღე-ღამე უნდა ვიმგავაროთ...

გალინამ ოთარს მაღლობა გადაუხადა და საწოლზე ავიდა, თავქვეშ ბალიშად ზურგჩანთა დაიდო, დაწვა და ლაბადა გადაიფარა.

ჯარისკაცებიც ნელ-ნელა მილაგდნენ თავ-თავიანთ ადგილებზე და მალე ვაგონში სიჩუმე ჩამოვარდა. ოთარი ფანჯარასთან ჩამოჯდა და კუპრივით შავ სივრცეს მიჩერდა. მატარებელი სწრაფად მიდიოდა, ვაგონის თვლები ლიანდაგებზე მონოტონურად ხმაურობდნენ. ფანჯრის წინ, ღამის სიბნელეში ტელეგრაფის ბოძები და ხეთა ჩრდილები ზღაპრული გოლიათებვით გაილანდებოდნენ და ისევ ქრებოდნენ. ოთარი ფიქრებში ჩაიძირა.

უკვე სამი წელი იყო, რაც იგი ომის ქარ-ციცხლში ტრიალებდა. ომმა ოდესაში მოუსწრო, სატორპედო კატარაზე იყო მეზღვაურად. მამაცობისათვის დააჩილდოვეს კიდევ. კატარლის აფეთქების შემდეგ მძიმედ დაჭრილი ჰოსპიტალში მოხვდა. შემდეგ ისევ შავ ზღვას დაუბრუნდა. გემზე დღახანს არ დარჩე-

ნილა, ჯავშნოსანი ნაღმს დაეჯახა და ჩაიძირა. ზღვის ტალღებს ცურვით მიაპობდა, გვერდით ბოცმანი მისდევდა, კარგა ხნის შემდეგ კატარა წამოეწიათ, აიყვანეს და არაქათამოცილობები, ძლივს მოასულიერეს. ნოვოროსიისკიში საზღვაო ქვეითთა ბატალიონში გაამწესეს, ზემდეგას წოდება მიანიჭეს. ნოვოროსიისკის და ქერჩის ბრძოლებში მონაწილეობისათვის სამამულლო ომის პირველი ხარისხის ორდენით დააჩილდოვეს. ქერჩში კვლავ დაიჭრა. დედის წერილებს რომ კითხულობდა, ეღიშებოდა. დედას ოთარი ისევ სუსტი, პატარა ბიჭად ჰყავდა წარმოადგენილი. წერილებში სულ იმას უმეორებდა: ღამე თბილად დაიხურე, შვილო, არ გაცივდეო...

მატარებელმა რკინიგზის ხიდი ხმაურით გადაიარა. ვაგონში ჯარისკაცების ღრმა სუნთქვა ისმოდა, ზოგჯერ ვინმე წამოიკვენელებდა. ვაგონის ნათურა სუსტად ბუტყავდა.

ფიქრებში წასულ ოთარს ჩაეძინა. უცებ მხარზე ხელის შეხება იგრძნო. თავი ასწია და მოიხედა. გალინა საწოლიდან გადმოსრილიყო:

— ოთარ, რატომ არ წევებით? ასე ხომ არ იჭდებით მთელ ღამეს, ამოდით წვეით!

— მერე თქვენ?

— როგორმე მოვთავსდებით, — გალინას ლურჯი, დანისლული თვალები ნდობით შესცქეროდნენ ვაჟს.

— რა ლამაზია! — გაიფიქრა ოთარმა და წუთიერი ყოყმანის შემდეგ უარი უთხრა: გალინა წამით გაუუჩნდა, შემდეგ კი თითქმის ბრძანებით წამოიქცვა:

— ნუ სულელობთ, ამოდით წემოთ და დაიძინეთ, რა დედას ბიჭვით იქცევით!

ოთარი რატომღაც უხერხულად გრძნობდა თავს. ფრონტზე, სანგრებში, ბევრჯერ მეტრძოლი ქალების გვერდში დაუძინია. იმ დროს არც კი უფიქრია, რომ მის გვერდით ქალი იწვა. ისინი მეტრძოლები იყვნენ

და მათ ფრონტელ ამხანაგებად თვლიდა, მაგრამ ახლა, მატარებელში, სულ სხვა იყო.

— აბა! — გაიმეორა გალინამ და ეს „აბა“ ისე გაისმა, ოთარმა უარი ვედარ შეხება. წამოდგა, ხელებით საწოლებს დაეყრდნო, სწრაფად აიქინა ტანი და გალინას გვერდით საწოლზე ჩამოჯდა. ქალმა კედლისაკენ გაიწია და ვაჟს ადგილი დაუთმო. ოთარმა თავისი ფარაჯა გაშალა, ზურგჩანთა გაასწორა, წამოწვა და მკლავი თავიკვეშ ამოიღო.

ვაგონი წყნარად ირწოვდა, ლიანდაგებიდან ბორბლების რიტმული ხმაური ისმოდა. ოთარი ვაგონის ჭერს მისჩერებოდა, ძილი არ ეკარებოდა, ქალის სიახლოვე აღელვებდა. გალინას ღრმად ჩასძინებოდა. მშვიდად სუნთქავდა. უცებ იგი შეინძრა, ოთარისაკენ გადმობრუნდა და მკლავი მკერდზე დააღო. ოთარი გახევდა, ქალის მკლავი გასურებულად შენთვივით დაღავდა. თავი ნელა მიატრიალა და მძინარეს გადახედა. ქალიშვილს ტუჩები ოდნავ გაპოხოდა და მშვიდად სუნთქავდა. ვაგონში გრილოდა. გალინას ეტყობოდა შესცივდა და თავისდაუნებლით ოთარის თბილ ტანს მიეკრა, ლოყა მხარზე მიადო და ძილი განაგრძო. ოთარი გაუძნრებლად იწვა, თავიკვეშ ამოღებული მკლავი უბუჟოდა, ისეთი გრძობა ჰქონდა, თითქოს ასობით ქიანქველა შესეოდა. ხელის გამართვა ეწადა, მაგრამ ვერ ახერხებდა. ეშინოდა, ქალს არ გაღვიძებოდა. ძლიერ სურვილს შეეპარა: უნდოდა, მისთვის ხელი მოეხვია, გულში ჩაეკრა და აღერსით დაეთრო, მაგრამ ვერ ბედავდა. გაუძნრებლად ყოფნა კი აუტანელი ხდებოდა.

მატარებელმა სვლას უშატა, ვაგონმა — რწევას. ხმაურისა და ბიძგებისაგან ქალიშვილს გაეღვიძა, თავლები გაახილა, ოთარის გახშირებული სუნთქვა შემოესმა. წამით ვერ გაერკვა, რატომ იყო ოთარის სახე ასე ახლოს მასთან. რატომღაც მოეჩვენა, რომ მამაკაცს მძლავრად ჰყავდა ჩაკრული. ელდანაკრავით გასწია თავი უკან და გაბრძოლებმა დააპირა, მაგრამ უშაღვე მიხვდა, რომ თვითონ ჰქონდა ხელი მოხვეული ოთარისათვის და შეცბუნებული გაყურდა.

ოთარს თვალები დაეხუჭა და არ ინძრეოდა. გალინა უნებლიედ დაცქერდა ვაჟის სახეს, დიდხანს უცქირა, იგრძნო, რომ ეს სახე მას ძლიერ იზიდავდა. ახლა უკვე ქალს ეშინოდა განძრევის. თბილი სხეული, რომელსაც იგი მიჰყვროდა, უცნაურად აღელვებდა. რაღაც გამოუცნობი გრძობა იღვრებოდა მის სხეულში, თანდათან იშლებოდა და საამოდ ეფინებოდა.

გალინას არ ახსოვდა, ოდესმე ასეთ დღეში ჩავარდნილიყო. იგი უყვარდათ, პატივს სცემდნენ, ყველა დაიკოს ეძახოდა და ისიც იმავე გრძობით უპასუხებდა. მეზღვაურები განსაკუთრებული სითბოთი და სიწაწით ექცეოდნენ, მოსწონდათ მისი შეუპოვრობა, სიმამაცე. თვალა ფხიზლად ევირათ, რომ მისთვის ვინმეს ზედმეტი არ ეკადრებინა. გალინაც

ისე უცქეროდა ბიჭებს, როგორც ღვიძლ ძმებს. მაგრამ ეს გრძობა, რომელსაც იგი ახლა განიცდიდა, სულ სხვა იყო. გალინას თვლი ვერ მოეწყვიტა ვაჟის სახისათვის, რაღაც გამოუცნობი ძალა იზიდავდა მისკენ. ეს სურვილი იმდენად დაუძლეველი გახდა, რომ ქალი თავისდაუნებლიედ ოთარის ყვრიმალს ტუჩებით ფრთხილად შეეხო. ვაჟი ცეცხლივით აენთო, ქალიშვილს მკლავი მოხვია, მიიზიდა და მათი ტუჩები ერთმანეთს შეეწებნენ... დაგუბებულმა გრძობამ ნიაღვარივით გადმოხტა. პირველი გალინა მოვიდა გინსხელის ძლიერი ბიძგით მოცილა ოთარი და შეშფოთებულმა უკან გადაიწია. ოთარი წამით შეცბა, შემდეგ თანდათანობით დაშვიდდა. თავი უხერხულად იგრძნო.

— მამატივთ, მეც არ ვიცი, რა დამემართა! — ჩურჩულით წარმოთქვა მან.

გალინა ზურგით კედელს აჰკვროდა, ცრემლებით ავსებული შიშნარევი თვალებით ვაჟს მისჩერებოდა. იგი მეტად სუსტი, უძლური და უმწეო ჩანდა. ოთარი შეწუხდა, არ იცოდა, რა ექნა.

— „ეს რა ჩავიდინე!“ — ფიქრობდა იგი. ნუთუ უხეშად მოვექციე და ისეთი ზვეწნა-მუდარით დაუწყეო დამშვიდება და პატიების თხოვნა, რომ გალინამ მოულოდნელობისაგან ტირილი შეწყვიტა.

— მე ქვევით ჩავალ, — წარმოთქვა ოთარმა.

— არა, — სწრაფად უპასუხა გალინამ და ხელი წავაგლო. — არა! დარჩი.

ოთარი გაჩერდა. დიდხანს იყვნენ ასე მდუმარედ.

მტრედი!.. გაახსენდა ოთარს მეზღვაურების ნათქვამი. რა ზუსტად შეურქმევიათ მისთვის ეს სახელი...

ისინი უხმოდ შერიდნენ. დიდი და სპეტაკი გრძობა უხილავი, ნაწი სიმებით გაიბა მათ შორის. მთელი დამე ჩურჩულდნენ. ჭერ ოთარმა მოუთხორო თავისი ამბები, შემდეგ — გალინამ. მამა ექიმო ჰყოლია, დედა არქიტექტორი. გალინაც სამედისცინო ინსტიტუტში სწავლობდა. მეორე კურსზე იყო, როცა ომი დაიწყო. პირველ დღესვე მოხალისედ წასულა ჯარში. ფლოტში შემთხვევით მოხვედრილა. მცირე კონტუზიის გამო ნოვოროსისისკის ჰოსპიტალში მკურნალობდა. ქალაქში ამ დროს ქვეითელ მეზღვაურთა ბატალიონი ყალიბდებოდა და იქ გაგზავნეს მელდად. მას შემდეგ იგი მათ აღარ დასცილებია. მეზღვაურებმა მიიღეს გალინა, შეიყვარეს, როგორც საკუთარი და. ისიც ყოველმხრივ ცდილობდა, მხარს აეხა ვაჟკაცებისათვის. ერთ-ერთ ბრძოლაში მან ძლიერი ცეცხლის ქვეშ ათიოდ დაჭრილი მეზღვაური გამოიყვანა და თვითონაც დაიჭრა ყუმბარის ნაშხვრევით. ნაშხვრევი საფეთქლის ახლოს მოხვდა და ბეწვზე გადაჩა. ოთარმა ფრთხილად შეახო თითი გალინას ნაჭრილობებს. გალინას უნდოდა, ყველაფერი ეამბო ოთარისათვის თავისი ცხოვრებიდან, ამიტომ შეურჩებლად ლაპარაკობდა.

მატარებელი უკვე დილის ნისლში მიცურავდა.

გათენებისას ორივეს ჩაეძინა. სახეზე ბედნიერების ნათელი ეფინათ.

ორ დღეს იმგზავრეს ერთად. ეს ორი დღე გალინასა და ოთარისათვის მთელი უსასრულობა და ერთი წამი იყო. ისინი ირგვლივ ვერავის ამჩნევდნენ. დილიდან დაღამებამდე ვაგონის ფანჯარასთან მიყუჩებული გაუთავებლად ლაპარაკობდნენ. ყველაფერი უხაროდათ, ერთსა და იმავეს ათაჯერ იმეორებდნენ და მაინც ახალ ამბად ეჩვენებოდათ. იცინოდნენ. ეს სიყვარული იყო, სიყვარული მოულოდნელად აფეთქებული, სიყვარული განუზომელი. მათ ეჩვენებოდათ, რომ ისინი დიდხანს ერთმანეთს იცნობენ, რომ არასოდეს არ იყვნენ უცხონი.

ჯარისკაცები მალე მიხვდნენ, რომ მათ შორის უბრალო დამეგობრება არ მომხდარა, პირველად ცოტა ამრეზით შესცქეროდნენ ქალიშვილს, რა სწრაფად გაება მახეში, შემდეგ ცოტა შურით და ბოლოს ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ისინი ძლიერ შეეფერებოდნენ ერთმანეთს. მალე ვაგონში საოცრად მეგობრული, თბილი და მხიარული ატმოსფერო გამეფდა.

თენდებოდა, მატარებელი ხერხონს უახლოვდებოდა, ლიანდაგების განწვრივ დამწვარი ვაგონები და რკინის ჯართი ეყარა, აქა-იქ დანგრეული, ჩაშავებული სახლები და ნახევრად ჩანახშირებული ხეები ჩანდა. გალინა ზურგჩანთას ალაგებდა და ჩასასვლელად ეშვადებოდა. მთელი დამე თვალი არ მოუხუჭავთ, ჩურჩულდნენ, ათასნაირ გეგმებს აწყობდნენ; ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ოთარი გალინას ქვეგანაყოფში მოახერხებდა გადასვლას და შემდეგ ერთმანეთს აღარ დასცილდებოდნენ.

სადგურში ხალხი ირეოდა. ორთქლმავალმა მიაყვირა და გაჩერდა. გალინა ატირდა, ოთარს კინერზე ჩამოეკლა, სახე მის მკერდს მიაყრდნო და ისე ქვითინებდა. ჯარისკაცები შეეცადნენ, ისინი მარტო დაეტოვებინათ და ფეხბურთით, ერთმანეთს მიყუჩებით კუბედან გავიდნენ. გალინა ოთარს ცრემლებს ყლაპვით ეუბნებოდა:

— ოთარ, თავს გაუფრთხილდი. მალე ჩამოდი.

ოთარს სახეზე ფერი არ ედო. აღერსით ამშვიდებდა გალინას.

ბაქანზე შეძახილი გაისმა:

— გაა-ლინა!!!

მეზღვაურები სადგურის ბაქანზე გამწვრივებულიყვნენ და ხმამაღლა უხმობდნენ. გალინამ ტირილს უშატა. ოთარმა მხარზე ხელი მოხვია და ვაგონის ჩასასვლელისკენ გაემართნენ.

— კარგად იყავი, გალინა!

— ბედნიერად, ნახვამდის გალინა! — ესმოდა გალინას ჯარისკაცების ხმა და თვითონაც ცრემლნარევი ღმილით ყველას ეთხოვებოდა. ვაგონის ჩასასვლელ კიბესთან შეჩერდნენ. ოთარმა გალინა გულში ჩაიკრა და ჩასჩურჩულა:

— მელოდე, არ დამივიწყო, თავს გაუფრთხილდი...

მეზღვაურებმა ქალიშვილი დაინახეს თუ არა, მისკენ გამოეშურნენ. მატარებელი დაიძრა. ოთარი ვაგონის კარებში იღვა და ბაქანზე დარჩენილ გალინას თვალს არ აშორებდა...

სამი დღის შემდეგ ოთარი თავის ნაწილში მივიდა. ბატალიონი ზურგში გადაეყვანათ შესავსებლად და დასხვენიბლად. ამხანაგები სიხარულით შეგებნენ. მებრძოლები სკოლის ძველ შენობაში განლაგებულ იყვნენ. სასწავლო ოთახებში ხის საწოლები ორ სართულად აღემართათ კედელთან, ღირეზე ავტომატები და შაშხანები მიეყუდებინათ. ოთარისათვის კუთხეში საწოლი და მომცრო კარადა ცალკე დაედგათ. ირგვლივ სასუფთავე და წესრიგი სუფევდა.

ასეულის მეთაურს, უფროს ლეიტენანტ იური კუპრიანოვს, ოთარის დაბრუნება ძლიერ გაუხარდა. ზემდეგ ასეულში ბევრი რამ ევალდებოდა და კუპრიანოვმაც არ დააყოვნა მისთვის დავალებების მიცემა.

მეგობრებმა მალე შეამჩნიეს, რომ ოთარის ცხოვრებაში რაღაც მნიშვნელოვანი მოხდა. წინათ უღარდელი, მხიარული, ენაწყლიანი, ახლა უხმოდ, ჩაფიქრებული დადიოდა, ხშირად განმარტოვდებოდა, თითქმის ყოველ დღე წერილს წერდა.

დღესაც, ხის მორზე ჩამოქდადარს, პატარა სამკუთხა ბარათი გაეშალა და გატაცებით კითხულობდა. გალინა წერდა თავის სიყვარულზე, ოცნებებზე, სურვილებზე... წერდა, რომ მან ყველაფერი უამბო თავის მეგობრებს. არ დაუშალა ოთარის წერილები. ოთარმა ანდრეისაც მისწერა, როგორც მძას სთხოვდა, გალინასთვის ყურადღება არ მოეკლო. ანდრეის ბავშვივით გაუხარდა ოთარის ასეთი თხოვნა.

— „სასაცილოა, — წერდა გალინა ამის შემდეგ, — თუ ვინმე გამეხუმრა, ანდრეის რისხვას ვერ გადაურჩება, ერთ ალიაქოსს აუტებს“.

გრძელი ვასია და ცვირაპაჟუა კოსტა ცნობისმოყვარეობით უცქეროდნენ ოთარს. როცა იგი გალინას წერილებს გატაცებით კითხულობდა.

— ძალიან კი მოგელო აღი! — მხიარულად უთხრა ვასიამ.

კოსტამ ბრძნულად, ვითომც სერიოზულად ჩაურთო:

— სიყვარული, ძმობილო, შობარული კარტოფილი არ გეგონოს! ეს ისეთი გრძობაა, რომ... — და მეტის თქმა რომ ვეღარ მოახერხა, ფართოდ გაიღრია, თქვენ თვითონ იცითო, დააბოლოვა.

ოთარმა ღმილით მოხვია ბიჭებს მხრებზე მკლავები და ერთმანეთს შეაჯახა.

— კარგი, შე დათვო, არ დაგვლეწო! — დაიძახა კოსტამ. ბიჭები გულიანად იცინოდნენ.

ნაწილში შევსება მოვიდა. ახალბედებს დილიდან საღამომდე ავარჯიშებდნენ. ოთარს წუთით შესვენება არ ჰქონდა, მთელ დღეს მებრძოლებს წვრილია. ოთარმა ნაწილში მისვლისთანავე გაგზავნა თხოვნა, რომ იმ ქვეგანაყოფში გადაე-

ყვანათ, სადაც გალინა მსახურობდა და პასუხს დღე-ღამე ელოდა. დრო კი გადიოდა.

ერთ დღეს, როცა ოთარი მეზღვაურების ტყვიამფრქვევის აწყობაში ავარჯიშებდა, გაისმა ბრძანება ბატალიონის თავშეყრის შესახებ. ბატალიონის მეთაურმა მათთან ვასალ კონაშენკომ ჯარისკაცებს გამოუცხადა, რომ სარდლობის ბრძანებით წინა ხაზზე მივიდვართო.

გათენებისას ბატალიონმა ბანაკი დასტოვა და აჩქარებული ნაბიჯით შარაზე გავიდა.

სუსტი ქარი ქროდა, ცაში ღრუბლები ირეოდა, მზის სხივებისგან ღრუბლების კიდეებს ცეცხლი ეკიდა. წინ თვალუწვდენელი ველები და ტყეები გადაჭიმულიყო. გზადაგზა მეზღვაურებს ჯარისკაცებით დატვირთული მანქანების კოლონა წამოწყო და შემდეგ მტერის ნისლი იკარგებოდა. რამდენიმე შესვენების შემდეგ, საღამო ხანს, რომელიც ნასოფლარს მიუახლოვდნენ. ფაშისტებს უკან დახევისას მთელი სოფელი გადაეწვათ და ახლა ირგვლივ მხოლოდ ჩანახშირებული სახლების ჩონჩხები და ჩანგრეული ბუხრის მილები ჩანდა.

ის ღამე ნახალარში გამოიძინეს. დილით ადრე მეზღვაურთა კვიეთმა ბატალიონმა გზა განაგრძო, შუადღისას პოლკის სხვა ნაწილებს წამოეწინენ და მცირე ხნით შეისვენეს.

ბატალიონის მეთაურმა ქვედანაყოფების მეთაურები გამოიძახა და სარდლობის ახალი დავალება გააცნო. მალე ბატალიონი მანქანებში განლაგდა და სამხრეთ-დასავლეთისკენ გაემართა. კოლონა სწრაფად მიიწვიდა წინ, გზაზე მტერი და ხმაური იდგა. მთელ დღეს შეუჩერებლად მიდიოდნენ. საღამოს ტყის პირას შეჩერდნენ. მეზღვაურები მანქანებიდან ჩამოხტნენ, ტანსაცმლიდან მტვერი დაიბერტყეს და მუხლი გამართეს. გზაზე ტანკების დიდი კოლონა გამოჩნდა, უკან მოტომქანისზირებული ნაწილები მოსდევდათ. ტანკისტებს ლუკები გადაეხსნათ, ზევით ამოხულიყვნენ და ტანკის ბაქნებზე ისხდნენ. მუხლუხების ღრუბლი და ხმაური სმენას ჰკრიდა.

ოთარი, ვასია და კოსტია ერთად იდგნენ და ტანკებს უყურებდნენ.

— ეტყობა, დიდი შეტევა მზადდება, — თქვა ოთარმა.

მეზღვაურები ჩაფიქრებული უმჯერდნენ ტანკების მოძრაობას და მართლაც საფიქრებელი ბევრი ჰქონდათ. ამ შეუპოვარ, გარუჭულ ბიჭებს სიცოცხლე სწყუროდათ, ცხოვრება ვარდისფრად ესახებოდათ, წინ კი ომის ქარცეცხლში სიკვდილის აჩრდილი აღმართულიყო.

სამხრეთ-დასავლეთი ფრონტი ცეცხლის ალში იყო გახვეული. საბჭოთა ჯარების შეტევა იმდენად ძლიერი იყო, რომ მტერი შეუჩერებლად უკან იხევდა. მაგრამ ადგილ-ადგილ ბრძოლები მეტად შეუპოვარი ჯაშვავე იყო.

ქვედანაყოფი, რომელშიც გალინა

იყო, სადესანტო ნაწილებთან ერთად ზღვიდან გადასხეს. მეზღვაურებმა ფაშისტთა სიმაგრეები იერიშით აიღეს და ახლა სანგრებში ისვენებდნენ. ბინდებოდა. ანდრეის მკლავზე მარსურის სახელი აეწია და გალინა ჭრილობას უხვევდა.

— ხომ არ გტყვივა? — ჰკითხა გალინამ.

— არა, ტკივილით არა, მაგრამ უხერხულობას ვგრძნობ.

— არაფერია, მალე შეეჩვევი და უხერხულობაც გაგივლის.

გალინა მეზღვაურთა შორის დადიოდა, მხარზე სანიტარული ჩანთა გადაეკიდა და დაჭრილებს ეხმარებოდა. „ნეტა, სად არის ახლა ოთარი? — ფიქრობდა იგი. ეტყობა, ჩვენს ნაწილში გადმოსვლა ვერ მოახერხა“. წერილები დამამშვიდებლად მოქმედებდნენ მასზე, მაგრამ მაინც აფორიაქებული იყო.

გალინა სანიტრებთან მივიდა და სახელდახელოდ მოწყობილ საწოლზე თვალი მილულა. სიბნელეში აქა-იქ მწველი ტყვიები გრძელწითელ ზოლს აჩენდნენ...

ღამე გადაიწურა. პორიზონტი ჯერ მტრედისფრად შეიფერა, შემდეგ კი თანდათანობით განათდა. ნელი სიო საამოდ ელამუნებოდა სანგრებში მიძინებულ მებრძოლებს. ირგვლივ სიჩუმე სუფევდა. გუშაგები ფხიზლად ადევნებდნენ თვალს მტრის მხარეს.

უცებ ქვეშეთა გრილმა მყულრობა დაარღვია. აფეთქებული ჭურვების ნამსხვრევები სანგრებს მოეფინა. ცეცხლი თანდათანობით გაძლიერდა.

მებრძოლები სწრაფად გამოფხიზლდნენ, სანგრების კედლებს მჭიდროდ აეკვრნენ. ზოგს ყურებზე ხელი აეფარებინა, ზოგს მხრებში თავი ჩაერგო და სანგრის ფსკერზე ჩამჯდარიყო...

ასეულის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ივანე რადჩენკო ჰოგრიტით გასცქეროდა მოწინააღმდეგის პოზიციებს. მტრის მხრიდან ქვეშეთა ცეცხლი სულ უფრო ძლიერდებოდა. მალე ცაში ფაშისტების ბომბდამშენები გამოჩნდნენ. საზენიტო ქვეშეთებმა გახშირებული სროლა ატეხეს. ცაში აფეთქებული ჭურვები ფაშისტ მფრინავებს საშუალებას არ აძლევდნენ, დამიზნებით დაეშინათ ბომბებს. ირგვლივ ჩამოგდებული ბომბების წივილი და ძლიერი აფეთქების ხმები ქვეშეთა ქუხილს უერთდებოდა.

ცაში წითელვარსკვლავიანი გამანადგურებლებიც გამოჩნდნენ. საბჭოთა მფრინავები მტერს ეკვეთნენ. მალე აქა-იქ ფაშისტთა რამდენიმე ბომბდამშენს ცეცხლი წაეკიდა...

გალინა სანგრის კედელს აჰკვროდა და ფართოდ გახელილი თვალებით საჰაერო ბრძოლას მისჩერებოდა. ირგვლივ ჯოჯოხეთური ხმაური იდგა. საარტილერიო დუელი თითქმის ერთ საათს გაგრძელდა. აქა-იქ დაჭრილთა კვნესა და მოთქმა ისმოდა, ქვეშეთა გრილი შეწყდა თუ არა, ჰიტლერილები შეტევაზე გადმოვიდნენ.

— ასეულო, — გაისმა რადჩენკოს

ხმა, — ბრძოლისათვის მოემზადე! მებრძოლები წამოიძარტნენ, ტანზე მიყრილი მიწა და მტვერი ჩამოიფრთხეს, სანგრის პირას ადგილი დაიკავეს. ფაშისტთა მოიერიშე კოლონებს წინ მძიმე ტანკები მოუძლოდნენ. გალინა სწრაფად ტრიალებდა დაჭრილთა შორის და სანიტრებთან ერთად პირველ დახმარებას უწევდა მათ.

— ასეულო, ცეცხლი! — გაისმა რადჩენკოს ძლიერი ხმა.

აკაანდნენ ტყვიამფრქვევები, ახმაურდნენ ავტომატები.

ანდრეიმ ტანკსაწინააღმდეგო ხელუწყობარების შეკვრას დასტაცა ხელი, სანგრისგან ფრთხილად ამოძვრა, მიწას გაეკრა და ხოხვით წინ წავიდა. ყუშმარის მიერ ამოთხრილ ორმოში ჩაწვა და მოახლოებულ ტანკს დაელოდა. მეზღვაური ანთებული თვალებით მისჩერებოდა ტანკის მოძრაობას. ტურები მაგრად მოეკუშა. სახე უკიდურესად ჰქონდა დაძაბული. ხელუწყობარების შეკვრა მაგრად ჩაებლუჯა. შორიახლო სანგრებიდან კიდევ რამდენიმე მეზღვაური ამოცოცდა, მათაც ხელუწყობარების შეკვრა ეჭირათ, მიწაზე გართხმულნი ხოხვით წინ მიიწვიდნენ.

ტანკები დიდი სისწრაფით მოემართებოდნენ.

ანდრეიმ ოღნავ წამოიწია, მარჯვენა ხელი ძლიერ მოიქნია და ხელუწყობარების შეკვრა მის წინ აღმართული ტანკის მუხლუხებზე შეაგდო, თვითონ კი თხრილში ჩაგორდა. მძლავრმა აფეთქებამ ტანკი ჯერ ოღნავ ასწია ზევით, შემდეგ კი გაწყვეტილი მუხლუხოს მხარეს მკვეთრად შემოტრიალდა და ცეცხლის ალში გახვია. რამდენიმე წუთის შემდეგ კიდევ ორი აფეთქების ხმა გაისმა.

ცეცხლმოკიდებული ტანკიდან ფაშისტები ამოცივდნენ. ანდრეიმ ავტომატი გამართა და ცეცხლი გახსნა. ტყვიებით დაცხრილული ფაშისტები ზედაზედ ეცემოდნენ. წინ, მოპირდაპირე მხრიდან, გერმანელთა მოერიშე ჯგუფები ავტომატების განუწყვეტელი სროლით მოიწვიდნენ. მათ კიდევ რამდენიმე მჭიდროდ შეკრული რიგი მოსდევდათ.

ბატალიონის მეთაურმა კონტრშეტევაზე გადასვლა ბრძანა. ასეულები სანგრებიდან ამოიშალნენ. მეზღვაურები აწვირებულ ტალღებზე მოედევნენ ბრძოლის ველს. ვაშამ გუგუნით გადაუარა მიდამოს. მეზღვაურთა და ფაშისტთა ჯგუფები ერთმანეთს შეასკდნენ. გაიმართა ჯოჯოხეთური ხელჩართული ბრძოლა.

ანდრეიმ რამდენიმე გერმანელი მიანწვინა და ახლა გაშმაგებით მიეტანა ახმას წითურ ფელდებელს, რომელმაც წუთის წინ ტყვიებით დაცხრილბა ოცეულის მეთაური. ფელდებელმა სწრაფად ამოატრიალა ავტომატი, მაგრამ ანდრეიმ ხელი აუკრა და წიხლი მუცლის ქვემოთ დააძგერა. ფელდებელი უკან გადავარდა, თან ავტომატი აიქნია. ავტომატის ლითონის კონდახი ანდრეის დაჭრილ ხელს მოხვდა. წამით აუწირელმა ტკივილმა ანდრეის თვალები დაუხნელა, ხელიდან ავტო-

მატი გაუვარდა და დაბარბაცდა. თვალებს ბინდი ნელ-ნელა ჩამოსცილდა, მუერა გაუშტერდა. მის წინ სახელდამეკილი, ცივი, გამჭრიახი ხელი ბიანი ახმას ფელდებელი იდგა. მარჯვენა ხელში დაშნა ეჭირა. წამი და დაშნაინი ხელი ჰაერში აღმართა.

— უჰ, შენი! — გაისმა ანდრეის უკან ვილაცის ხმა და ავტომატის ტყვიებმა ფელდებელი ადგილზე შეატოტმანა. ჰიტლერელს ხელი ჩამოუვარდა და მოცულოლივით მიწაზე დაეცა. ანდრეიმ სწრაფად მოიხედა და თვალები გაოცებულაგან გაუფართოვდა. მის წინ ავტომატით ხელში ბუშლატგადაღელი ოთარი იდგა.

— ძმობილო! — დაიბუხნა ანდრეიმ. — წინ! დასცხე, — გაისმა რადჩენკოს ომანიანი ხმა. ოთარი სწრაფად დაიხარა, ავტომატი მიწიდან აიღო და ანდრეის გადაუგდო, ანდრეიმ იარაღი ჰაერში შემართა. ამ დღეს მეზღვაურთა ქვედანაყოფმა ფაშისტთა ოთხი შეტევა მოიგვრია; შემდეგ შეტევაზე გადავიდნენ და გერმანელების პოზიციები დაიკავეს. უკან დახეული ფაშისტები ახალ ზღუდეზე გამაგრდნენ.

გალინა სიხარულით კინალამ გადაირია, როდესაც ანდრეის გვერდით ოთარი დაინახა, ჯერ ისე დაიბნა, ხმა ვერ ამოიღო, შემდეგ ტირილი აუვარდა, მერე კი ოთარს კისერზე ჩამოეკიდა.

წინაღლით ჩვენი ბატალიონი თქვენი პოზიციების გვერდით განლაგდა, — ჰყვებოდა ოთარი, როცა შეხვედრის მღელვარება ცოცხალი ჩაცხრა, — გერმანელები შეტევაზე რომ გადმოვიდნენ, ჩვენს ასეულს ებრძანა, გვერდიდან დაეტყა მტრისათვის. ჩვენ სწორედ მაშინ ჩავერიეთ, როცა ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლის დროს დავინახე, როგორ აღმართა ჰიტლერელმა დაშნაინი ხელი ჩვენიანის წინ. აქ უკვე წამები წყვეტდნენ საქმეს და მეც არ დავაყოვნე. მერე კი ამ ვეება მატროსმა რომ მოიხედა, ანდრეი შემბრა ხელთ. დანარჩენი თქვენ იცით...

სავლელ სანიტარულ ნაწილში მთელ ღამეს თვალი არავის მოუხუჭავს. დაჭრილი ბევრი იყო და ყველა საჭიროება დახმარებას. გალინას წუთით არ შეუშვენია. წინა ხაზიდან დაჭრილები მოიყვანა და შემდეგ სანიტარული ნაწილის უფროსის განკარგულებით ექიმებს ეხმარებოდა.

დილით დივიზიამ შეტევა დაიწყო. ოთარმა თავის ასეულში დაბრუნება ვერ მოახსრო და ახლა ანდრეის გვერდით იბრძოდა. გერმანელები მიწის ყოველ გოჯს ებლაუჭებოდნენ, წამალუწუმ კონტრშეტევაზე გადმოდიოდნენ, მაგრამ დაღეწილები ისევ უკან იხევდნენ.

სავლელ სანიტარულ ნაწილში დაჭრილები განუწყვეტელი ნაკადით შემოჰყავდათ. ექიმები, მედლები და სანიტრები თავაუღებლად მუშაობ-

დენ. გალინამ შეხვევა დაამთავრა და საკაცით შემოყვანილ, სისხლში გახვრილ დაჭრილ მეზღვაურს გახედა. წამით სუნთქვა შეეკრა, შუბლზე ცივმა ოფლმა დაასხა და ლამის გონება დაკარგა... საკაცზე ოთარი იწვა.

— საოპერაციოში — ჩახსმა გალინას ქირურგის ხმა. უცებ გამოერკვა, ხელნაკრავით წამოვარდა და ოთარისაკენ გაიქცა.

— ოთარი — სასოწარკვეთილა ჩასძახა გალინამ.

ოთარიმა თვალები ოდნავ გაახილა, დააქცერდა, სახე თითქოს გამოუცოცხლდა და უღონოდ, ოდნავ გახავონი ხმით წარმოთქვა:

— გალინა! — შემდეგ ისევ დაკარგა გონება.

ოპერაცია დიდხანს გაგრძელდა. ქირურგმა ოთარს მუცლიდან ოჩი ამკაოდ მოწრდილი ნაწინვრევი ამოუღო, ბარძაყიდან კი ავტომატის ტყვია. გალინა ოთარს თავს დასტრიალებდა.

ოთარის დაჭრის ამბავი მის ასეულში გაეგოთ. ვასია, კოსტია და ანდრეი სანიტარულ ნაწილში მივიდნენ. საველე ჰოსპიტალი სკოლის პატარა შენობაში იყო გაშლილი. მძიმე დაჭრილებთან არავის უშვებდნენ. განსაკუთრებით ერთი კაფანდარა სანიტარი აქტიურობდა.

— სად გგონიათ თქვენი თავი, აქაოდა მატროსები ვართო, უველადი შეიძლება თქვენთვის?

ანდრეი ცნობისმოყვარეობით უყურებდა ამ პატარა კაცს, რომელიც ენას არ აჩერებდა და სიტყვებს ტყვიამფრქვევით ისროდა. კოსტიას და ვასიას სიცილი წასკდათ, როდესაც კაფანდარამ ხელის შეხებაც გაუბედა გოლიათს. ანდრეი ეშმაკობის გზას დაადგა. ჯიბიდან წითელი არსებით მოქარგული მახორკით სავსე სათუთუნე ამოიღო და ცხვირწინ დაუტრიალა.

— აი, ხომ ხედავ? გვარევენ ჩვენი ძმაცაი და...

— რაო, — იყვირა კაფანდარამ, — გინდა წესდება დავარდვით? გინდა სარდლობა მოვატყუო? თავიდან მოწყდით, თორემ ისეთ ღღეს დაგაყრით, სიგრძეს სიგანედ გაიქცევთ!

ამ სიტყვებზე ბიჭებმა გულიანად გადაინახარეს. ანდრეის კი, ეტყობა, მოთმინების ძაფი გაუწყდა, აიფოფრა და გაბრაზებული დათვივით აბურღდუნდა:

— აბა, ბიჭებო, შედიეთ მე ამას მოვუვლი, — დაიძახა მან და სანიტარი ცალი ხელით კედელზე გააკრა. ვასია და კოსტია პალატაში შეცვივდნენ. ანდრეიმ ხელი უშვა კაფანდარას და მეგობრებს მიჰყვა.

კაფანდარას, ეტყობა, გვარიანად შეშინებოდა, ადგილიდან არ იძროდა, თან თვალებს აქეთ-იქით აციცებდა. შემდეგ ადგილს მოსწყდა და ერთი ქოთქოთით გაიქცა.

— მე თქვენ გაჩვენებთ თვითნებობას!

პალატაში ბიჭებს გალინა შემოეგება. პალატა სავსე იყო დაჭრილებით, აქა-იქ ჩაგუბებული კვნესა და ოხვრა ისმოდა.

გალინა გამხდარი და ფერმიღეუ-

ლი ჩანდა, ლურჯი თვალები კიდევ უფრო გამუქებოდა. უძილო დაშვებებს თავისი დადი დაემჩნია. გალინამ ტურბზე თითი მიიღო და ბიჭებს ჩურჩულით უთხრა, ეს-ეს არის, რაც ჩაეძინაო. ბიჭები ფხაკარეფით მიუახლოვდნენ მის საწოლს. ოთარს სახეზე ნაცრისფერი ელო, ყვრიმალეები ჩასცვენოდა, ნიკაპი და ცხვირი წაწვეტებოდა.

— ოპერაციის შემდეგ არ სძინებია... — ჩურჩულით თქვა გალინამ.

— სიცხე თუ აქვს? — ჩუმად იკითხა ანდრეიმ, მაგრამ მისმა ჩუმმა ხმამ კარგა გვარიანი ექო გამოსცა პალატის სიმყუდროვეში. ოთარიმა თვალები გაახილა, ბიჭებს შეხედა, უძღურად გაიღიმა. ტურბის კუთხეები ნაოჭებმა დაუსხრა. სუსტი, დაბალი ხმით წარმოთქვა:

— როგორ ხართ, ბიჭებო!

გალინა ფეხებთან დაუჭადა და სიყვარულით უცქეროდა ოთარის გაცრეცილ სახეს.

— ჩვენ კარგად ვართ, არა გვიჭირს, აი, შენ კი... ყოჩაღ, ბიჭო! — მარტოკას მთელი ასეული გაგინადგურებია, დივიზიაში მხოლოდ შენზე ლაპარაკობენ, — უპასუხა ანდრეიმ.

ოთარს ტურბზე ღიმილი მოეფინა.

— აზვიადებენ...

— რას ამბობ, — შეეპასუხა კოსტია, — შენ და ზემდეგ ვანია კაბას მტრის სანგრებში ისეთი ცეცხლი დაგინთიათ, რომ!

ოთარმა თვალები მიღულა. თვალწინ ხელყუმბარებით ხელში გერმანელების სანგარში შევარდნილი კაბა და ფაშისტა შეშინებული სახეები წარმოუდგა. ზედიზედ ორი აფეთქება და შემდეგ ტყვიებით დაცხრილული კაბა... ოთარი იმ წუთში მხოლოდ მტრის სახეებს ხედავდა: ზედიზედ რომ უშენდა ავტომატის ტყვიებს. ხელყუმბარამ გვერდით იფეთქა, ცეცხლის ალი ავარდა, მერე კი წყვდაიდა ჩამოწვა.

— კაბა, — ამოიგმინა ოთარმა, — აი, გმირი ვინ იყო! ერთი გენახათ, როგორ იბრძოდა!.. ჩვენი ბიჭებიდან ბევრი დაიღუპა?

ანდრეიმ ბიჭებს გადახედა.

— ომია, ოთარი... რას იზაში!

— ხო, ალბათ ასეა, — მისუსტებული ხმით წარმოთქვა ოთარმა.

პალატაში სანიტარული ნაწილის უფროსი მაიორი შუვალოვი შემოვიდა. უკან კაფანდარა სანიტარი მოსდევდა. მეზღვაურები ფეხზე წამოდგნენ. ანდრეიმ სამხედრო წესით უპატაკა, რომ მეგობრის სანახავად მოვედითო და თან დასძინა:

— გვაპატიეთ, თუ ისე არ მოვიქცით, როგორც საჭიროა.

შუვალოვს უნებლიედ გაეღიმა. გოლიათს ბავშვივით გულწრფელი თვალები ჰქონდა.

— კეთილი, ბიჭებო! ხომ ინახულით თქვენი მეგობარი. მძიმე ოპერაცია გადაიტანა და მისთვის გადააღო არ შეიძლება. ახლა კი წადით.

მეზღვაურები ოთარს და გალინას გამოემშვიდობნენ და პალატიდან ფეხაკრეფით გავიდნენ.

გავიდა ორი თვე. ოთარი მომჯობინდა, უკვე კარგად გრძნობდა თავს და დღე-ღამეზე გაწერას ელოდა. გალინა ოთარს არ სცილდებოდა. მორჩებოდა თუ არა დაჭრილების მოვლას, მასთან გაჩნდებოდა. ოთარიმა დედას წერილით შეატყობინა; რომ მალე რძალს ჩამოგიყვანო და თანაც გალინას სურათი გაუგზავნა.

მათი საველე ჰოსპიტალი ფრონტის წინ წაწვევასთან ერთად სწორად ადგილს იცვლიდა. ახლაც ბანაკი ტყის პირას გაეშალათ. სადამო ხანი იყო. ჩამავალი მზის სხივებს ფიჭვისა და ნაძვის ხის კენწეროები ოქროსფრად შეეღებათ. ტყის პირას მზარეულები საველე სამზარეულოში ვახშამს ამზადებდნენ. ფრონტის ხანი ახლოს იყო და განუწყვეტლივ ისმოდა სროლის ხმა, ტყვიების ზუზუნი. პალატაში მსუბუქად დაჭრილი ჯარისკაცები იწვნენ. ზოგი დომინოს თამაშობდა, ზოგი შაშხ, ზოგიც წერილს წერდა.

გალინა ოთარის საწოლზე ჩამოქდარიყო და რაღაცას უამბობდა სიცილით. ოთარი ყურადღებით უსმენდა და ისიც გულიანად იცინოდა.

უცებ სადამოს სიმყუდროვე მახლობლად ატეხილმა სროლამ და ავტომატების ჭერმა დაარღვია. ამას ტყვიამფრქვევების კაკანი დაერთო. გაისმა ხელყუმბარების აფეთქების ხმა.

ოთარი ლოგინიდან წამოვარდა. დაჭრილებიც წამოცვივდნენ.

— რა ამბავია! რა მოხდა! — გაისმა შეშფოთებული ხმები.

პალატის კარი ხმაურით გაიღო და კარებში შეიჭრა გამოჩნდა:

— თავს უშველეთ! ფაშისტები! — დაიყვირა მან. ავტომატის ტყვიებმა შეიჭრა კარებში ჩააჩოქა. პალატაში გამხეცებული ესხმელები შემოცვივდნენ, უიარაღო დაჭრილ ჯარისკაცებს ტყვიები დაუშინეს.

შემძწუნებული გალინა ოთარს აეკრა. გაისმა ავტომატის ჭერი... გალინა მოწყვეტით ჩაიქცა. ოთარიმა რაღაც არაადამიანური ხმით შეტლირა... ესხმელი შეცბა, ავტომატს სახსლეტზე თითის გამოკვრა წამით შეაყვანა, ოთარი წარმოუდგენელი სისწრაფით ზედ დააცხრა და ფეხთ მოიგდო. წაშში ავტომატი აართვა და რკინის კონდახი გამეტებით ჩასცხო თავში. თავგაჩხილი ფაშისტი უსულოდ გაგორდა: ესხმელებმა მობრუნება ვერ მოახწერეს, რომ ოთარი ავტომატის განუწყვეტელი სროლით სამივე ადგილზე მიაწვინა, კარებში გავარდა და ესხმელთა ჭაფუფი სროლით შეიჭრა. პიტლერელებმა რამდენიმე მხრიდან დაახალეს ოთარს ტყვიები. ოთარი ჩაიქცა და მუხლებზე დაეშვა. ესხმელები მიუახლოვდნენ, უცებ დაჭრილმა ფეხზე წამოიწია და ავტომატი აღმართა. ფაშისტები უკან მიაწყდნენ. ერთმა მათგანმა სწრაფად და-

ახლა ტყვიები. ოთარი ამოიგმინა „უშ, თქვენი!“ — დაიბრალა და მოჭრილ ხესვით დაეცა მიწაზე.

ტყის პირას მეზღვაურმა შეტანა ლმა, „პალუნდრა“ ჯარისკაცები გადაუარა ესხმელთა რაშმს.

მოიერიშე ესხმელთა რაშმის გადასვლა ჩვენებს შეუტყვიათ და სასწრაფოდ ანდრეის ასეული გამოუყვით მათ გასანადგურებლად.

მეზღვაურები გაშმაგებული ეკვეთნენ ესხმელებს. ბრძოლა ხანმოკლე, მაგრამ სასტიკი იყო.

ანდრეი პალატაში შევარდა, ირგვლივ სისხლის ტბორი იდგა. ლოგინებზე და იატაკზე დახოცილი დაჭრილები ეყარნენ. მათ შორის ოთხი ესხმელი ეგდო. ანდრეიმ ოთარის საწოლისაკენ გაიხედა. ადგილზე გახედა. იატაკზე სისხლში მოხვრილი გალინა იწვა, მოშორებით თავგაჩხილი ფაშისტი ეგდო. ანდრეი გალინას მიუახლოვდა, მისი უსულო სხეული ხელში აიტაცა და პალატადან გავიდა. მეზღვაურებს გასძახა, — ბიჭებო, ოთარი მონახეთ!..

— ანდრეი! — დაიძახა საშუალო ტანის ჩახსკენილმა მეზღვაურმა. ანდრეიმ მისკენ მიიხედა. მეზღვაურმა დახოცილ ესხმელთა გროვისკენ მიუთითა. მათ შორის ავტომატით ხელში თავიქვე ოთარი ეგდო. ანდრეიმ გალინა მიწაზე დასვეწა და ოთარს მიუახლოვდა. ოთარი ტყვიებით ისე იყო დაცხრილული, რომ ტანზე სალი ადგილიც კი არ ჰქონდა შერჩენილი. ანდრეიმ ოთარს მკლავი მხარში ამოსდო და გადმოატრიალა. თვალები ღია დარჩენოდა, სახეზე გაშმაგება შეტყინოდა. ანდრეიმ ხელში ჩაბლუჭული ავტომატი ძლივს აართვა. შემდეგ ხელი ესხმელებსაკენ გაიშვირა და, თითქოს თავს ინუგეშებდეს, მწარედ წარმოთქვა, — ხედავთ, მათივე იარაღით დაუხოცია ძაღლები...


ტყისპირ, უზარმაზარი მუხის ძირში, მეზღვაურებმა გალინასა და ოთარს ცალკე საფლავი გაუთხარეს, ერთად ჩაასვენეს და საფლავზე ხის ვარსკვლავი ძეგლივით დადგეს. ზედ წარწერა გაუკეთეს. ანდრეი თავდახრილი იდგა. გოლიათი იცრემლებოდა. მას ცრემლების არა რცხვეწოდა. ეს დიდი მეგობრობისა და გულიდან ამოხეთქილი გრძნობის გამოხატულება იყო.

— დავიგვიანეთ, მეგობრებო, გვაპატიეთ, თუ დავბრუნდი, მარტო არ დაგტოვებთ. — ჩაიღუღუნა ანდრეიმ.

გაისმა ავტომატების ჭერი, საღუთი სამჭერ მისცეს...

ანდრეი თავდახრილი მიდიოდა. გვერდით მეზღვაურები მისდევდნენ. რაში ტყის ბილიეს მიჰყვებოდა. ვინ იცის, წინ კიდევ რამდენი ბრძოლა, ტანჯვა და სიხარული ელოდათ, ვინ სად დაასრულებდა თავის ცხოვრების გზას.

შორს, მორიზონტზე ცეცხლის ზღვი კიაფობდა.



სამთო-მსროლელი რაზმი სვანეთში.



ქვეითელები შეტევაზე.



საბჭოთა არმიელები უტყვენ დასახლებულ პუნქტს.



გათავისუფლებულ პიატიგორსკში.

პირველი რეპორტაჟი



ვიქტორ ჭვირანოვი
(ფრონტული სურათი)

1941 წელი იყო. ომმა ამერიკა-კასიის ერთ-ერთ რესპუბლიკაში მომიწრო, სადაც ვაზეთ „იზვესტიის“ რედაქციისაგან ვიყავი მივლინებული. დიდხანს არ მიფიქრია და, როგორც მოხალისე, მივადექი ვაზეთ „მებრძოლის“ რედაქციას.

და აი, დაიწყო ჩემი, როგორც ფრონტული კორესპონდენტის მუშაობა. ხშირად მიხდებოდა ამიერკავკასიის ფრონტის მოქმედ ნაწილებში გამგზავრება.

ერთ-ერთი ასეთი სასწრაფო დავალების შესასრულებლად მე და მწერალი ილია დუბინსკი (ი. მუხამე) ერთად მივემგზავრებოდით მოლდოვისა და მოზდოკის რაიონებში. ღამდებოდა, როდესაც ორჯონიკიძიდან გვედით. გამოცდილ მძღოლს, ლევან იუსუფოვს მანქანა შენიღბული ფარებით მიჰყავდა. რადგან გვაგვიანდებოდა, ღამის გასათევად არ შევჩერებულვართ. მან კარგად იცოდა მოზდოკის შემდეგ მოკლე ფრონტული გზები. ლევანმა გზატკეცილიდან სოფლის გზაზე გადაუხვია. ჩვენს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა, ჩვენდა ბედად, ცაში აიჭრა რაკეტა და ირგვლივ ყველაფერი თვალისმომკრეღმა შუქმა გაანათა. მძღოლმა დაინახა, რომ ჩვენ ნაღმიან მინდორზე გავედით.

ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა. ალბათ, იმ ერთმა წუთმა იხსნა ჩვენი სიცოცხლეც.

ლევანმა წამსვე შეაჩერა მანქანა. ახლა კი ყველანი ვხედავდით ჩვენს

წინ, რამდენიმე ნაბიჯზე, დადგმულ გამაფრთხილებელ დაფას, რომელსაც ეწერა: „ადგილმდებარეობა დანაღმულია“.

ლევანმა ფრთხილად, უკუსვლით გამოიყვანა მანქანა გზატკეცილზე. უკვე ათი საათი იყო დაწყებული. ჩვენი გეგმები შეიცვალა. მოგვიწია ღამის გათევა ერთ აულში. პირველსავე შემხვედრი სახლის კარზე დავაკაკუნეთ. კარი არავინ გაგვიღო, მაგრამ მეორე სახლში შეგვხვდა მოხუცი ჩენი, მან ხელები ცაში აღაპყრო და შეჰლაღადა: კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, იყავით ჩემი სტუმრებიო.

კერასთან იჯდა მისი შვილიშვილი. ეტყობა, მოხუცი მას თავის სამონადირო თავგადასავლებს უამბობდა.

ჩვენ ძალიან გვშიოდა. შევთავაზეთ მოხუცს ფული და ვთხოვეთ, რაიმე საჭმელი ეყიდა ჩვენთვის. მოხუცი დაგვთანხმდა, მაგრამ ფული არ გამოგვართვა.

ოც წუთში უკან მობრუნდა და ცხერის ბარკალი და ლავაშები გამოგვიწოდა. ვახშმის მომზადება მე ვითავე, ასე გავიყვანეთ საღამო. გათენდა თუ არა, მივედით № ნაწილის ეშელონამდე და დაიწყო ფრონტული ნარკვევებისა და ფოტოსურათების შეგროვება.

ეს იყო ჩემი პირველი რეპორტაჟი.

ვიქტორ ჭვირანოვი

ფოტოები ვიქტორ ჭვირანოვისა.

მედლა მოწინავე ხაზზე.



ჯუჯუარი თითქმის

ნადირობასა და მონადირეებზე ზღვა ლიტერატურა არსებობს — მხატვრული, მეცნიერული, პოპულარულ-დოკუმენტური და ა. შ. და ა. შ. „სამონადირეო“ ლიტერატურის მართლ ბიბლიოგრაფიაც კი რამდენიმე ტომს მინც შეადგენდა. ნადირობის ვნება-ჟინითა სულჩადგმული არაერთი ქართული ხალხური ლექსი, გადმოცემა, თქმულება, ლეგენდა, ასევე მრავალი კლასიკური და თანამედროვე ლექსი, მოთხრობა, პოემა, რომანი... და მინც, უშუალოდ თვით „პროფესიულ“ მონადირეებს ჩვენში ჭეղჭეღობით ცოტა უწერიათ თვითონ ღრმად ადამიანურ, უაღრესად მიწიერ და, ამავე დროს; ძალზე ამაღლებულ გატაცებაზე, თვით მონადირეებისთვის ჩვეულებრივ, ყოფით ამბებზე, რომლებიც არამონადირეებს, ხშირ შემთხვევაში, უჩვეულო, ლამის მონადირეთა ფანტაზიით შექმნილი კოლიზიებად მიიჩნიათ. ვის არ სმენია მრავალი და მრავალი სასიყვარლო, სახუმარო ამბები მონადირეებსა და მეთევზეებზე. ანეგდოტები ანეგდოტებად (მათ შექმნასაც უდაოდ აქვს გარკვეული საფუძველი), მაგრამ ნადირობაში მთავარი მინც სამყაროსთან ადამიანის მიმართების დრამა, ადამიანის ხსიანთის ფორმირება, მისი შინაგანი განწყობის, სულიერად ამაღლების პროცესია. ომისა და ადამიანებისა არ იყოს (ომი ბოროტ, ავი სულის კაცს კიდე უფრო აბოროტებს, აავაკებს, კეთილი სულისას — აკეთილშობილებს), ნადირობაც ცუდ, ხარბ, სასტიკ კაცს აუარესებს, კიდე უფრო ახარებს, ამხეცებს, ხოლო შინაგანად კეთილს, ღმერთთან ახლო მდგომს (გახსოვთ, ვაჟა? — „მაგრამ გავიგებთ ერთხელაც, ვინ ახლო ვდგევართ ღმერთთან“) კიდე უფრო აკეთილშობილებს, ასათუთებს, ახანდებს. ნადირობა არა ნადირი, მხეცის, არამედ საკუთარი სინდისის, ზნეობის პირისპირ, ერთიერთზე დარჩენა, უწინარეს ყოვლისა.

პირადად მე ასეთი ფიქრები აღმეძრა, როცა გიორგი თურმანაშული „მონადირის ჩანაწერები“ წაიკითხე. ეს ის წიგნია, რომელიც ყველამ უნდა წაიკითხოს, განსაკუთრებით კი იმათ უნდა წაიკითხონ, ვისაც გასაგებ თუ გაუგებარ მიზეზთა გამო უჭერო ცისქვეშ ღამე ერთხელაც არ გაუთვიათ, ზურგზე ტვირთიკიდულთ თუნდაც წელამდე წყალშიც კი არ გაუტოპავთ, სოფლის გორაკზე გაშლილ სასაფლაომდე უმანქანოდ არ აუცილებიათ მიცვალებული, და, რასაკვირველია, ჭიხვი, ირემი, შველი, მელია და კურდღელიც კი მხოლოდ ზოოპარკის გაღებში უნახავთ.

ამ მცირე მოცულობის წიგნს ისედაც ბევრი წაიკითხავდა, დარწმუნებული ვარ, მაგრამ მინც მინდა გა-

ვიზიაროთ ჩემი შთაბეჭდილება და დავასაბუთო, თუ რატომ გირჩიეთ, ლამის მოგთხოვეთ, ეს წიგნი ყველამ წაიკითხეთ-მეთქი.

ამ წიგნში თქვესმეტი ჩანაწერია გაერთიანებული. მათგან შვიდი თვით ავტორის ნაწახ-განცდილს ასახავს; დანარჩენი — სხვათა, თანაც, კონკრეტულ, რეალურ პირთა ნაშრომს. ოღონდ, ეს ის შემთხვევაა, როცა ორივე რიგის ჩანაწერებში მინც ავტორის მწერლური ნიჭია მთავარი. აბა, რამდენი ჩინებული მონადირე ვიცით, რომ თავისი ნაწახ-განცდილის არა თუ აგრერიგ შთაბეჭდავად ჩაწერა, არამედ ზეპირად მოყოლაც კი არ შეუძლია. ანდა, ძვირფასო მკითხველო, მე და თქვენ მონადირეებისა თუ სხვათა რამდენი უაღრესად საინტერესოდ მოთხრობილი ამბავი მოგვისმენია, მაგრამ მათი მოთხრობებად სორცშესხმა ვერ მოგვიხერხებია, შესაძლოა, არც გვიცდია. რატომ? იმიტომ, რომ ზეგარდმო ძალას ჩვენთვის აქეთქენ არ უბიძგებია, მარტივად რომ ვთქვათ, ჩვენთვის პროზაიკოსობა არ მოუშაღლებია. გ. თურმანაშული კი უმეცრედად პროზაიკოსია, ადამიანთა ხსიანთების მხატვარია, ბუნების გამასულიერებელია, ბუნების არამეტყველ შვილთა ამბებზეა დასაყრდენი, მათი გულთამხილავია. გ. თურმანაშული მექანიკურად, სიტყვასიტყვით არც სხვათა ნაშრომს იწერს და არც თავის ნაწახ-განცდილს წარმოსახავს. იგი ჩინებული მთხრობელია, მაგრამ ასევე ჩინებული ანალიტიკოსი და მოძღვარიცაა. ოღონდ, იგი ისეთნაირად ჰყვება ამბავს, რომ მხოლოდ ამის მოყოლის ილუზიას ქმნის. იგი თავისთავად აღებულ ამ ამბავს, ამ სიუჟეტს თითქმის არახოდებს „ამბიმებს“ რაიმე რემარკით, შეგონებით, დამოძღვრებით, მაგრამ მინც გაფიქრებთ ბევრ რამეზე. ვთქვათ, აი, ერთი ადგილი მოთხრობიდან „დიდ დათვებზე ნადირობა ვანხევი“.

„დაგორებული დათვი წიფლის უკან ეგდო გულღმა. პატარა, სწორ ადგილას იყო გაჩერებული. წინა ორივე თათი გულზე ჰქონდა დაკრეფილი, როგორც მიცვალებულ ადამიანს. უკანა ფეხებიც სწორად, ერთნაირად გაეშვირა. მე გამივივრდა დათვის ასეთი სიკვდილი და ხვთისოს ვეკითხებო:

— რამდენი ხანია ნადირობ, დათვებიც საკმაოდ ბევრი დაგიხოცავს, თუ გინახავს ასეთი სიკვდილი?

— არა, არ მინახავს, მაგრამ გამიგია, რომ დიდმა დათვებმა ასეთი სიკვდილი იცინა.

რადაცნაირად მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ამ დათვის სიკვდილმა ჩემზე“.

მორჩა. ავტორი ამაზე მეტს არას ამბობს. არადა, მკითხველს თვალწინ უდგას მიცვალებულ ადამიანსავით გულღმა მწოლარე, მკერდზე ორივე

თათდაკრეფილი დათვი და მის თავით მღვარი, მისი ამნაირი სიკვდილით გაოგნებულ-შეძრული ადამიანი.

ანდა, რაოდენ ადამიანურია, რამდენ რამეზე დამაფიქრებელია მონადირეთა ნაშრომიდან ეს ამონარიდები: „მაისტის ხეობაში ერთი ყაჩად ქისტ ყოფილა, მაგარიც ყოფილა. ის ასულა ბოლომდე ამ გორაკზე. იმასაც უთქომ, რომ სადაც ხარჯიხე გაიარა, მეც გავიარე, სადაც ღელა ჭიხვმა და თიკანმა გაიარა, იქ კი მეც ვერ გავიარე...“ („საჩხვეების პირველად ხილვა“).

კიდე, სხვაგან თქმული, მაგრამ ამგვარივე ბრძნული ქვეტექსტის შემცველი:

„მგელის სადაც ლეკვები ჰყავთ, რომელი სოფლის ახლოსაც ბინადრობენ, იმ სოფლის პირუტყვს არ აზარალებენ, თავის გადარჩენის ინსტიქტი კარნახობს ასე მოიქცენენ: თუ მოსახლეობა არ გაღვიანდა, მათზე ნადირობასაც აღარ დაიწყებენ“ („როგორ დავიჭირეთ მგლის ლეკვები მალაროსთან“).

უაღრესად შთაბეჭდავია ბერიაკის მოიადურ-იგავურად მოყოლილი ამბავი ერთი ნადირობისა, როცა გულხარობისა თუ უგონობის გამო სამამონადირემ სამი დათვი დახოცა, თუმცა, ერთის მეტს იმ საზვავებთან ვერაფრით ჩამოიტანდნენ ძირს. სამი დახოცეს და სამივე ზვაგმა შთანთქა. „ავდექი და გამწარებული მანინვე უკან წამოვედი, შიგ გულში ბოღმა და ბრაზი მიტრიალებდა. ვჯავრობდი ჩემს თავზე, რატომ დავხოცე-მეთქი სამი დათვი, განა ერთი კი არ იყო საკმარისი?... სამი დათვი ტყესაც მოაკლდა და ჩვენც. მოკლული დათვები ზვაგში, მარტო ჩვენ კი არა, ბევრს ჩავარდნია, მაგრამ სამი დათვი ერთ საათში, ერთ დღეს, ალბათ, არავის, ჩვენს გარდა!“ („მოხუცი მონადირის ნაშრომი“).

სხვა მოთხრობაში კი მრავალჭირდადნახალი, სახელგანთქმული მონადირე, მკაცრად აფრთხილებს ნაკლებდამოცდილს, ერთ ჭიხვზე მეტი არ მოკლათო: „მეჭავრება, კაცი რომ გაუმძღარია, ხარბია, იყვენ და ილაღონ, რად უნდა ვხოცოთ უაზროდ“.

ამ წიგნის ავტორში ერთმანეთს ბედნიერად ერწყმის მრავალმხრივი პიროვნება — ერთდროული ფოლკლორისტი, ხალხური ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებების, საერთოდ ყოფის ღრმად მცოდნე, ნიჭიერი კალმოსანი, ბუნების მესაიდუმლე, ამ საიდუმლოს არა მწიგნობით (უფრო სწორად, არა მარტო წიგნებით), არამედ მთელი თავისი არსებით, სხეულის ყოველი ნაკვითა და ძარღვით ნაზიარები კაცი. ნადირობის ტრავალიება კი მისთვის თითქოს ქმედითი, დაუდგრომელი ხსიანთის გარეგნულად გამოხატვის საოცრად ბუნებრივი ფორმა იყო. გ. თურმანაშული ქართული მთის

კილოთა ერთ-ერთი საუკეთესო მცოდნე გახლდათ და ესაა ამ კილოთა ცოცხალი ფორმების, ასე ვთქვათ, შემოქმედებითი ცოდნა და არა მხოლოდ მისი კარგე მხრებისა და ცნებების კაბინეტიდან, შორს, წყნარ, ტანციოდან წვდომის ცდა. იგი დროდადრო იწერდა და ხალიტერატურო პერიოდიკაში აქვეყნებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების საუკეთესო ნიმუშებს, რომელთაგან ბევრმა ჩვენი ფოლკლორის ოქროს ფონდში დაიმკვდრა ადგილი (ახლა გამოუქვეყნებელი რამდენი აქვს დარჩენილი). ამათგან თუნდაც ერთ ასეთ შედეგს გაგახსენებდით: „მაჰკვლია, ბეჩავო იერემო, დასდევს სილარიბის ჭოხი, მიწანიც დაილოცებია, შიშველნი დაგიფარნა ხორცი“. როგორც ვთქვით, გ. თურმანაშულს ორგანულად აქვს შეთვისებული მთის კილოთა ინტონაციები თუ ლექსიკა, მაგრამ არახოდეს არ ცდილობს ამით მკითხველის გაოცებას, ამ დიალექტოპური ერთგულების დახვედრის, სწორედ პირიქით, შესაშურ ზომიერებას ავლენს არა მარტო ავტორისეული ტექსტის, არამედ პერსონაჟთა მეტყველების გადმოცემაშიც. მეტიც, ამ უკანასკნელთა მუსიკალური გაბნეული ხალხური, „დგილობრივი“ ფორმა — წყობებიც კი ზოგადად პარათულად და საოცარი სახიერებითა და სიცინცხლით ხიბლავს მკითხველს. აბა, ყური მივუგდოთ:

— „ჭერ კიდე ბევრი გზა დაგვრჩა“

— „ჭერ კიდე დიდი გზა მიგვიდის, დიდი“ („საჩხვეების პირველად ხილვა“);

„ხელთნება აღარა ჰქონდა, — ორივეში ბელეები ეჭირა“ („ბელეების მოტაცება“);

„ლულა თითქმის ზედ მივადე, ვეღარ დავუმიწნე, ისე ვესროლე, მაგრამ გამიცდა“ („კაწალხევი ნადირობა“)...

ეს დიალექტიკური „დიდი გზა მიგვიდის“, „ხელთნება აღარა ჰქონდა“, „ვესროლე, მაგრამ გამიცდა“ რა მარგალიტებით ბრწყინავენ, როგორი მჭვირვალნი, სხივოსანი არიან!

ეს ის შემთხვევებია, როცა კონტექსტში მარჯვდ, მკვიდრად ჩახსულ დიალექტურ ფორმებს არავითარი „მთარგმნელი“ არ სჭირდება!

ან რა კარგია: „არეული ხომ არ არის შენი თოფი?“ — შენ არ ააცდენდი, ალბათ, თოფია გასაპართო.

კიდე: „შენი თოფი პირმართალია“ (შენ ესროლე, შენი თოფი უფრო გამართულია).

გ. თურმანაშული მოკლედ, სხარტად ამბობს სათქმელს. იტყვის: „მივდიოდი და მიხაროდა, რომ დაბრუნებისას ისე ვნახავდი აქაურობას.“ მეტს არაფერს ამბობს, არ აღწერს იმ მიდამოს, შენ უნდა წარმოისახო, ასე როგორი სამზერო შეიძლება ახარებდეს ადამიანს.

და მინც, ზოგჯერ „ხელი გაქცევა“ და გაუმარჯოს ასეთ ხელის გაქცევა:

„ბევრ ადგილას ვნახე მთის მდინარეთა დამხვრეული და დანაძოძებული ტანი, ზოგ ადგილას ისე იყო დიდწილი, აღარ მჭეროდა, თუ კი-



დედ შეხედდნენ სიარულსა და ტანის გამართვას, მაგრამ... ასეთი კალაპოტით სიარულს შეჩვეულნი არიან და თავის სავალ გზას აგრძელებენ...

არც თვითონ ავტორი და არც მისი გმირები არსად არ ლაპარაკობენ მაღალფარდოვნად და ხმამაღლა, თუ რატომ უყვართ მთა და ნადირობა, მაღალფარდოვნად და ხმამაღლა კი არა, ამაზე საერთოდ არ ლაპარაკობენ, ეს მათი „უხიკეცო“ სიყვარულია, სიყვარული და სამყაროსთან, ბუნებასთან მიმართების, გნებავთ — ყოფნა — არყოფნის, მარადიულ კითხვებზე პასუხის ძიება.

გახსოვთ, ალბათ, ერთ დიდ ალბინისტს ჰკითხეს: მაინც რატომ დადიხართ მთაში? იმიტომ, რომ იქ ასეთ სულელურ კითხვებს არ იძლევიანო.

მაინც რატომ დანადირობთ იმ კლდე-ღრეხებში, სიცოცხლეს საფრთხეში რატომ იგდებთო, რომ გეკითხათ გ. თურმანაულისა და მისი პერსონაჟებისათვის, ალბათ, ასეთსავე პასუხს მიიღებდით.

აი, მოთხრობა „საჩინვეების პირველად ხილვის“ პერსონაჟი, უბადლო მონადირე ტოლბა შეთქაური სიტყვაძუნწი კაცია, „პოეტურად არც როდის ლაპარაკობს ნადირობაზე, ერთის შეხედვით, ეზარება კიდეც ნადირის ღვენა, მაგრამ, ნახეთ, როგორ

გაიოცებს, როცა ერთ თანამონადირეზე ეტყვიან, ცუდად გახდაო, „როგორ შეიძლება კაცი საჩინვეებში ცუდად გახდესო!“ ძალად, სახეიროდ მონადირეს ასე ვერ გააოცებდა საჩინვეებში ასული თოფიანი კაცის ავად გახდომა. ტოლბას მონადირული სულის წარმოსაჩენად მეტის თქმა არც იყო საჭირო და ავტორი ამაზე მეტს არაფერს ხედავს. დანარჩენს გმირის მოქმედება, საქციელი გვიჩვენებს.

ლიაქტური ფორმები არა მართო პერსონაჟთა, არამედ თვით ავტორისეულ მეტყველებაშიც გვხვდება, მაგრამ იგი ასეთ შემთხვევებში ერთგვარად თითქოს ბოლიშოხსო:

„მოვლივართ კიდეც უფრო ფრთხილად — სიფრთხილის კრეფით, როგორც ფშაველები იტყვიან“.

„ჩავედით ხვთისო-ხვთისოს თან (ორი ღვთისო როცა ერთად არის; ასე ვამბობთ ფშაველები)“.

ერთი სიტყვით, გ. თურმანაულის ეს მომცრო წიგნი მრავალმხრივია საყურადღებო. მასში თავისი სული-სა და გონებისთვის ბევრს რასმე საყურადღებოს იპოვიან მოწარდებიცა და უფროსებიც.

რაოდენ გულსატკეპია, რომ გ. თურმანაული ჩვენს შორის აღარაა. ახლა ჩვენი ვალია, შევისწავლოთ

მისი არქივი, თავი მოვუყაროთ მის მიერ უკვე გამოქვეყნებულ თუ ჯერ გამოუქვეყნებელ ფოლკლორულ მასალებს, აგრეთვე, რასაკვირველია, მის მოთხრობებსა თუ ჩანაწერებს და საკადრისად გამოვაჩინოთ ამ ნათელი პიროვნების სულიერი ცხოვრების ნათელი კვალი.

გ. თურმანაულის ერთი პერსონაჟი — მონადირე იხსენებს მისი ერთი ფატორაკიანი ნადირობის ეპიზოდს და რომ დამთავრებს, დასძენს: „დაუჭერებელია, მაგრამ მეტყუილი არ მიჩვევია, შენც კარგად იცი“. ამ სიტყვებს თითქოს თვითონ გ. თურმანაული გვეუბნება ჩვენ. მის მცნობელთ; ცნობით კი მას ბევრი, ძალზე ბევრი ღირსეული ადამიანი იცნობდა და ყველამ იცოდა, რომ ტყუილი არ ჩვეოდა არც ცხოვრებაში და არც ქაღალდთან.

ყველას უნდა ახსოვდეს, რომ „მისმაგვარ კაცთა სულიერ ძალებს ემყარება ჩვენი ეროვნული სიამაყე“ (რ. ინანიშვილი).

ეს ბოლო ციტატი მოვიყვანე „მონადირის ჩანაწერების“ წინასიტყვაობიდან, რომლის ავტორიც რევაზ ინანიშვილი გახლავთ. არც ეს ფაქტია შემთხვევითი. გ. თურმანაული და რ. ინანიშვილი წლების მანძილ-

ზე სულიერად თანამდგომლობდნენ და ეს თანადგომა გრძელდება. ამ მოკლე წინასიტყვაობაში გ. თურმანაულის, როგორც უზადო პედაგოგისა და ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშთა რუდუნებით შემკრების, თავისი კუთხის (და, აქედან გამომდინარე, სრულიად საქართველოს) მკვიდრთა კეთილდღეობისთვის უანგაროდ დამაშვრალი კაცის, დახასიათების შემდეგ, ნათქვამია:

„მოცალოებისას აიღებდა თოფს ან ბადით აუყვებოდა არაგვს. იყო უებრო მონადირე. ნადირობაში ეძებდა ვაჟაკურს, ამაღლებულს. ასეთი მონადირეები ქმნიან მითებს სიმამაცეზე, მეგობრობაზე, ქველობაზე, მაგრამ მისთვის ნადირობა იყო თვალ-გულის ტკბობის წყაროც...“ და „იმედია, ეს წიგნი მონადირულ ნიშად მაინც აღიმართება მის მიერ სანაქებოდ გამოვლილ ცხოვრების გზაზე. ამ ნიშის წინაშე არ შეიძლება დაფიქრებული არ გაჩერდეს მთების მოყვარული კაცი“.

ქეშმარიტად, გ. თურმანაულის ეს და სხვა წიგნები, რომელთა გამოცემა ჩვენი ვალია, მისი, როგორც მწერლისა და მოღვაწის, სახელის არდავიწყების ნიშად აღიმართება — მან ეს დაიმსახურა.



სიონის სიონი

ლიც წარმართული დროის გამოძახილია. ხარის თავი აქ უკვე ქრისტიანულ საბურველშია და რქებს შორის ჯვარი აქვს ჩასმული. საყურადღებოა მედალიონში ჩასმული ემბლემა — ტარსი მკლავა ჯვარი.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება ბოლნისის სიონის კედლებზე შემორჩენილ წარწერებს. ისინი რელიეფურად დახვეწილი ასომთავრულით არის შესრულებული. ამ წარწერებიდან მხოლოდ ერთი — სამხრეთის შესასვლელის თავზე ამოკვეთილი წარწერა არ ეკუთვნის ტაძრის მშენებლობის ხანას, იგი IX საუკუნით თარიღდება. დანარჩენი სამი წარწერა უშუალოდ ტაძრის აღმშენებლობის პერიოდს უკავშირდება. ეს წარწერები საქართველოს ტერიტორიაზე დღემდე აღმოჩენილი დამწერლობის უძველესი ნიმუშია და ფასდაუდებელია ქართული კულტურის ისტორიას საგანძურში.

მიუხედავად ნგრევისა და აღდგენითი სამუშაოებისა, ტაძარმა მაინც შემოინახა თავისი პირვანდელი სახე. ძეგლის შესწავლა 1916 წელს დაიწყო აკადემიკოსმა გ. ჩუბინაშვილმა. შემდგომ პერიოდში აქ დიდი კვლევითი მუშაობა ჩატარდა მკვლევარ ლ. მუსხელიშვილის ხელმძღვანელობით. ამ სამუშაოთა მოთავე აკადემიკოსი ივ. ჯავახიშვილი იყო.

ბოლნისის სიონი განსაკუთრებული უნიკალური ძეგლია, როგორც ხუროთმოძღვრული გადაწყვეტილი, აგრეთვე ქვაზე ნაკვეთი რელიეფური ჩუქურთმებითა და, რაც მთავარია, ქართული დამწერლობის უძველესი ნიმუშებით.

ვიკი მედიკოსი,


საპარტიველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების პრეზიდენტი მის პროკაბანდის განყოფილების უფროსი.

მცირეა. მიუხედავად ამისა, ბოლნისის სიონის გარე სახე შთამბეჭდავია. მცირე სამლოცველო, რომელიც ტაძარზე აღმოსავლეთიდან არის მიშენებული, VIII საუკუნისაა. ტაძარი აშენებულია ფირუზისფერი, კარგად გათლილი კვადრებით. მტერთა მრავალჯგის შემოსევებით დანგრეული კედლები და კამარები XVII საუკუნეში აღუდგენიათ როსტომ მეფის მეუღლის მარია დედოფლის ინიციატივით. XVII საუკუნეშია აგებული ტაძრის სამსართულიანი სამრეკლო ბოლნელი ეპისკოპოსის ნიკოლოზის მიერ.

ტაძრის ინტერიერში ხუროთმოძღვარი დიდ ყურადღებას უთმობს შიდა სივრცის აღქმას, რასაც ადრექრისტიანულ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ენიჭებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის სიმაღლე შიგნით მხოლოდ 11 მეტრია, იგი მაინც მეტად საზეიმოა და გრანდიოზულობის შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე. აქ უკვე გამოყენებულია აზრობრივად დატვირთული მორთულობანი. ბარელიეფებითა და ჩუქურთმებით არის შემკული ჩრდილოეთის გალერეა, რომელიც ტაძარზეა მიშენებული. ჩუქურთმებითაა მორთული საკურთხეველის მიმდებარე სვეტისთავეებიც. რელიეფებზე გამოსატულია მცენარული ორნამენტო, ცხოველები, ფრთიანი ლომები, შვლები, ფასკუნჯები... განსაკუთრებით აღსანიშნავია სანათლავის სვეტის თავზე გამოსახული ხარის თავი, რომე-

ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლი — ბოლნისის სიონი მდებარეობს რაიონული ცენტრის ბოლნისის მახლობლად. იგი მეხუთე საუკუნის ტაძარია. მისი კედლების წარწერებით ირკვევა, რომ აგებულია 478/9-493/4 წლებში, დავით ეპისკოპოსის მიერ, ვახტანგ გორგასალის მეფობის პერიოდში.

ბოლნისის სიონი სამნავიანი ბაზილიკაა. იგი ამ ტიპის ერთ-ერთი დიდი შენობაა საქართველოში. ტაძრის შიდა სივრცე გაყოფილია ხუთ-ხუთი ბოძისაგან შემდგარი ორი მწკრივით, რომლებიც მას სამ ნავედ ყოფს. გვერდითი ნავების სიმაღლე შუა ნავეთან შედარებით განსხვავებულია, მაგრამ გარედან ეს არ შეიმჩნევა, ვინაიდან ორფერდა სახურავით არის გადახურული. ცენტრალური ნავი დანარჩენებისაგან არ გამოიყოფა, როგორც ეს ტრადიციულ ბაზილიკურ შენობებშია მიღებული. შუა ნავი გადახურულია ცილინდრული კამარით, ხოლო გვერდითი ნავეები ნახევარცილინდრულით. გარეგნული მორთულობანი ტაძარზე მეტად



პეიზაჟი.

აპაკი გელოვანი

სვანური სიმღერა

1.

სადღაც შორეთში დაყუდებულ მწვერვალს ეძინა და გაშლილ მხრებზე მოეხურა ნისლის ნაბადი. უამთა დენაში თავი სიბრძნით გამოეჩინა — თავს ეფრქვეოდა მთვარის შუქი, ცაში ნაბადი.

კელეპტარივით დაპნათოდა შუქურ-ვარსკვლავი და ზამთრის ზღაპარს დუღუნებდა მწვერვალთა მახვში. დაღუპულ სვანებს ხელთ აეღოთ ძველი საკრავი — ლილეს მღეროდა გმირთა გუნდი ყინულის სახლში.

ძვალსა და რბილში გასჯდომოდით ვაჟკაცებს ყინვა, მკლავდამსხვრეულეებს ჩაებლუჯათ მაინც ერთურთი. გათენდებაო! — სიმღერაში ისმოდა გმინვა. გათენდებაო! — დუღუნებდა ბრძენი თეთნულდი.

2.

მოვალ იქიდან, სად კლდეში ჩიხვი მუხავე წყალს სვამდა. მომაქვს სიწმინდე მთებისა, უანგარობა სვანთა. მალღა გავშალე ამაყად, დაბლა დავკეცე ფრთები... ნისლივით დარდიც მომყვება: ცარიელდება მთები!

3.

ადამიანის მიზანი გაფრენილ ისარს ედრება. თუ კაცი მოკვდა, ის არი გაქვავებული ვედრება. თუ კაცმა კაცი აშალა, მარტია ავდარიანი, და თუ ხელები გაშალა, ელვას ჰგავს ადამიანი!..

მზე არ ჩადის. იგი მხოლოდ გომბორის მთას ეფარება. ყოველ დილით განახლდება აქ სიცოცხლის მჩქეფარება! მზე დაივლის ეზო-ყურეს, გადაფურჩქნის ვარდის კონას, ამოსტყორცნის ახალ ყლორტებს გასული დღის მოსაგონად.

და ვით ბრძანა თვითონ შოთამ, ამ ცხოვრებას აბა რა სჯობს. შვილიშვილნი კვლავაც მოვლენ ტურფა ბაღის სადარაჯოდ. და ჩვენც, ვიდრე მიწაზე ვართ, ვიდრე ფეხქვეშ გვიდევს მიწა, იგი ვბაროთ, ოფლი ვღვაროთ, შვილთა ჩვენთა დასაფიცად.

ლაგარა გენდელიანი

ვახუშტი კოტატიჯივილს — საიუბილეოდ

დალოცვილ იყავ, ვაჟკაცო, მუდამ სიკეთის მთესავო, სიტყვა მაქვს შენდა სათქმელი, კალამსაც შენთვის ვლესავო.

აავსე ფილარმონია, მარგალიტებით, ლალებით, ლენტეხში როდის გვეწვევი, მოგვწერეთ, გენაცვალებით.

ფშავ-ხევსურეთი დალაშქრე, უშბის ძირშიაც ყოფილხარ,

საშვილიშვილო საქმეში შენ მგობნისმგობსაც სჯობიხარ!

შენს მოლოდინში შვილებმა ჭუნირს დაავლეს ხელია, მაგნიტოფონი გადადევს, მათაა სიმღერებს მღერიან.

მობრძანდით, ჩვენი სიმდიდრე არ გაყოფილა აროდეს, სვანური ჰანგის ეშხითა მთაში ხევსურიც ხარობდეს!

შ. კოლოვაი

ხელმოწერა

— თქვენო აღმატებულეზავ, ფოსტის უფროსი კითხულობს, შეგვიკავშიროთ თუ არა ცხენი, იქნებ ქალაქში გასეირნება გსურთ?.. დაგათვალეირებინებთ ღირსშესანიშნაობებს, — მიმართა სასტუმრო „გედის“ პატრონმა საშუალო ასაკის, ცოცხალ-თვალეზავ, ფართოშუბლა მამაკაცს, რომელმაც ის-ის იყო სასტუმროს ერთ-ერთ დარბაზში ისაუზმა.

— არა, ცხენი საჭირო არ არის, არც გამცილებელი. მე აქ რამდენჯერმე ვყოფილვარ, მირჩენია მარტომ გავისეირნო.

სასტუმროს პატრონმა კაცს თავი დაუქრა და მორჩილად გავიდა.

კაცი ფიქრს მიეცა. გაახსენდა ის დრო, როცა ეკლესიის მგალობელთა წევრი გატაცებით უსმენდა ხოლმე ორღანოს, რომელსაც რენიკე უკრავდა. რენიკე ახლა დაახლოებით ასი წლის იქნებოდა. მისი აღმატებულეზავ იმიტომ ჩამოვიდა ჰამბურგში, რომ ერთხელ კიდევ ენახა მოხუცი და მოესმინა ძველისძველი ორღანოს ხმა.

მგზავრი ეკლესიაში შევიდა. მოხუცი უკრავდა ორღანოზე, მაგრამ არ მოეწონა. კაცს უკმაყოფილება დაეტყო. კიბეს აჰყვა, დამკვრელს მიუახლოვდა, მხარზე ხელი დაადო და მიმართა:

— ბატონო ჩემო, მე მუსიკოსი ვარ, ჰამბურგში სულ რამდენიმე საათით ჩამოვედი. დამდეთ პა-

ტივი და ორღანოზე დაკვრის უფლება მომეცით. ორღანოზე დამკვრელი მძიმედ წამოღდა. უცნობს შეხედა. მოეწონა მისი ჩაცმულობა, იერი, თავაზიანი სიტყვა და ორღანოზე ადგილი დაუთმო. თავად დარბაზში ჩავიდა და ბურგომისტრის გვერდით დაჯდა.

უცნობი კლავიშებს მიუჯდა, თითები შეახო და პირველსავე აკორდმა ჟრუნტელად დაუარა ეკლესიაში მყოფთ. ეს ის მუსიკა არ იყო, რომელსაც ისინი ყოველდღიურად უსმენდნენ. სტუმარი დაკვრას განაგრძობდა. ჰარმონიული ხმოვანების ნიღვარი ერთხანს სასიამოვნოდ იღვრებოდა.

მოხუცი მუსიკოსი სავარძელში გაიმართა, თვალში ცრემლი მოერია, რაღაც ღვთიური ძალა იგრძნო და, როცა ეკლესიის თაღებქვეშ სიჩუმემ დაისადგურა, მიწყდა მუსიკის ჯადოსნური მელოდია, მან ხმის თრთოლვით წარმოთქვა:

— ღმერთო ჩემო! გმადლობო! არ მეგონა, თუ კიდევ მოვისმენდი ასეთ ჯადოსნურ ჰანგებს. მე ძალა აღარ შემწევს, ვეღარ ვუკრავ... გმადლობო!

— ვინ არის ეგ კაცი? — იკითხა ბურგომისტრამ.

— არ ვიცი, — უპასუხა მოხუცმა. — მაგრამ ახლა კი შემოდისა მშვიდად მოგვეცე... — შემდეგ გუნდის მომღერალი ბიჭუნა მოიხზო და უთხრა:

— წადი, გეთაყვა, გადაეცი იმ კაცს, რომ მოხუცი რენიკე ულოცავს... სახელიც ჰკითხე.

ბიჭუნა მალე დაბრუნდა და მოხუც მუსიკოსს მოახსენა, თავისი ვინაობა არ გამოიხილაო. ეს კი მითხრა, გადაეცით რენიკეს, რომ უკანასკნელ ფსალმუნს ვიწყებ და ბოლო კარგად მოისმინოს. ეს იქნება ჩემი ხელმოწერაო.

— თქვენ ხვდებით რაშია საქმე? — იკითხა გაკვირვებულმა ბურგომისტრამ. რენიკემ გაიღიმა.

— ჯერ კიდევ ვერა, მაგრამ უკვე ვხვდები, ვინ არის იგი. ყურადღება! იწყება ფსალმუნი.

საუცხოო იმპროვიზაციის ბოლოს მოხუცი რენიკე წამოღდა და ასე, ფეხზე მდგომმა, მიუგდო ყური ფსალმუნის აკორდს... მუსიკოსი ყურს უშვდებდა და თავისთვის ჩურჩულებდა: „სი ბე მოლო... დო... სი...“

და, როცა ორღანო დადუმდა, იგი მძიმედ ჩაქდა სავარძელში და შევებით აღმოხდა:

— ის არის, ის... იმთავითვე ვგრძნობდი, რომ სახელოვანი გახდებოდა... როგორ მინდოდა, მომესმინა მისთვის და მადლობა დმერთს, რომ თვითონ მოვიდა ჩემთან!..

— ვინ არის, არ იტყვიო? — იკითხა ბურგომისტრამ.

— ბახი! — წამოიძახა რენიკემ.

ეს ნამდვილად იოჰან სებასტიან ბახი იყო, დიდი მუსიკოსი, რომელიც რამდენიმე წუთის შემდეგ აღელვებულ მოხუც რენიკეს წინ იდგა. რენიკე კრემლს ღვრიდა. იგი გადაეხვია სახელოვან კომპოზიტორს და აკანკალებული ხმით უთხრა:

— მე ვფიქრობდი, რომ ორღანოზე დაკვრის ხელოვნება ჩემთან ერთად მოკვდებოდა... მაგრამ მადლობა თქვენ, რომ იგი ახლად დაბადეთ!

ფრანგულიდან თარგმნა
თანი შურცხვანიძე



ბარუნ აპოფოვი,

საქართველოს სსრ დამსახურებული
ჟურნალისტი.

1959 წელს თბილისში ჩატარდა ჰადრაკში XXVI საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალი.

პაქობაში, სხვა გამოჩენილ მოჭადრაკეებთან ერთად მონაწილეობდნენ ტიგრან პეტროსიანი და მიხეილ ტალი, რომლებსაც ჩვენს დედაქალაქში ბევრი გულშემატკივარი ჰყავდათ.

იმ დღეებში საინტერესო ამბები მოხდა არა მარტო რუსთაველის თეატრის სცენაზე, სადაც პარტიები იმართებოდა, არამედ კულისებში და კულისების მიღმა.

მოგიყვებით ჟურნალისტის უბის წიგნაკში ჩაწერილ ორ შემთხვევას.

ტიგრან პეტროსიანი, ჭადრაკი, თბილისი და ნარდი

ჰადრაკის დიდ ტრფიალს — ტიგრან პეტროსიანის სპორტის სხვა სახეობებზე უყვარდა.

თავისუფალ დროს იგი ხშირად ესწრებოდა ფეხბურთის, კალათბურთისა თუ ჰოკეის მატჩებს. კარგად თამაშობდა მაგიდის ჩოგბურთს, ბილიარდს...

ეს ამბავი თბილისში მოხდა.

ნახევარფინალის დამთავრების შემდეგ ტიგრან პეტროსიანი ჩვენი დედაქალაქის ერთ-ერთ ქარხანაში მიიწვიეს ჰადრაკზე ლექციის წასაკითხად და ერთდროული თამაშის სეანსის ჩასატარებლად.

ლექციის დამთავრების შემდეგ ყველამ ფოიეში მოიყარა თავი. ერთმანეთზე მიდგმულ მაგიდებზე ჰადრაკის თვრამეტი დაფა იყო ჩარიგებული.

ტრადიციისამებრ, ტიგრან პეტროსიანმა მოწინააღმდეგეს ხელი ჩამოართვა და პირველი სვლა გააკეთა. შემდეგ სათითაოდ ჩამოუარა ქარხნის საუკეთესო მოჭადრაკეებს, ხელის ჩამორთმევით მიესალმა და პირველი სვლები ითამაშა.

მაგიდის კუთხეში მიმჯდარი მეთვრამეტე მოჭადრაკე თვალების უცნაური ნაბვით შეხვდა პეტროსიანს. წამოდგა, მდაბლად დაუკრა თავი და გამოწვდილ ხელს ხელი მიაგება.

ტიგრან პეტროსიანმა მაშინვე იგრძნო, რომ ხელში რაღაც ჩაუდგეს.

დახედა და შეცბა: გაშლილ ხელისგულზე ორი კამათელი ედო.

— რა არის ეს? — მოგუდული ხმით იკითხა პეტროსიანმა და გაოცებით ახედა შუახნის კაცს.

— კამათელი.

— მერე?

— უნდა გავაგოროთ... ესე იგი... იცით რა?

— რა?

— რაღა, ჰადრაკის თამაში არ ვიცი.

ტიგრან პეტროსიანი ხელმეორედ შეცბა.

წამით ჩამოვარდნილი ღუმელი შუახნის კაცმა დაარღვია:

— შეამაყება თქვენთან თამაში... ესე იგი... იცით რა?

— რა?

— თბილისში გაიზარდეთ, ნარდის თამაში გეცოდინებათ. მოდით, გეხვეწებით, ერთი პარტია ნარდი გავაგოროთ. გადმოიხარეთ.

გადაიხარა. შუახნის კაცის სკამზე ნარდი იდო. პეტროსიანმა გასუსულ ფოიეს მიმოავლო თვალი, დასტურით დაიქნია თავი და ღიმილით ჩაილაპარაკა:

— ცაიტნოტი გამორიცხულია!

სახელოვანმა მოჭადრაკემ ეს ერთდროული თამაშის სეანსიც ბრწყინვალედ ჩაატარა: თექვსმეტი მოიგო და ერთი პარტია ყაიმით დაამთავრა.

მეთვრამეტე?

მეთვრამეტე შერკინება მარსით დასრულდა.

ნარდში გამარჯვება მოჭადრაკე ტიგრან პეტროსიანს ხვდა წილად.

მიხეილ ტალი, გუნუბი გურბანიძე, საათი და მოხუცი

დამთავრდა მორიგი ტური. მღელვარება მინელდა. მაყურებელმა და მოჭადრაკეებმა შინისკენ გასწიეს.

რუსთაველის თეატრიდან გამოსული მიხეილ ტალი და მისი მწვრთნელი ალექსანდრე კობლენცი საუბრით მისეირნობდნენ პრესპექტზე.

მცირე მონაკვეთზე — რუსთაველის თეატრიდან სასტუმრო „თბილისამდე“ — მოსაუბრეები რამდენჯერმე შეაჩერეს.

ჰადრაკის მოყვარულებს სურდათ, მიხეილ ტალის და მისი მწვრთნელის აზრი გვეგოთ პარტიაზე, რომელიც საქართველოს ჩემპიონმა ბუხუტი გურგენიძემ გადადო იმდღევანდელ ტურში.

— როგორ აფასებთ პოზიციას?

— შეძლებს გურგენიძე, პარტია იხსნას?

— ხომ ვერ ხედავთ, გამარჯვების რაიმე შანსს? ყოველი მხრიდან გაისმოდა გულშემატკივართა შეკითხვები.

სასტუმროს შესასვლელთან თანდათან შეთხელდა ხალხი.

შეკითხვები მაინც არ წყდებოდა.

ის-ის იყო სახელოვანმა მოჭადრაკემ, ვინ მოთვლის მერამდენედ, ბუხუტი გურგენიძის გადადებული პარტიაზე თავისი მოსაზრება გამოთქვა, რომ პრესპექტზე გამვლელი მოხუცი შეჩერდა და მორიდებით ჰკითხა ტალს:

— გეთაყვა, ხომ ვერ მეტყვი, რომელი საათია?

მიხეილ ტალმა შეკითხვა ვერ გაიგო. შებრუნდა და ახლა რომელიღაც გულშემატკივარს გაუბა საუბარი.

მოხუცი განაწყენდა.

შემოუარა, ტალს წინ აეტუზა და გაგულსებულმა დასტუქა:

— ყმაწვილო, რატომ არ მპასუხობთ?!

— იმიტომ, რომ გადაჭრით ჯერ ვერას გეტყვი.

— რაო?

— გურგენიძის პოზიცია რთულია.

— ესე იგი...

— დრო გვანახებს ყველაფერს.

— აა! გასაგებია! — მოხუცი სწრაფად გაერიდა მიხეილ ტალს, ნაბიჯს აუჩქარა და თავისთვის ჩაილაპარაკა: — შერეკილია!

ნონა გაფრინდაშვილი, მილიცია და გავგლეხი

ბევრს ალბათ ახსოვს, მრავალი სპორტული ჟურნალ-გაზეთი შემოიარა გიგლა ფირცხალავას ცნობილმა მეგობრულმა შარქმა, რომელზეც ბაბთიანი გოგონა გამოსახული. სკამზე შესკუბებული ციკნა გოგონა იატაკამდე ვერ აწვდენს ფეხებს. ზის და გულდაგულ ჩაჰკირკიტებს მაგიდაზე გაშლილ ჰადრაკს. მაგიდის ქვეშ მარტომდარტო დარჩენილი თოჯინა თვლემს.

ეს თემა მხატვარს შთააგონა 14 წლის ნორჩმა მოჭადრაკემ ნონა გაფრინდაშვილმა, რომელმაც 16 შესაძლებლობიდან 15,5 ქულა დააგროვა და მოზრდილთა შორის საქართველოს ჩემპიონი გახდა.

მეგობრული შარქი დაიხატა 1955 წლის შემოდგომაზე, რამდენიმე თვის შემდეგ კი აი რა მოხდა: ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ნახევარფინალში, რომელიც თბილისში გაიმართა, ნონა გაფრინდაშვილმა ბრწყინვალედ იასპარეზა და მოზრდილთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ნონას უამრავი გულშემატკივარი ჰყავდა. ყოველი პარტიის წინ რუსთაველის თეატრის ხალხი აწყდებოდა. დარბაზი, ცხადია, ყველა მსურველს ვერ იტევდა. გარეთ დარჩენილებს პარტიებს უჩვენებდნენ სადემონსტრაციო დაფებით, რომლებიც თეატრის ფოიეში, შესასვლელში და ქუჩაში იყო დადგმული.

დამთავრდებოდა პარტია და ხალხი ისევ თეატრის შესასვლელს აწყდებოდა. სად არ ნახავდით მათ: ცენტრალურ შესასვლელთან, სათადარიგოსთან, სამსახურბრივთან...

იდგნენ და ნონას გამოსვლის მოლოდინში ყაყანებდნენ.

ნახევარფინალის ორგანიზატორები ცდილობდნენ, თამაშით დაღლილი და ხალხით შეგებრებული ნონა შეუმჩნეველად გამოეყვანათ თეატრიდან, გულშემატკივრებისათვის აერიდებინათ და შინ მშვიდად მიეყვანათ.

როცა არაფერმა გაჭრა, მილიცია იხმეს.

იმ დღესაც ნონა გაფრინდაშვილმა მილიციის დახმარებით გაარღვია ხალხის წრე.

გრილი ამინდია. მოდის ნონა ორ მილიციელს შუა ჩამდგარი. მორცხვად დაუხრია თავი. გამცილებლები ამაყად თავაწეულები მიაბიჯებენ.

— დედუ! — მოულოდნელად გაისმა ქუჩაში ქალის განწირული შეძახილი.

ხალხი გაირინდა.

— დედუ! — ახლა შუბლში იტყიცა ხელი გამვლელმა მოხუცმა ქალმა: — რა დააშავა ამ ბაღანამ, რო ორი დამბაზიანი მილიციელი მიყვება თან?!

ხალხის სიცილმა უფრო გადარია მოხუცი.

— გოუშვით!

შეიმშრალა თვალზე მომდგარი ცრემლი, ამოიხრა და მილიციელს მუშტი მიუტანა ცხვირწინ.

— გოუშვით! მშობლები მაინც შეიბრალეთ!.. პატარა გოგოა, მაგის გამოსწორება კიდევ შეიძლება.

სახალხო ოფიცერი გემის ბაქნიდან ზღვაში გადავარდა. დაბრუნდა ერთმა მეზღვაურმა გადაარჩინა. ოფიცერმა ჰკითხა, რით შემძლიაო სიყვითის გადახდა.

„ყველაფერს ის აჯობებს, სერ, მიუგო მეზღვაურმა, თუ საერთოდ არაფერს იტყვი ამის შესახებ, თორემ ბიჭებმა თუ გაიგეს, რომ მე ამოგიყვანეთ წყლიდან, შავ დღეს დამაყრიან.“

როდესაც საიდუმლო აგენტს ჰკითხეს, რას საქმიანობო, მან უპასუხა, ჩემი მისია იმდენად გასაიდუმლოებულია, რომ მე თვით არ ვიცი, ვინა ვარ და რას ვაკეთებო.

სამხედრო ნაწილის თვითმკვლელობა წრემ ომის თემაზე პიესა წარმოადგინა. სცენის უკან ერთი ჯარისკაცი დაყენეს, რომელსაც თოფი უნდა დაეცალა სცენური ეფექტისათვის, მაგრამ მომენტი რომ დადგა, სროლის ხმა არ გაისმა. პიესის დამდგმელი რეჟისორი გააფთრებული შეიჭრა კულისებში.

„რა დაგემართათ, რატომ არ ისროლეთ თოფი?“
„გაიჭედა, სერ.“
„როგორ თუ გაიჭედა? თქვენ აქ ფრონტი ხომ არ გგონიათ? ეს თეატრია, ყმაწვილო!“

„ცოლს რატომ არ ირთავ, ჯეკ?“
„ეჰ, შენ კი გაიხარე! სად არის სამაგისო ფული?“
„განა შენი ხელფასი არ კმარა ოჯახის შესანახად?“
„კი, როგორ არა, მაგრამ ჩემი ხელფასით პენტაგონიც შესანახი რომ მყავს?“

სერჟანტი: „რას უნდა მიაქციოთ ყურადღება უპირველეს ყოვლისა, როცა თოფის წმენდას იწყებ?“
რიგითი: „თოფის ნომერს.“
სერჟანტი: „რატომ?“
რიგითი: „რათა დარწმუნდე, რომ სხვის თოფს არ წმენდავ.“

ინგლისურიდან თარგმანა
ბიორგი ჯაბაშვილმა.

— ეს საქონლის ხორცია თუ ღორის?
— ვერ არჩევთ?
— ვერა.
— მაშ რატომ კითხულობთ, თქვენთვის ხომ სულ ერთია.


— ვინ შექმნა პირველი მოლაპარაკე მანქანა?
— მოლაპარაკე მანქანა, რომლის გამორთვა შეუძლებელია, პირველად ღმერთმა შექმნა ქალის სახით.

— როგორ არის შენი და ევა ზბიშევის სიყვარულის ამბავი?
— დამთავრდა.
— აღარ ხვდებით?
— არა. ხელი მოვაწერეთ და ერთად ვცხოვრობთ.

— ამოცანა ამჯერად სწორედ ამოგიხსნია, რატომ?
— დედა და მამა შინ არ იყვნენ და ალბათ იმიტომ.

— მაგ ფოტოხელის ნახევარი მე მეკუთვნის.
— ვითომ რათაო?
— თმა რომ არ მომეწიწენა, შენ არ იტირებდი და დედა გასაჩუქებლად ფოტოხელს არ მოგცემდა.

აკოლონურიდან თარგმანა
ელვარა ხარატიშვილმა.



ვისაუბროთ გულახდილად

ნაპოლეონ პირველს ძალიან უყვარდა თავის ექიმთან საუბარი.

— ვისაუბროთ გულახდილად, ექიმო, — უთხრა ერთ დღეს ნაპოლეონმა ექიმს, — რამდენი კაცი გყავთ ცხოვრებაში მოკლული თქვენი წამლებით?

— დაახლოებით 300 ათასით ნაკლები, ვიდრე დაიღუპა თქვენს ომებში, — უპასუხა კორვიზარმა.

შან-ნიკოლა კორვიზარი — საფრანგეთის კოლეჯისა და სამედიცინო სასწავლებლის პროფესორი, ნაპოლეონ პირველის საქმარელი მედიკოსი.

ჩვეულებრივი ხალხი

ერთ დღეს მონტენი ხედავს, რომ მის ციხესიმაგრეში ყაჩაღები შემოჭრილან, ეზოში განლაგებულან და მხოლოდ მეთაურის ბრძანებას ელიან... მონტენმა მხნედ, გაბედულად გადადგა რამდენიმე ნაბიჯი ყაჩაღთა მეთაურისაკენ და გასძახა:

— შემობრძანდით, ბატონო, ჩემი სახლის კარი თქვენთვის მუდამ ღიაა. ჰამეთ, სვით და თან წაიღეთ, რაც გნებავთ, ერთი სიტყვით, თავი ისე იგრძენით, როგორც საკუთარ სახლში.

მასპინძლის ასეთმა კეთილმა მიღებამ ზნობრივად იმოქმედა მეთაურზე, შეახტა ცხენს და თავის ხალხს უბრძანა:

— აბა, გვეცალათ აქაურობას! ვუჩვენოთ ბატონ დე მონტენს, რომ ჩვენც ისეთივე ჩვეულებრივი ხალხი ვართ, როგორც თვითონ არის!

მიზანღე მონტენი — რენესანსის ეპოქის მოაზროვნე, ავტორი „ნარკოპოლიტიკის“, რომელიც მის იდეებს გამოხატავდა ალაპინის სულგრძელობაზე.

ვიოლინოს ვირტუოზი ნიკოლო პავანინი სიძულვითაც იყო ცნობილი.

ერთხელ, საქმიოდ ლამაზმა ახალგაზრდა მომღერალმა ქალმა შეუხედავ პავანინის ცოლობა შესთავაზა.

— არავითარ შემთხვევაში, — ჩაიქირქილა პავანინიმ, — თქვენ გინდათ მეუღლის უფლებით ისარგებლოთ, გამაცუროთ და ჩემს კონცერტებს მუქთად დაესწროთ.

— ახლა რაზე მუშაობთ? — ჰკითხეს პარიზში ჩასულ იოჰან შტრაუსს.

— მთავარზე.
— ოპერაზე?
— არა.

— ოპერეტაზე? ვალსზე? სიმღერაზე?..
— არა, სიკვდილის შეჩერებაზე. — მიუგო ოთხმოც წელს გადაცილებულმა კომპოზიტორმა.

ცნობილი კომპოზიტორი რაველი ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ კომპოზიტორ გერშვინს საკომპოზიციო გაცვითლებს უტარებდა.

ერთ მშვენიერ დღეს რაველმა შინიდან ასეთი სიტყვებით გამოისტუმრა მასთან სამეცადინოდ მისული გერშვინი:

— აბა რად გპირდება მეორეხარისხოვანი რაველი, როცა თქვენ უკვე ხართ პირველხარისხოვანი გერშვინი!

რაშელის მცირე რეპერტუარი

ახალგაზრდა რაშელი ხელოვნების გაცვეთილებს იღებდა მასწავლებლისაგან. მაშინ ის მხოლოდ ელიზაბეტ ფელიქსი იყო.

— სანამ ჩემთან მოხვდით, რას აკეთებდით, ქალიშვილო? — შეეკითხა თეატრალური ხელოვნების მასწავლებელი.

— ყვავილების თაიგულებს ვყავდი, შეყვავილე გახლდით.

— ჰოდა, ძალიან კარგი, ჩემო კარგო, დაუბრუნდით თქვენს ყვავილებს, მსახიობის არავითარი ნიჭი არ გაგაჩნიათ, ტყუილა კარგავთ დროს.

რამდენიმე წლის შემდეგ, იმავე მასწავლებელმა აფიშაზე დიდი ასოებით დაწერილი რაშელის გვარი ამოიკითხა, იგი რასინის ტრაგედიაში მთავარ როლს ასრულებდა. ცნობისმოყვარეობამ წასძლია, ბილეთი აიღო და თეატრში შევიდა. რამდენად დიდი იყო მისი გაოცება, როცა თავისი ნამოწაფარი ელიზაბეტ ფელიქსი შეიცნო. მსახიობს დიდი წარმატება ხვდა იმ დღეს, ოვაციები არ წყდებოდა, ყვავილების თაიგულებს ესროდნენ სცენაზე. რაშელმა აკრიფა ისინი, სცენიდან ჩამოვიდა და ყოფილი მასწავლებლის სავარძლისაკენ გაემართა:

— ოდესღაც თქვენ მე შირჩიეთ, ყვავილებს დაუბრუნებოდი, თქვენი სიტყვები არ დამეწიყებია. იმდენი ყვავილი დამიგროვდა გასაყიდად, რომ... ხომ არ ისურვებდით მათ შეძენას? — და მომხიბვლელი ღმილით გაუწოდა ვარდების თაიგული თავის ყოფილ მასწავლებელს.

რაშელი, იგივე ელიზაბეტ ფელიქსი — გეცხრამეტე საუკუნის ცნობილი ტრაპიკოსი მსახიობი.

ფრანგულიდან თარგმანა
იონა ბადაშვილმა.

კომპოზიტორმა იოგენ დალბერტმა შეიძღვრე იქორწინა.

როცა მეოთხედ დაიწერა ჯვარი, დიდი ბანკეტი გამართა და გამოჩენილი მუსიკოსებიც მიიწვია.

ბრამსმა უარი განაცხადა სტუმრობაზე.

— ახლა არ მცალია, მომდევნო ქორწილებს კი უთუოდ დავესწრები.

ცნობილმა კომპოზიტორმა, როგორც გადმოგვცემენ, პირობა შეასრულა.

როცა ბეთჰოვენი ბახის ნაწარმოებებს გაეცნო, კარგა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, მერე წამოხტა და ალტაყებით შესძახა:

— ამ გენიოსს ოკეანე უნდა ერქვას და აო ბახი!



(ბახი გერმანულად ნაკადულს ნიშნავს).

ფრანგი კომპოზიტორი ბერლიოზი ავტოგრაფების დიდი მოძულე იყო.

ერთხელ, რომელიღაც კომპოზიტორმა მომღერალმა ქალმა ბერლიოზს შესთავაზა, თუ ავტოგრაფს მომცემთ, გაყოცებით და ჩემი ხელით დამზადებულ ღვეზელს მოგართმევთ.

პასუხი ლაკონიური იყო:
— კოცნა — სხვას, ღვეზელი — მე.

გერმანულიდან თარგმანა
ვლადიმერ ფიქარიშვილმა.



თარგუმალად: 1. თბილისის ძველი უბანი; 8. ვულკანური წარმოშობის ქანი; 7. უწესრიგობა, არეულ-დარეულობა; 8. მცენარის ღეროზე განლაგებული მარცვლები; 11. სოფელი კასპის რაიონში; 14. ქვეყნის წარსული; 18. ქალაქი საბჭოთა კავშირში; 17. სუფთა გამარჯვება კრივში; 18. დაწესებულება შტატი; 22. ლიტერატურის სახეობა; 26. გარეული ცხოველი; 27. ბაშკირეთის დედაქალაქი; 28. ქალაქი სიკოკუს კუნძულზე; 29. საიზოლაციო საშუალება; 30. სახელმწიფო აზიაში.

შვეულად: 1. ქართველი ძიუდოსტი, ორგზის მსოფლიო ჩემპიონი; 2. სოფელი ქართლში; 3. ევროპის სახელმწიფო; 4. სახელის აღნიშვნელი პირველი ასო; 5. სიმინდის ნაყოფი; 6. ორმო, რომელშიც მიწისქვეშა წყალი გროვდება; 9. ადამიანის ორგანო; 10. მიწაზე სამუშაო იარაღი; 12. შიშით გამოწვეული მღელვარება; 18. სახელმწიფო ამერიკაში; 15. მძიმე წონის პროფესიული მოკრივე; 16. შინაური ცხოველი; 17. ისტორიული ციხე-სიმაგრე თბილისში; 19. ძვირფას ქვებზე და ლითონებზე მომუშავე ოსტატი; 20. მუსიკალური გამის ბგერა; 21. ბილიარდის სათამაშო ჯოხი; 22. ადამიანი, რომელიც სისხლს იძლევა ავადმყოფისათვის; 28. ოფიცრის ჩინი ძველ რუსეთში; 24. ტონების, ჩრდილების ცვლის მრავალფეროვნება ფერწერაში; 25. თითბერის ჩასაბერი საკრავი.

შეადგინა ალექსანდრე გორგიშვილმა.

თარგუმალად: 7. გუნდის მიერ მოწინააღმდეგის პირისპირ თამაში ახლო მანძილზე; 8. საერთაშორისო ხელშეკრულება; 10. მოქმედი ვულკანი სიცილიაში; 11. დადგენილი საზომი ერთეულის ზუსტი ნიმუში; 12. ქიმიური ელემენტი; 18. ქართველი კინორეჟისორი; 15. ქართველი პოეტი; 17. ფრანგი მწერალი, მხატვარი, კინორეჟისორი და სცენარისტი; 19. ბ. ბრეხტის პიესის პერსონაჟი; 20. საბჭოთა კინორეჟისორი და მხახიობი, რეჟისორი ფილმისა „არსენა ყაჩაღი“; 24. იაპონიის ქალაქი-პორტი; 25. თბრობითი ხასიათის ვოკალურ-ინსტრუმენტული ნაწარმოები; 27. მარხილში შებმული ძაღლების ან ირმების გამრეკი ჩრდილოეთში; 28. ფიქრი, აზროვნება; 30. საგანგებოდ მოხატული კედელზე გასაკრავი ქაღალდები; 31. ამა თუ იმ საგნის შემადგენელი ნივთიერების რაოდენობა, მოცულობა; 32. შექსპირის ნაწარმოების პერსონაჟი; 33. პლანეტის თანამგზავრი.

შვეულად: 1. რაიმე მოვლენისადმი უკმაყოფილების ენერგიული გამოხატვა; 2. გ. წერეთლის ნაწარმოების პერსონაჟი; 3. გარკვეული ცნობების შესაგროვებლად ჩამოწერილი კითხვარი; 4. მინერალი; 5. ქალაქის ტრანსპორტი ძველ თბილისში; 6. უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის მოსწავლე; 9. საქმის მწარმოებელი, სტაჟიორი ევროპაში; 14. მწერი; 16. დაბალი ჩინის სამხედრო პირი მეფის რუსეთში; 17. შოკოლადის ხე; 18. კანადის ერთ-ერთი მდინარე; 21. მთავარი დარბაზის წინა მომცრო ოთახი; 22. დათქმული საიდუმლო სიტყვა ან ფრაზა; 23. ესპანელი მევიოლინე და კომპოზიტორი; 26. ძველებური რუსული სიგარძის საზომი ერთეული; 27. ოთახისმაგვარი საღვამე გემზე; 29. საქართველოს მდინარე; 31. გზის სიგარძის საზომი ერთეული ზოგიერთ ქვეყანაში.

შეადგინა ცილა აბაშუქაძემ.

„დროშა“ № 8-ში გამომკვეთებული კროსვორდის პასუხები

თარგუმალად: 6. ავტობიოგრაფია; 9. ბემოლი; 10. იგუანა; 11. გრამი; 18. დოკი; 14. ილეა; 15. კალენდარი; 17. კლიშე; 18. ნუკრი; 19. იმიგრაცია; 20. მარი; 22. ატაი; 28. არშია; 25. ყირიმი; 27. ავარია; 28. იდენტიფიკაცია.
 შვეულად: 1. ავტორი; 2. ბორი; 3. ფოსტა; 4. ბასი; 5. ფირუზი; 7. დემობილიზაცია; 8. ინტერპრეტაცია; 11. გალაქტიკა; 12. ირადიაცია; 15. კრეპი; 16. იუნგა; 21. ისინდი; 22. აპათია; 24. შელფი; 26. იენა; 27. აბაი.

გარეკანის პირველ გვერდზე: თბილისის № 18 საშუალო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის მესამე კურსის ფრიალხანო მოსწავლე ნანა რობაქიძე.

მეოთხე გვერდზე: „ჩვენ პროფტექნიკურიდან ვართ“. ფოტოები ბონდო დვალიშვილისა.

გადაეცა წარმოებას 29. 07. 85. ხელმოწერილია დასაბეჭდად 15. 09. 85. უე 05347. ქაღალდის ზომა 70x1081/8. იბეჭდება: გარეკანი და ჩანართი — მაღალი ბეჭდვით, ტექსტი — ოფსეტური წესით. ფინიკური ფურცელი 8, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 4,8 სააღრიცხვო-სავა-მომცემლო თაბახი 5,09. ტირაჟი 48.000. შეკვ. 1607. ფასი 35 კაპ.
 880096, თბილისი, ლენინის ქ. № 14, საქართველოს კ. ც. ც. გამომცემლობის სტამბა.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал «Дроша» («Знамя»), (на грузинском языке). 380096, Тбилиси, ул. Ленина, 14. Типография издательства ЦК КП Грузии. Адрес редакции: 380008, Тбилиси 8. пр. Руставели, 42.

რედაქციის მისამართი: 380008, თბილისი 8, რუსთაველის პრ. 42. ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-54-66, მთ. რედაქტორის მოადგილის — 99-82-69, პ/მგ. მდივნის — 99-01-89, განყოფილებათა გამგეების — 98-28-42, რედაქციის სამდივნოსი — 99-54-66.

რედაქციაში შემოსული მასალა ავტორს არ უბრუნდება.



— რა გემრიელია!

ფოტო სერგო ედიშარაშვილისა.

